# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 20 ივნისი 2000 №115 (1137) | ფასი 50 თეთრი


REUTERS



ჰაქან შუქურის მიერ გატანილი გოლი მთლიანად ბელგიელი მეკარის ფილიპ დე ვილდეს ნამუსზეა

# მთვარის ნარქენი

## თურქები ნაკრებითაც გაევროპელდნენ

ახლა ტკბობის დროა — თქვა ბელგიელთა ძლევის შემდეგ თურქთა მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ და გაემტყუნება?! გუშინ თურქებმა დიდ შეჯიბრებათა ფინალურ ტურნირებზე პირველად გაიმარჯვეს და გავიდნენ მეოთხედფინალში, სადაც პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. მთელი თურქობა ნახევარმთვაროვანი დროშების ფრიალშია.

მასპინძელი ბელგია კი ჯგუფში ჩარჩა...

იტალიელებს სამართლიანად მიიჩნევენ ევრო 2000-ის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად. ბოლო დროს პირველობაც რომ დაებედათ... სამი დღის წინ მონაწილეთაგან პირველებმა დაიბევეს მეოთხედფინალის საგზური. წუხელ კი, შვედების ძლევით, ასევე პირველები გახდნენ, ვისაც ჯგუფურ ეტაპზე ქულა არ დაუკარგავს. მეოთხედფინალი კი ფრიადი ელით: ინგლისი, გერმანია თუ რუმინეთი... დღეს ღამე გავიგებთ, ამათგან რომელი დაუპირისპირდება „სკუადრა აძურას".


იხილეთ მეორე-მერვე და მეთექვსმეტე გვერდები


UEFA EURO 2000

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1 |
| გერმანია | 0 |
| რუმინეთი | 0 |
| პორტუგალია | 1 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იტალია | 2 |
| შვედეთი | 1 |
| თურქეთი | 2 |
| ბელგია | 0 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სლოვენია | 1 |
| ესპანეთი | 2 |
| ნორვეგია | 0 |
| იუგოსლავია | 1 |

# ბასკო ჩემპიონია!

საქართველოს ჩემპიონატი — ფინალი

| | |
|---|---|
| ბასკო | 3 |
| აზოტი | 1 |

*საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს. ბათუმის „ბასკომ" ფინალური სერიის მეოთხე მატჩში დამატებით დროში 98:95 დაამარცხა რუსთავის „აზოტი" და სადებიუტო სეზონი ქვეყნის უძლიერესი გუნდის ტიტულის მოპოვებით დააგვირგვინა.*


იხილეთ მეთორმეტე გვერდი




საქართველოს 1999-2000 წლების ჩემპიონი ბათუმის „ბასკო". უკანა რიგში (მარცხნიდან): მამუკა აბრამიძე, ზურაბ ტომარაძე (მთავარი მწვრთნელი), მერაბ ემირიძე (ვიცე-პრეზიდენტი), ვალერი კილაძე, ირაკლი ჭეიშვილი, ლაშა კეშელავა, გარი არინინი (მწვრთნელი), ლევან ქარაბაკი, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, ვალერი ალთაბაევი (მწვრთნელი), ირაკლი ბაქრაძე, ანდრეი ბელიაევი, ანტონ არხიპოვი. წინა რიგში (მარცხნიდან): ირაკლი მაისურაძე (№5), არჩილ კილაძე (მარცხნიდან მეხუთე), დავით კვაჭაძე, ალეკო დავითულიანი, გიორგი ბერია

# ეშმათა ძლევა

## B ჯგუფი

ბრიუსელი
19 ივნისი
23.45 საათი
მეფე ბოდუენი
49 000 (ტევადობა 50 000)

### თურქეთი 2:0 ბელგია

1:0, 2:0 ჰაქან შუქური (45, 70)
თურქეთი: რუშთუ, ოგიუნი, ფათიჰი, ალფაი, თუგაი (ტაიფური 37), ოკანი (ერგუნი 77), სუათი, აბდულა, ტაიფუნი, არიფი (ოსმანი 84), ჰაქან შუქური
მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
ბელგია: დე ვილდე, დეფლანდრე, ვალგაერენი, სტალენსი, ვან კერკჰოვენი, ვანდერჰეიგი, ვილმოტსი, გოორი (ჰენდრიქსი 59), ვერჰეენი (შტრუპარი 63), ე. მპენზა, ნილისი (დე ბილდე 77)
მწვრთნელი: რობერ ვასეჟი
გაფრთხილება: ტაიფუნი, ოსმანი, ვანდერჰეიგი, ე. მპენზა
გაძევება: დე ვილდე (85)
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია), 42-ე წუთიდან გიუნტერ ბენკო (ავსტრია)

*კარისკენ დარტყმა: 1-13; კარში დარტყმა: 4-7; ჯარიმა: 14-14; კუთხური: 2-10; თამაშგარე: 7-2*



**ილია ბაბუნაშვილი**
*ბრიუსელიდან*

**გუშინ**, ნაშუადღევს, 4 საათზე, ბრიუსელის ერთ-ერთ მთავარ გამზირზე წინ და უკან შეშლილივით დადიოდა თურქეთის ნაკრების მაისურაში გამოწყობილი, ალბათ, რალაცით ალგზნებული ჯეელი და ყვიროდა... „ესპანია პორფავორ, ესპანია კამპეონ!"

მოდი და გაიგე, რა ხდება. დანამდვილებით მხოლოდ ერთია ცნობილი — იმავ საღამოს თურქეთის ნაკრებმა ბელგიას 2:0 მოუგო და რვა უძლიერესში მოხვდა. სინამდვილეში მასპინძელს პროტოკოლით მასპინძელმა აჯობა.

ვინძლო, „წითელმა ეშმაკებმა" თქვან, ასეთ სიცხეში 90 წუთი სირბილი ძალიან ძნელი იყოო. დიახ, მართალია, გუშინ ბრიუსელში თერმომეტრი 36 გრადუსს აჩვენებდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ტემპერატურა ორივე გუნდისთვის ერთია და, თუ მაინცდამაინც, იმ თავიანთი მთავარი წითელი ტარტაროზისთვის ეთხოვათ საკუთარ ქალაქში სხვანაირი ამინდი.



REUTERS ბრიუსელიდან

ბურთს გამოდევნებულმა ბელგიელთა მეკარე ფილიპ დე ვილდემ ბურთი ვერა, მაგრამ არიფი კი მოიხელთა უწესოდ და წითელი ბარათიც მიიღო

ტემპერატურაზე იმიტომ შევჩერდით, რომ თურქებთან შეხვედრაში თუკი ვინმეზე შეიძლება ითქვას, ზანტი იყოო, ბელგიელ ნახევარმცველებზე, ივ ვანდერჰეეგესა და მარკ ვილმოტსზე. ამ ორის ნელი მოქმედების გამო, ჯერ ერთი, გუნდის რამდენიმე შეტევა (თუ სწრაფი კონტრშეტევა) ჩაიშალა და მეორეც, როდესაც ისინი წინ მიდიოდნენ, უკან დაბრუნებას ვეღარ ასწრებდნენ და წითელთა სამ მცველსა და შუახაზს შორის რჩებოდა ცარიელი სივრცე, რომლითაც თურქები მოხერხებულად სარგებლობდნენ.

ბელგიასთან დაკავშირებით კიდევ ასე ვიტყვით: ხომ არ შეცდა მწვრთნელი რობერ ვასეჟი, როდესაც სასტარტო შემადგენლობაში ბრანკო შტრუპარის ნაცვლად ლუკ ნილისის შეყვანა გადაწყვიტა? გასაგებია, რომ ნილისი აქაურ ქომაგთა საყვარელი ფეხბურთელია, მაგრამ აშკარად ვერაა ფორმაში, სწრაფი შეტევების დროს მცველს ვერ ასწრებს, ხოლო მაინცდამაინც საჯარიმოს მისადგომებთან მისთვის დასარტყმელი სიტუაციის შექმნა შეკუმშულ გუნდთან თამაშის დროს ძნელია. ამასთან, შტრუპარი რომ ყოფილიყო, მაღალი პასების ჩაკიდებას მეტი აზრი ექნებოდა.

და, რა თქმა უნდა, გოლკიპერის, ფილიპ დე ვილდეს მოხსენიებაა აუცილებელი. პირველი ტაიმის ბოლოს მან თურქებს საუცხოო საჩუქარი უძღვნა — ბურთის დასაჭერად წინ დროულად არ გამოვიდა და ჰაქან შუქურს (თურქთა ერთადერთ კაცს, რომელსაც უკან ჩასვლა არ ევალებოდა) გოლი გაატანინა.

ახლა იღბალს, უფრო სწორად, უიღბლობას აღარ იკითხავთ? იშვიათია, გუნდმა ამდენი აშკარაზე აშკარა საგოლე მომენტი შექმნას და ბურთმა ჯიუტად არ ისურვოს კარში შევარდნა. თუმცა გავიხსენოთ პირველი მატჩი შვედებთან და მივხვდებით, რომ ბედმა მასპინძელთათვის თავისი ენერგიის თანაბრად განაწილება არ ისურვა.

თურქთა გუნდზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ ის წუხელ უვარსკვლავო, მაგრამ ძალიან დაბალანსებული გახლდათ. მუსტაფა დენიზლის შეგირდები თავდადებით თამაშობდნენ დაცვაში, ხოლო წინ, როდესაც მეტოქეს ზურგი მოუშიშვლდა, სწრაფად გადადიოდნენ და აკი მეორე გოლი შეაგდეს კიდეც.

დენიზლისთვის ამ შეხვედრაში ერთადერთი უსიამოვნო მომენტი პირველი ტაიმის მიწურულს იყო: მან თუგაი ტაიფურით შეცვალა, რამაც პირველი გააბრაზა და ჯერ მსაჯს არ დაემორჩილა, მოედნის გადაკვეთის ნაცვლად სარბენ ბილიკზე გავიდა და გასახდელისკენ დიდი წრის შემოვლით გაიარა, მერე, კუთხურის ალამთან რომ მივიდა, ამ საწყალ პატარა დროშიან ძელუკას ერთი უთავაზა, ბოლოს კი, საკუთარ მწვრთნელს რომ გაუსწორდა, რაღაც (ალბათ გეტრების) თასმები გადაუყარა.

თუმცა თუგაი თუგაიდ. თავის პრობლემებს თვითონ მოაგვარებს, ხოლო ვინ მოაგვარებდა აყალმაყალის პრობლემას, თუ თურქეთი მეოთხედფინალში ინგლისს შეხვდებოდა, საკითხავია. წუხელ რა იყო, იგებდნენ და თურქმა გულშემატკივრებმა თავიანთ სექტორებთან ორჯერ თუ სამჯერ ატეხეს რაღაც ჩოჩქოლი და მასობრივი სირბილი.

ამ უცნაურ შეხვედრაში უცნაური ბედი ეწია მსაჯს, დანიელ მილტონ კიმ ნილსენსაც — პირველი ტაიმის ბოლოს საზარდული დაიშავა და მეოთხე მსაჯს, ავსტრიელ გიუნტერ ბენკოს შეცვლა სთხოვა. თავად ნილსენმა მისი ადგილი დაიკავა ანუ ჩამოჯდა და ერთხელ ელექტროდაფა ასწია, 2 წუთს ვამატებო, მაგრამ ნატკენმა ამის საშუალებაც არ მისცა და ორგანიზატორებმა მეორე ტაიმში საიდანღაც ესპანელი გარსია არანდა გამოიძახეს.

მაგრამ, მოდი, ნურაფერი გაგვაკვირვებს, რადგან თამაშამდე, ნაშუადღევს 4 საათზე ბრიუსელის ერთ-ერთ მთავარ გამზირზე ვილაც თურქი ქომაგი გაიძახოდა: „ესპანია პორფავორ, ესპანია კამპეონ!"

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ბელგია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| შვედეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |



REUTERS ბრიუსელიდან

მთავარ მსაჯს დანიელ კიმ მილტონ ნილსენს (უკან) საზარდული წამოსტკივდა და სათადარიგომ, ავსტრიელმა გიუნტერ ბენკომ შეცვალა

### მატჩის შემდეგ

**მუსტაფა დენიზლიმ** პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ენაწყლიანობას არ აპირებს და რომ თურქები ახლა უბრალოდ მიღწეულით უნდა დატკბნენ. „მერე კი მეოთხედფინალი და პორტუგალია იქნება — დასძინა დენიზლიმ — ჩემპიონატის ჯერჯერობით საუკეთესო გუნდს დავეჯახებით და მაშინ მართლა გამოჩნდება, რისი მაქნისნიც ვართ".

**რობერ ვასეჟსაც** მაინცდამაინც ალსანიშნავი არაფერი უთქვამს. დაცვის ცოდვებმა დაგვღუპაო, აღნიშნა ბელგიელთა მწვრთნელმა, ევრო 2000-თან განშორების გამო ნაღვლიანი რომ ჩანდა. „ორი გოლი ჩვენი ბრალია — თქვა შემდეგ ვასეჟმა — არადა, დღეს საუკეთესო მატჩი ვითამაშეთ". შემდეგ ვასეჟი ფილიპ დე ვილდეს დაცვას შეუდგა და აღნიშნა, რომ ბელგიელთა მეკარემ იმ ავადსახსენებელ პირველ გოლამდე გვარიანად ითამაშა და საერთოდ, „ასეთია ფეხბურთი, ჩვენ გამარჯვების გემოც გავიგეთ და დამარცხებისაც" — ეს იყო ვასეჟის ბოლო სიტყვები პრესკონფერენციაზე.

### მატჩის სტენოგრამა

5 — ვერჰეენის პასით ნილისი დიდი სისწრაფით შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმოში, მაგრამ თურქთა მეკარე რუშთუმ სწორი პოზიცია დაიკავა და დარტყმა აუღო.

15 — გოორმა 20 მეტრიდან დაარტყა, ბურთი ფათიჰმა აისხლიტა და ოდნავ ასცდა თურქთა კარს.

19 — ნილისის მარცხნიდან ჩაწოდებულს ვერჰეენ-ვილმოტსის კომბინაცია მოჰყვა, მაგრამ ვილმოტსის ნახევარმაკრატელას შედეგი არ მოჰყოლია.

24 — მპენზამ გოლი გაიტანა და ფრიადაც გაიხარა, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა. მანამდე ნილისი თამაშგარეში იმყოფებოდა.

27 — თუგაიმ ჰაქანი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ დე ვილდემ დაასწრო და აუღო.

30 — ნილისის 18 მეტრიდან დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა თურქთა კარის მარცხენა ძელს.

33 — ბელგიელთა დაცვა ცდება. ჰაქანი ოკანს მეკარესთან ტოვებს, მაგრამ ოკანი ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ ურტყამს.

38 — არიფის გარღვევა, თურქი ვალგარენსა და დეფლანდრეს ეფექტურად ატყუებს და დე ვილდესთან პირისპირ რჩება, მაგრამ მეკარე ბურთს კუთხურზე იგერიებს.

42 — მთავარ მსაჯს, დანიელ კიმ მილტონ ნილსენს საზარდული ასტკივდა და სათადარიგომ, ავსტრიელმა გიუნტერ ბენკომ შეცვალა.

45 — ჰაქანმა მეტოქის საჯარიმოში სტალენსს და მეკარე დე ვილდეს აჯობა და თავურით პირველი გოლი გაიტანა — 1:0.

54 — ნილისმა მარცხნიდან ჩააწოდა, მპენზამ პენალტის ნიშნულიდან ძლიერი თავური დაჰკრა, მაგრამ რუშთუმ რთული ბურთი მოიგერია.

61 — ბელგიელების მრავალსვლიანი კომბინაცია ჰენდრიქსის დარტყმით დამთავრდა. ბურთი ოდნავ ასცდა რუშთუს კარს.

70 — ბელგიელები ცენტრთან ხელოვნურ თამაშგარეს ქმნიდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ტაიფუნმა მარჯვენა ფრთაზე საჯარიმომდე ირბინა, მერე კარის გასწვრივ ჰაქანს მიაწოდა ბურთი და 2:0.

72 — ბელგიელთა კუთხური. სტალენსის თავური და თურქები გადარჩნენ.

84 — ჰაქანის პასით არიფი გადის მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბურთს მიზანში ვერ ახვედრებს.

85 — ბელგიელთა მეკარე დე ვილდე არიფს ეუხეშა და წითელი ბარათიც მიიღო. მისი ადგილი კარში მცველმა დეფლანდრემ დაიკავა.

## A ჯგუფი

შარლერუა
17 ივნისი
23.45 საათი
კომუნალი
30 000 (ტევადობა 30 000)

### ინგლისი 1:0 გერმანია

1:0 შირერი (53)

ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, კემპბელი, კიოუნი, ფ. ნევილი, ბექემი, ინსი, სქოულზი (ბარმბი 72), უაიზი, შირერი, ოუენი (ჯერარდი 61)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

გერმანია: კანი, მათეუსი, ნოვოტნი, ბაბელი, დაისლერი (ბალაკი 72), ჰამანი, იერემისი (ბოდე 78), შოლი, ციგე, კირსტენი (რინკი 70), იანკერი

მწვრთნელი: ერიხ რიბეკი

გაფრთხილება: ბექემი, ბაბელი, იერემისი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

*კარისკენ დარტყმა: 1-9; კარში დარტყმა: 4-6; ჯარიმა: 20-17; კუთხური: 3-7; თამაშგარე: 2-0*

# ინგლენდ, ინგლენდ...

# შავი ლაქა ევროპის ჩემპიონატზე

სოლომონ გულისაშვილი

**ალან შირერის** მიერ მეორე ტაიმის დასაწყისში გატანილმა გოლმა ინგლისს გერმანიასთან ბოლო 34 წელიწადში პირველად გაამარჯვებინა. დევიდ ბექემის ჯარიმიდან ჩაკიდებულს, მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს მდგარმა ბრიტანელთა კაპიტანმა თავი შეაგება და ევროპის ჩემპიონთა ჯგუფიდან გასვლა ერთობ სათუო გახადა.

გამოუცნობი კაცია შირერი, ნამდვილი ფორვარდი. სამი ტაიმი (ორი პორტუგალიასთან და ერთიც გერმანიასთან) საერთოდ არ გამოჩენილა, მერე კანს გაუტანა და... ისევ დაიკარგა. მატჩის მიწურულს რამდენჯერმე გამოჩნდა კადრში, მაგრამ ამ ეპიზოდებში მინდორზე წაქცეული ჯარიმას ითხოვდა.

სამი წლის წინათ მე და „სარბიელის" მესვეტე ლონდონში, „უემბლიზე" ვისხედით და ინგლის-საქართველოს მატჩს ვუცქერდით. ბოლო წუთზე შირერმა მეორე გაგვიტანა, მარჯვენა ხელი ასწია და მხრებში ოდნავ მოხრილი ტრიბუნებისკენ გაიქცა... საკვირველი ის იქნებოდა, ასეთი სცენა არ გვენახაო — დავეთანხმეთ ერთმანეთს. მართლაც, შირერის ზეაწეული მარჯვენა ინგლისის ბოლოდროინდელი ნაკრების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა და გერმანელებთანაც ხომ შეგვახსენა თავი. „ნიუკასლის" შემტევმა ეროვნული გუნდის მაისურით 29-ე ბურთი შეაგდო. ინგლისმა კი, არცთუ ურიგოდ მოთამაშე გერმანიას 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ლეგენდარული ფინალის შემდეგ პირველად აჯობა...

თავიდანვე ვიცოდით, კიგანის გუნდს ტონი ადამსი და სტივ მაკმანამანი დააკლდებოდნენ. ორივე დაშავებული გახლდათ. ზოგი ჭირი მარგებელიაო და ადამსის არყოფნა უკეთესიც გამოდგა. მის მაგიერ თანამეთოფე მარტინ კიოუნმა ითამაშა, დაცვის გაძღოლა კი ტოტენჰემელმა გოლიათმა, სოლ კემპბელმა ითავა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უმაღლესი კლასი.

ტრავმაგამიზეზებული მაკმანამანის დასვენება ეგებ სჯობდა კიდეც. მაკმანამანი ტექნიკური ფეხბურთელია და საკითხავია, ასეთ ხისტ თამაშში მოერგებოდა კი გუნდის სათამაშო სქემას? მეორეც, შესაძლოა, ტრავმა კიდევ უფრო გაერთულებინა.

გერმანელებს უფრო მნიშვნელოვანი დანაკლისი ჰყავდათ. კაპიტანი ოლივერ ბირჰოფი, პრაქტიკულად ერთადერთი ნათელი წერტილია ბუნდესნაკრების შეტევაში. კი მაგრამ, კირსტენი, იანკერი და რინკი? კი, ბატონო, გვარები ერთობ შთამბეჭდავად ჟღერს, მაგრამ ინგლისელებთან მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი თითქმის ნული იყო. ერთადერთი იანკერი გამოირჩა რამდენჯერმე, მაგრამ უშედეგოდ. აი, შოლმა და ჰამანმა კი მართლაც კარგად ითამაშეს და თუ გერმანელებმა ბოლო თვეებში საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, ამ ორეულის დიდი დამსახურებაა.

გერმანელების ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, პირველ ტაიმში ინგლისელებს გატანის უკეთესი შანსი ჰქონდათ: მაიკლ ოუენის თავურს ოლივერ კანმა ფანტასტიკური რეაქცია შეაგება და ბურთი მისგან მარცხენა ქვედა კუთხიდან „გამოაძრო".

თამაში ხისტი გამოდგა. ოღონდ არა უხეში. ცხადია, ერთი გოლი ცოტაა, მაგრამ პასუხისმგებლობაც უდიდესი იყო. შირერის გოლს გერმანელების გააქტიურება მოჰყვა. სწორედ ამ დროს შეიქმნა იანკერის მომენტები, მაგრამ... ხან სიმენმა, ხანაც იღბალმა ინგლისელები გადაარჩინა.

და კიდევ, ურთულეს მატჩს კარგად გაუძღვა იტალიელი მსაჯი პიერლუიჯი კოლინა. ბოლო დროს უეფა მას სულ უფრო ხშირად ანდობს უმნიშვნელოვანეს შეხვედრებს. მანამდე, ევრო 2000-ზე, ჰოლანდია-ჩეხეთს გაუძღვა და ჩეხების კარში ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა. ამ შემთხვევამ კოლინა ორმაგად მობილიზებული გახადა და ფაქტობრივად რაიმე თვალშისაცემი შეცდომა არ დაუშვია.

ინგლენდ, ინგლენდ — გუგუნებდა თამაშის შემდეგ შარლერუას ორიგინალური კონსტრუქციის „კომუნალი", კევინ კიგანი და მისი ფეხბურთელებიც ტაშითვე უხდიდნენ მადლობას ერთგულ ქომაგებს. სტადიონს გარეთ კი... გარეთ ისეთი ამბები მოხდა, შესაძლოა ინგლისელები ტურნირიდან საერთოდ მოხსნან...

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ეს თავგასულობა ბოლო ოცდაათი წელიწადია, მძვინვარებს და ფეხბურთს კლავს. ამას აღარ შევურიგდებით" — უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი.

„ინგლისელი ხულიგნები არცხვენენ თავის ქვეყანას და ჩირქს სცხებენ ეროვნულ ნაკრებს. ბოლო 48 საათის განმავლობაში მათი ქცევა შავ ლაქად დააჩნდა ჩემპიონატს. ვერ გამიგია, ინგლისის ხელისუფლება რატომ აძლევს ქვეყნიდან გასვლის უფლებას" — უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი.

ინგლისელმა ვაი-ფანებმა ბრიუსელსა და შარლერუაში პარასკევ-შაბათს მართლაც სამარცხვინო ამბები ჩაიდინეს. იჩხუბეს და ყველაფერი დალეწეს. პოლიციამ 900-მდე ადამიანი დააკავა.

ბოლო ტურში ინგლისელები რუმინელებს ხვდებიან და მეოთხედფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნით, თუმცა... „თუ მსგავსი არეულობები კიდევ განმეორდა, ჩემპიონატიდან მაშინვე მოგხსნით" — აი, ასე დაემუქრა კვირას უეფა ინგლისის ნაკრებს. გამოდის, კიგანის ნაკრების მომავალი მხოლოდ მწვრთნელ-ფეხბურთელებზე აღარაა დამოკიდებული.



ვინ ვის: კარსტენ იანკერი (№19) თუ პოლ ინსი

### მატჩის სტენოგრამა

19 — დიტმარ ჰამანის ძლიერ დარტყმულს დევიდ სიმენი გადაელობა და ბურთი მოიგერია.

25 — დენის უაიზის ჩაწოდებული ბურთი მაიკლ ოუენმა თავით კარისკენ გადაგზავნა. ოლივერ კანმა ეფექტურ ნახტომში დარტყმული მოიგერია და თავისი გუნდი გოლისგან იხსნა.

36 — პოლ სქოულზის ძლიერი დარტყმული გერმანელთა კარს ასცდა.

44 — „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველთა კომბინაცია. დევიდ ბექემმა ბურთი პოლ სქოულზს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა კარში დაარტყა, მაგრამ ოლივერ კანი ბურთს ადგილზე დახვდა.

47 — კრისტიან ციგეს დარტყმული ჯარიმა ინგლისელთა კარს ასცდა და ძელს ახლოს ჩაუფრინა.

53 — დევიდ ბექემის ჯარიმიდან ჩაწოდებულს გერმანელი მცველები უყურადღებოდ მოეკიდნენ. ალან შირერმა ზუსტი პოზიცია შეარჩია და ბურთი თავით კარში გადაგზავნა. ოლივერ კანმა ვერაფერი შეძლო, ინგლისელები დაწინაურდნენ — 1:0.

56 — მარკუს ბაბელმა ბურთი კარსტენ იანკერს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან დაარტყა, მაგრამ უშედეგოდ.

59 — მეჰმეთ შოლს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ასცდა ინგლისელთა კარს.

66 — გერმანელებმა ერთ-ერთი ყველაზე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს. მეჰმეთ შოლმა კუთხური ჩააწოდა, მარკუს ბაბელმა ბურთი თავით ულფ კირსტენს დაუგდო, ფორვარდის დარტყმულს დევიდ სიმენი გადაელობა და ბურთი მოიგერია. იქვე კარსტენ იანკერი გამოჩნდა, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ კარს ააცილა.

### მატჩის შემდეგ

**კევინ კიგანი** (ინგლისის ნაკრების მწვრთნელი): „ძალიან ბევრი ვირბინეთ. თანაც, უმეტესად უბურთოდ მოძრაობა გვიწევდა. გუნდური სულისკვეთების მხრივ, ყველაფერი რიგზე გვაქვს. ახლა მეტი ერთიანობა გვჭირდება და ვფიქრობ, შორს წავალთ. მთავარია, საკუთარი უნარისა ბოლომდე გვწამდეს.

ჯგუფის ბოლო მატჩში რუმინელებთან ფრეც გვყოფნის. ალბათ იკითხავთ, მოგებაზე არ ფიქრობთო? ცხადია, გამარჯვება კარგია, მაგრამ ახლა ფრე გვჭირდება და მივაღწევთ კიდეც. ერთობ ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს. კმაყოფილი ვარ ახალგაზრდების მუშაობითაც. ყველამ ბევრი გაიღო გერმანიასთან მოსაგებად, მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა დავივიწყოთ, წინ ახალი მიზნებია.

გერმანელებზე კი ვიტყვი, რომ ძლიერი გუნდია. ძალიან ცდებიან ისინი, ვინც მათ სათვალავში აღარ აგდებს".

**ერიხ რიბეკი** (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): „დამარცხებას ვიმსახურებდით. პირველ ტაიმში უპირატესობა გვქონდა და თითქოს საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ამიტომ, ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. ინგლისელებმა კი თავისი შანსი გამოიყენეს.

გოლი სტანდარტული სიტუაციიდან, ბექემის ჩაწოდების შემდეგ გავუშვით. ჩვენ ვიცოდით მეტოქის ეს სვლა და ტაქტიკურ მეცადინეობებზე არაერთხელ განვიხილეთ, ჩანაწერებიც ვნახეთ, მაგრამ... წამიერმა უყურადღებობამ ყველაფერი წყალში ჩაყარა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა".

**ლოთარ მათეუსი** (გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი): „ეს ნერვების თამაში იყო. ინგლისელებმა თავისი ერთადერთი შანსი გამოიყენეს. ჩვენ გატანის მეტი საშუალება გვქონდა, მაგრამ... დიდი მიზნები დავისახეთ, მაგრამ მინდორზე მხოლოდ ნაწილი შევასრულეთ. ასე რომ, დამსახურებულად დავმარცხდით. ახლა, ისღა დაგვრჩენია, პორტუგალიასთან ბოლო მატჩში მინიმალური შანსის იმედადღა ვიყოთ".

**გიუნტერ ნეცერი** (გერმანიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე): „ბოლო ორი წელიწადია, გერმანულ ხასიათს ველარ ვავლენთ, ველარც გამართული გუნდური თამაში გამოგვდის. სადღა არიან, ვარსკვლავები, რომლებსაც ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით მარტოებს შეეძლოთ მატჩის ბედის გადაწყვეტა.

ასე რომ, ყველაფერი ლოგიკურია. საკითხავი ისაა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე. ეს მარცხი მით უფრო დასანანია, რომ ინგლისელებს განსაკუთრებული არაფერი ეჩვენებათ.

**იოჰან კრუიფი** („ბარსელონას" ყოფილი მწვრთნელი): „ინგლისელებს დაცვაში აშკარა ჩავარდნები ჰქონდათ, მაგრამ გერმანელებმა ეს ვერ გამოიყენეს. რიბეკის გუნდმა ვერც მოედნის ცენტრში გააწყო ვერაფერი, საიდანაც, როგორც წესი, საგოლე სიტუაციები მწიფდება ხოლმე. ინგლისელმა ვარსკვლავებმა ბექემმა და შირერმა კი, ფაქტობრივად, ორმა მოუგეს მოწინააღმდეგეს".



ეს ესაა ალან შირერმა (მარცხნივ) გერმანელებს გამარჯვებისა გოლი გაუტანა

ზურაბ მექვალია



ბრიუსელიდან

ინგლისელმა გაი-ფანებმა ბრიუსელსა და შარლერუაში პარასკევ-შაბათს სამარცხვინო ამბები ჩაიდინეს. ცხადია, იჩხუბეს და ყველაფერი დალეწეს. პოლიციამ 900-მდე ადამიანი დააკავა, რომელთა უმეტესობა ბრიტანელია.

390 ინგლისელი და 31 გერმანელი უკვე გააძევეს ქვეყნიდან...

„თუ მსგავსი არეულობები კიდევ განმეორდა, ჩემპიონატიდან მაშინვე მოგხსნით"

აი, ასე დაემუქრა კვირას უეფა ინგლისის ნაკრებს.

# რვა ულიგნური საათი

*ის, რომ ინგლის-გერმანიის მატჩს ვერ დავესწრებოდი, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ვიცოდი უეფას მიერ „სარბიელისთვის" გამოყოფილ ბილეთებში ამ თამაშისა ერთიც არ ერია. შაბათს შარლერუას პრეს-ცენტრში ორიოდ წუთით შესულმა აღმოვაჩინე, რომ ჩემს დღეში სამასამდე (!) ჟურნალისტი იყო. „ეს სკანდალია" აღშფოთებას ვერ მალავდა დანიელი კოლეგა; „სად არის თქვენი უფროსი? ალბათ თავად სტადიონზე ზის" ღელავდა ფრანგი; „ეს აღმაშფოთებელია" თვით ინგლისური „გარდიანის" რეპორტიორიც კი პრეს-ცენტრის ტელევიზორის ამარა დარჩა. ბულგარელები, როგორც ყოველთვის, უშფოთველად ილანძღებიან. ბერძენი კი წყობიდან გამოდის, მაგიდაზე მუშტს ურტყამს და... ახლა ჟანდარმებს გამოვიძახებთ ლამის აცრემლებული იმუქრება ადგილობრივი პრეს-ატაშე.*

*ჟანდარმი არა, შაშვი. სულ თქვენთვის სცხელათ ვამბობ გულში და კვლავ შაბათის შარლერუას ცხელ ქუჩებს ვუბრუნდები.*

## პომპეი და ფორესტი

ღამის 12-ის ნახევარია. მატარებელი ბრიუსელის სამხრეთ სადგურზე ჩამოდგა. ვემშვიდობები — აბა, კარგად, ფინალზე გნახავთ. აბა, ჰე, ძმაო — მპასუხობს — ისე, შენ კი იქნები როტერდამში, მაგრამ ჩვენები ასეთი თამაშით იქამდე ვერ მივლენ.

არადა, ამ კაცს თამაში არ უნახავს.

მე რა, ვნახე? როცა დალეწილ და პოლიციელებით გარშემორტყმულ ბარს მივადექი, თამაში ათი წუთის დაწყებული იყო, მეორე ტაიმის 37-ე წუთზე კი უკვე ბრიუსელისკენ მიმავალ მატარებელში ვიჯექი.

ვსხედვართ ოთხნი: მე, სერბი ჟურნალისტი და ორი მთვრალი ინგლისელი. ამ ორიდან უფროსს, ასე, 50-ს მიტანებულ ულვაშას, თვალებზე ქუდი აქვს ჩამოფხატული და ძნელი გასაგებია, ვის გველაპარაკება. არადა, ენას არ აჩერებს. ჯერ იკითხა, გოლი ვინ გაიტანაო, მერე კი გაგვეცნო — „ნოტინგემ ფორესტის" გულშემატკივარი ვარო. მეორე, მასზე ალბათ ათი წლით უმცროსი, დაბოლმილია და თავისთვის იგინება: ამ ევროპის დედა... ვინ არიან, ეს ბანძები. აქ ჯერ მე-15 საუკუნეა. და საერთოდ, ყველას დედა „პომპეის"გარდაო. სერბს უკვირს. ვუხსნი, რომ პომპეი „პორტსმუთის" მეტსახელია.

დაბოლმილი პრესის ბარათს ამჩნევს და ქართველი მწვრთნელივით შეტევაზე გადმოდის: „კაცო, თქვენ რომ წერთ, ეს ფაულერიო, ეს ჰესკიო, ეს კოულიო... ეგ უმაქნისები ფეხბურთელები გგონიათ? ჩვენი თავდასხმა უნდა იყოს ფილიპსი და კოლიმორი. კარგით, სტანი დამტვრეულია. ფილიპსი ხომ ჯანზეა. ქაჯია ეს კიგანი, ნამდვილი ქაჯი! არა, ფორესტ?"

„ფორესტმა" ვიერი ვინ არის, არ იცის. რონალდო გაუგია. თან ისეთი კაცი ჩანს, სმა და ხალხში ყოფნა უყვარს, კამათი კი არა, ამიტომ ეთანხმება, თუმცა იცინის. „პომპეი" უფრო იბოლმება — მაშ ასე, თუ მეორეზე გავედით, „ეიზელი" განმეორდებაო.

ამ დროს ვაგონში შემოდის... ფერია. წკრიალა ხმით ოთხ ენაზე გვესალმება და ბილეთის ჩვენებას გვთხოვს. დაახლოებით ათ წუთს ჩერდება ჩვენს ადგილებთან კონტროლიორი გოგონა, მისი წასვლის მერე კი ყველაფერი იცვლება. ან რეები თქვა, ან რა გვაცინა! რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით, ინგლისმა ხომ მოიგო, თანაც ცხოვრება მშვენიერიაო — უთხრა დაბოლმილს. რა მშვენიერი ულვაშები გაქვთ, სერ — ვითომ აღფრთოვანდა „ფორესტის" დანახვაზე. ო, ასეთ მნიშვნელოვან ხალხს ბილეთს ცხოვრებაში პირველად ვუმოწმებო — მე და სერბიც გამოგვაცოცხლა.

ბრიუსელამდე დარჩენილი გზა მშვენიერ საზოგადოებაში გავატარე. ხან მთისა ითქვა, ხანაც ალან ბოლისა. თან იმას ვფიქრობდი, პოლიციელების ნაცვლად რომ ასეთი გოგონები აკონტროლებდნენ ბელგიის ქალაქებს, რაღა გაუჭირდებოდათ.

## შარლერუას რა გინდოდა...

პარასკევია. ინგლის-გერმანიის წინა დღე. ბრიუგეში მივდივარ. სადგურის სალაროს რიგში ჩემს წინ სამი ინგლისელი დგას. „სამი ბილეთი შარლერუამდე და უკან. დიახ, დღესვე დასაბრუნებელი" — აიღეს ბილეთები და წავიდნენ. რა უნდათ დღეს შარლერუაში? და თუ მიდიან, უკან რაღას ბრუნდებიან? რა, ქუჩების განლაგებას სწავლობენ თუ მოწინააღმდეგის რაოდენობას? აბა, რა გითხრათ.

## შარლ მეორის სია

შაბათი. ბრიუსელის გრანდ-პლასი და მიმდებარე ტერიტორია ინგლისელებითაა სავსე. ყველა ბარში ისინი სხედან. მთელ ლუდს ისინი სვამენ.

12 საათი და 27 წუთი. ცენტრალური სადგურიდან შარლერუას მორიგი მატარებელი გავიდა. ისიც ინგლისელებით გატენილი. ჯერჯერობით სიწყნარეა. ვინ გვასახელებს დღეს? — ხმამაღლა კითხულობს ერთი. „ფილ ნევილი" — პასუხობენ და სიცილით კვდებიან. 53 წუთში „ინგლისური მატარებელი" შარლერუას მეხუთე ბაქანზე ჩამოდგა.



ბელგიაში ბურთთან ერთად სხვაც ბევრი რამ დაფრინავს, უფრო ხშირად სკამები

REUTERS შარლერუადან

ასეთი სცენა ბოლოს სპილბერგის „შინდლერის სიაში" მინახავს: სანამ ყველა ვაგონთან ათამდე ხელკეტიანი, ფარიანი, ჩაფხუტიანი, ცრემლსადენგაზიანი პოლიციელი არ დადგა, მანამ კარები არ გაალეს. სადგურის მაღაზიები და სალაროები დაკეტილია, ვიტრინების მეორე მხრიდან კი შეშინებულ-გაკვირვებული მომსახურე პერსონალი თუ ჩვეულებრივი მგზავრები იცქირებიან. ბაქანზე ჩავდივართ, რაღაც გვირაბისკენ მიგვითითებენ. არსაით სხვაგან — მხოლოდ იმ გვირაბში, რომელიც, თურმე, ასიოდ მეტრია სიგრძით და პირდაპირ ქალაქში ამოსასვლელით მთავრდება.

„წინ წადი, ეს შენ არ გეხება" — მეუბნება მატარებელში გაცნობილი „ვულვერჰემპტონის" ფანი. სად მეჩქარება, რო? თანაც, გვირაბი გატენილია და გულით რომ გინდოდეს, ვერც გახვალ. 20 წუთში ამოსასვლელს მივუახლოვდი და ვხედავ — ყველას, უკლებლივ ყველას, ჩხრეკენ და მატჩის ბილეთისა და საბუთების წარდგენას მოითხოვენ. უბილეთოებს მარცხნივ უშვებენ, „პატიოსნებს" კი მარჯვენა გზას უხსნიან. ჩემი რიგიც მოვიდა. ის იყო, შავფორმიანმა ხელების ფათური დამიპირა, საკრედიტაციო ბარათი ვუჩვენე. „მერსი" და ხელი მარჯვნივ გაიშვირა.

„მემარცხენეებს" კი ზემოთ არნახული სერვისი ელით — იქვე, ეგრევე, შავ, გისოსებიან მანქანებში და ასეთივე ავტობუსებში სხამენ და სადღაც მიჰყავთ. „ამათ მარშრუტს ხომ ვერ მეტყვით"? „უკაცრავად, მუსიე, მე კი ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვით. თუ გნებავთ, ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ტელეფონს მოგცემთ და ის გაგცემთ პასუხს" — ლამის შერცხვა ერთ-ერთ შავოსანს, მაგისთვის აღარ მცალია — ზემოდან უკვე გუგუნი ისმის: ინგელაანდ, ინგელაანდ!

სადგურიდან ერთი პატარა ხიდია გადასასვლელი, მერე ელბაქიძისხელა აღმართი ასასვლელი და პირდაპირ ქალაქის მთავარ, შარლ II-ის მოედანზე ხართ. აქ შეკრებილია მთელი „მემარჯვენე" არმია — ინგლისურიც და გერმანულიც, ოღონდ პირველებს მოედნის სამი მეოთხედი, უმეტესად ქვედა ნაწილი დაუკავებიათ, მეორეებს კი — ზედა ნაწილის ნახევარი. პოლიცია შუაგულში, წრიულადაა განლაგებული და ამათ ერთმანეთში შერევას ხელს არ უშლის.

აქაც ხორხოცია და ლუდის სმა. ერთი წუთით წარმოიდგინე, უცბად რომ ყველას ხელიდან გავარდნოდა პლასტმასის ჭიქა (ჩვეულებრივ ჭიქას იმ დღეს ბრიუსელშიც კი ვერ ნახავდით), შარლერუას „ელბაქიძეზე" მიმავალთ ალბათ სადგურამდე ჩარეცხავდა.

გავიდა საათი, საათნახევარი. „შარლ მეორე" ძირფესვიანად შევისწავლე (რა იცი, რა ხდება). მოედანზე რვა ქუჩა შემოდის. აქედან ოთხი ჯავშანმანქანებითაა გადაკეტილი და მომსვლელებს აქაც სათითაოდ ამოწმებენ. დანარჩენ ოთხზეც პოლიცია დგას, ორგან — ცხენოსანი. და კიდევ, სიტუაციას ზემოდან ვერტმფრენები აკონტროლებენ.

ვგონებ, არაფერი მოხდება. მოედნის ერთ კუთხეში გაჩაღებულ ბურთაობაში ჩავები, მერე კი ერთ-ერთი ბარის წინ მაგიდასთან ჩამოვჯექი, „ინგლისური" და „გერმანული" ტერიტორიების საზღვარზე.

## პირველად, ოღონდ მეორედ

ყველაფერი ხუთ წუთში დაიწყო. რვათაგან ერთ-ერთი ქუჩიდან ათამდე ხელკეტიანი პოლიციელი გამოვარდა და ჩვენი ბარის წინ მდგომი ადამიანი (არც ინგლისურად ეცვა და არც გერმანულად. ვეჭვობ, ბილეთების გადამყიდველი უნდა ყოფილიყო) თვალის დახამხამებაში გაკოჭა და უახლოესი ქუჩისკენ გააქროლა. რაღაც ხდებაო და ოპერატიულ ჯგუფს უკან ტელეოპერატორთა არმია გაეკიდა. რაღაც ხდებაო და ამათ ინგლისელები მიჰყვნენ. რაღაც ხდებაო და არც გერმანელები დარჩნენ ადგილზე. აირია მონასტერი. თქვენი დედაცო და ჩემს გვერდით ერთმა ინგლისელმა ხელი სკამს სტაცა...



ბრძოლით გახურებულ ფანებს ბელგიის პოლიცია წყლითაც აშოშმინებს

REUTERS შარლერუადან

მართალი გითხრათ, [illegible] — ბოლო-ბოლო, თუ [illegible] მითა თუ გინდათ მაგიდით სიკვდილი მიწერია, ბარემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას-მეთქი, გავიფიქრე. ხუმრობა იქით იყოს და, ამდენი მფრინავი ავეჯი მართლაც საოცარი სანახავი იყო.

ნახევარ საათში მსგავსი რამ ოთხჯერ განმეორდა. თითოეული ეპიზოდი საშუალოდ წუთ-წუთნახევარს გრძელდებოდა და პოლიციელთა ჯავშანმანქანიდან წყლის „სროლით" მთავრდებოდა. კიდევ ნახევარი საათი მაისურისა და ბლოკნოტის გაშრობას მოვუნდი. თან მშრალ ფურცელზე ჩავიწერე: „თბილისშიც ასე იყო, 1977-ში. ერთი ბიჭი პოლიციელებმა 70 ათასი კაცის თვალწინ, ზედ საფეხბურთო მოედნის ცენტრში გალახეს და ყველაფერი ამით დაიწყო".

საოცარია, მაგრამ სანამ ახალი, შედარებით უხიფათო ადგილი მოვძებნე, კაფე-ბარების პერსონალმა გადარჩენილი ინვენტარი ადგილზე დაალაგა და... ვაჭრობაც განახლდა. აბა, ცივი ლუდი!

ულირთ, ბატონო. დამტვრეულ სკამებადაც ულირთ და ჩამტვრეულ ვიტრინებადაც.

## ჟან ლუი დავიდის გვერდით

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფეხბურთი ხომ სადმე უნდა ვნახო. პრესცენტრის თანამშრომელი გაკვირვებულია, როცა მანქანას ვითხოვ (მატჩის ბილეთი არაა ჩვენთვის, თორემ მომსახურება, იცოცხლეთ, ისეთია), თუმცა გაწბილებულ ჟურნალისტებს ლამის უკვდავების წყალს გვთავაზობენ და ამიტომ მძღოლს დაუყოვნებლივ იძახებს.

საით წავიდეთ? მაღლა ვიყურები და ვეუბნები — აი, იმ ადგილას, რომლის თავზეც პოლიციის ვერტმფრენი გუგუნებს. ამასაც უკვირს.

ათ წუთში საგიჟეთში ვარ. ბარს რა ჰქვია, არ ვიცი — არც ერთი შუშა და აბრა აღარაა მთელი. აღარც მომსახურე პერსონალია შიგნით. ბარში მხოლოდ ერთი ტელევიზორი და ორასამდე გატიალებული ინგლისელია. პოლიციას ალყა შემოურტყამს — შიგნით არავის უშვებს, ბარიდან გამობანცალებულს კი ეგრევე ხელებს უკრავს და სადაც ჯერ არს ბელგიურად, იქ აგზავნის. „მუსიე, გირჩევთ არ შეხვიდეთ. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ" — მეუბნება ჟანდარმი და ხელით დალეწილ ბარსა და მეზობელ, ასეთსავე დღეში მყოფ მაღაზიებზე მანიშნებს. „ნუ ნერვიულობთ", მასაც ვაწყნარებ, საკუთარ თავსაც და ჩემი „ბლატნოი" ინგლისურის იმედად ალყაშემორტყმულ ტერიტორიაზე შევდივარ.

პირველი, რაც თვალში მხვდება, „ჟან ლუი დავიდია", პრესტიჟული მაღაზია, ოღონდ ახლა გასარემონტებელ საბჭოურ გასტრონომს დამსგავსებია. თუმცა რა დროს მაღაზიაა, რა ანგარიშია, ის მაინტერესებს.

არა, ამას ველარ აღვწერ. რანი არიან და რა უნდათ, თავად არ იციან და მე როგორ გითხრათ. ამათ ფეხბურთიც არ აინტერესებთ, ამათ ფანი არ ჰქვიათ. ესენი არიან „ულიგან" ანუ აქაურად ხულიგანი. ყოველ წუთს თითო კაცი ეცემა, წუთში ორი გარეთ გარბის საჩხუბრად და ველარც ბრუნდება. მეორე ტაიმის დაწყებისთვის შენობაში ათიოდე საგანი დარჩა დაუმტვრეველი (ტუალეტის კარები, ორი მაგიდა და სხვა) და ისიც მალე შირერის გოლმა შეიწირა.

გარეთ გამოსულს იგივე პოლიციელი მუშაობას მიქებს. ეჰ, თუ ძმა ხარ, რის მუშაობა — ვიდექი და ისტ-ლონდონური აქცენტით გერმანელებს ვლანძღავდი.

... ქუჩაში ასობით ინგლისელი დაბორიალობს (ამ დროს თამაშია გახურებული), ერთ თავგატეხილს ექიმები ასევიან, 15-მდე კაცი კი პოლიციას მუხლებზე დაუყენებია და „ეტაპის" მოლოდინში ბელგიურ კანონმდებლობაში ანათლებს.

ბრიუსელის ბინაში დაბრუნებული ტელევიზორს ვრთავ. „ულიგანია" ყველანაირ ფრანგულ ბრუნვაში.

ერთი თქვენი დედაც-მეთქი და ვიძინებ. „უემბლი" მესიზმრება, „უემბლი" და მისი განუმეორებელი ატმოსფერო.

ეს და ის ერთი ხალხია? ცხადია, არა.

მით უმეტეს, ოუენმა რა დააშავა?



გია აბულაძიანი

წერილები აღმოსავლეთისკენ



ბრიუსელიდან

# ქალაქის დაპყრობის ხელოვნება

### მოხუცი ჯონისთვის

ჯონ ჰექსტონი 79 წლისაა. ის ახლა ვიტლიბეიში ცხოვრობს საკუთარ სახლში და საღამოობით ევროპის ჩემპიონატის რეპორტაჟებს უყურებს.

საღამოობითვე მოხუც ჰექსტონს ერთი ძველი მოწაფე ურეკავს ხოლმე. მოიკითხავს, წაეჭორავება და მშვიდობით ძილს უსურვებს. ჯონი არაფერს სთხოვს მოწაფეს, უფრო სწორად, ისეთს არაფერს. არც უთხოვია ოდესმე, ოღონდ კი, როცა მოწაფემ მოხუცის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, ლონდონში ჩავიდა, ერთ განთქმულ კლინიკაში მივიდა და ძვირი ოპერაციისა და მოვლის ყოველგვარი ხარჯისთვის ანგარიში გამოწერა.

ჯონს არასდროს არაფერი უთხოვია, უბრალოდ, სთხოვდა, რომ ყოველ თამაშში გოლი გაეტანა. ჩვიდმეტი წლის წინათ ჯონ ჰექსტონი სწორედ ის კაცი იყო, ვინც ბავშვთა გუნდებში უვარგის მეკარედ მიჩნეული ნიუკასლელი მეთუნუქის ვაჟი, ალან შირერი დიდი მომავლის ბიჭად მიიჩნია და ცენტრფორვარდის ხელობა შეასწავლა.

რა გამოვიდა ამ საქმიდან, კარგად ვიცით.

პარასკევს, 16 ივნისს მოხუცმა წერილი გაუგზავნა ალანს და სთხოვა, ამ ჩემპიონატზე შენი სანაკრებო გოლების რაოდენობა უნდა დაამრგვალოო. აქამდე შირერს 61-ჯერ უთამაშია ნაკრებში და 28-ჯერ გაუტანია. ჰექსტონმა იმიტომ მიწერა ალანს, რომ ბოლო ორი წელიწადი ნიუკასლელი ფორვარდის თამაშში უფერული გამოდგა და კრიტიკოსთა შეძახილებიც გაისმა: ნაკრების კაპიტნობა კი არა, ცხრანომრიანი მაისურაც აღარ ერგებაო.

„ნიუკასლში“ მთვლემარე კაპიტანი ბობი რობსონმა გამოაფხიზლა. მაღალი დონის სანაკრებო თამაშებში შირერის გოლებს კი ხალხი იმდენ ხანს ელოდა, რომ მუხლამდე წვერი გაეზარდა.

და მერე ჰექსტონის წერილი იყო ბედისწერა თუ სიმბოლო. ალან შირერმა ჩვეული თავურით გაუტანა გერმანელებს. „ალან შირერის გოლმა ინგლისს ის გამარჯვება მოუტანა, რომელსაც ოცდათოთხმეტ წელიწადს ველოდით“ — ასე დაიწყო ბიბი-სის ახალი ამბები შაბათს საღამოს თერთმეტ საათზე. თეძოდაშავებულმა შირერმა გერმანელებთან შეხვედრის ბოლო ოც წუთში გატანჯა მეტოქის დაცვა და თამაშის გმირად გამოცხადდა. ლოთარ მათეუსმა თავისი მაისურა გაუწოდა და ისინი ერთად გავიდნენ მოედნიდან.

თამაშისას მეტს აღარაფერს მოგახსენებთ, რადგან „სარბიელის“ საფეხბურთო მწერლები ილია ბაბუნაშვილი და ზურაბ მეძველია იმგვარად არიან გარკვეულნი ბელგიის სარკინიგზო გრაფიკში და აქაურ ვითარებაში, რომ ერთი მოხეტიალე მესვეტის აღწერილობანი საინტერესო არ იქნება.

მთავარი მაინც ის იყო, რომ შაბათს ბრიუსელში აღმოვჩნდი და მოხუცი ჰექსტონის ადრევე დამარაგებულმა ამბავმა თითქოს მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ შირერის გოლმა...

თუმცა ლირიკისა და საგაზეთო ცრემლებისთვის ბრიუსელში ვერაფერს იპოვნიდი (რა თქმა უნდა, ამ დღეებში). იმას, რომ ევრო 2000 ამ ქვეყანაში მიმდინარეობს, ორი რამ მიგახვედრებთ: ჩემპიონატის ოფიციალური პლაკატი და ავტობუსის გაჩერებათა ვიტრინებში გამოდებული ზიდანის, ბექემისა და ნილისის დიდი ფოტოები წარწერით „ოდესმე ყველა იწყებს“. და კიდევ, საფეხბურთო სუვენირებით გაძეძგილი მაღაზიები.

აი, ეს ორი რამ და...

ამ უქმეებზე ბრიუსელში ჩამოსული ინგლისელები

### ფანობა

ამ საგაზეთო ფურცელს რომ ვავსებ, ჩემი სასტუმროს ნომერში ქვემოდან არეული სიმღერის ხმა მოისმის. სასტუმროს „ვან ბელი“ ჰქვია, არაბთა უბანშია და მასში 51 ინგლისელი ცხოვრობს. ბარის გარეთ კონფლიქტია. ქალაქის შუაგულამდე მისვლას ფეხით ოცი წუთი უნდა, გზად კი ინგლისელებს აუცილებლად მოუხდებათ რაღაც. არაბებსა და თურქებს ისინი დიდად არ არჩევენ ერთმანეთისგან. შაბათ დილით აქ გამოცხადდა, რომ ორშაბათს ანუ იმ დღეს, როცა თურქეთის ნაკრები თამაშობს ბელგიელებთან, ინგლისელი ფანობა ბელგიას დაუჭერს მხარს და თურქულ რესტორნებსა და ჩაიხანებს მოარბევს.

თურქებისა დიდი ჯავრი სჭირთ ინგლისელებს. გუშინწინ „გალათასარაიმ“ ამხანაგურად თამაში სთხოვა „მანჩესტერ იუნაიტედს“. „იუნაიტედის“ უფროსობა კი „ლიდსისას“ დაეკითხა, ვითამაშო თუ არაო, რაზეც თანხმობა მიიღო.

ეს იქით იყოს და, ფანობის გამო განვმარტავ — თავისთავად ფანი ლიპიან, სვირინგიან, გალეშილ, სკამის და მაგიდის მსროლელ, შუა ქუჩაში მომშარდავ ჯეელს არ ნიშნავს. ამათი უმრავლესობა წესიერი კაცია, მაგრამ ყოველ ათასეულში ასი-ასორმოცდაათი ნაღდი ხულიგანიც გამოერევა. აი, ამათია მთელი არეულობა.

ამ დღეებში ბრიუსელი თეთრ-წითლადაა გაფერადებული. ათასობით ინგლისელი, ოციდან ორმოც წლამდე ჯანიანი, გახოტრილი, წელზევით შიშველი, დროშამოსხმული, მომღერალი ბეხლეწი დგას ბელგიის დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე.

ამათი უმრავლესობა ის ხალხია, ვისაც ბილეთი არ აქვს ანუ თამაშებს ბარებსა და ტავერნებში უყურებს იმის იმედით, რომ რომელიმე მატჩის ბილეთს იშოვის. ვერავინ დამარწმუნებს, რომ შარლერუას სტადიონზე მეტი ინგლისელი იყო 17 ივნისს, ვიდრე ბრიუსელის ქუჩებში.

ინგლისელებს უკვე შეურჩევიათ საყვარელი ადგილები. გრან პლასზე (მთავარ და ულამაზეს მოედანზე) კაფე „კასა მანეული“, ტაბორას ქუჩის კუთხეში დანიურ დუქანთან, „ინგლისურ სახლში“, ბურგომისრ ბულის ძეგლთან და ბრიუსელის ბირჟის წინ, ბარ „მონტე კრისტოში“. ინგლისელებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, მაგრამ თავშეყრის ადგილები აქა აქვთ.

ერთი კვირაა, ბრიუსელში, ამ თიხისა და ბროლის კათხების ქალაქში ლუდი პლასტმასის ჭიქებით იყიდება, რადგან თიხისა და ბროლის კათხის სროლის მსურველი აქ ძალიან ბევრია.

ბელგიური პოლიცია მკაცრად და არცთუ რბილად მუშაობს. თუმცა სხვაგვარად არც გამოვა. შარლერუაში გერმანულ-ინგლისური ომი ბრანსპოიტებითა და ცხენოსანი პოლიციის ნავარდით დაიშალა. თუმცა მე იმას მოგახსენებთ, რაც ჩემი თვალით ვნახე ბრიუსელში.

### პოლიცია

აქ, ბრიუსელში თავშეყრილ ინგლისელებს რომ ვუყურებ, ვხვდები, როგორ დაიპყრეს მათმა წინაპრებმა ნახევარი მსოფლიო. ეს ვეება ჯეელები სწორედ იმ თავზეხელაღებულ ჯარისკაცთა შთამომავლები გახლავან, კალკუტასა და უფრო შორეულ ალაგებს რომ იკავებდნენ.

მათი გაგდება შეუძლებელია!

მათი დაწყნარება შეუძლებელია!

მათთან მოლაპარაკება შესაძლებელია მხოლოდ მათთვის ხელსაყრელი პირობებით!

გულუბრყვილო ტურისტები ფოტოებს უღებენ კაფეთა ტერასებზე მომღერალ ფანებს. ჰგონიათ, რომ ისინი ზეიმობენ. ამ დროს ჯეელები საომრად ემზადებიან, ხურდებიან, ასე ვთქვათ.

ლამის მთელი დღე ტელეეკრანზეა ბრიუსელის ბურგომისტრი, პოლიციას კი ასეთი ტაქტიკა აქვს: გრან პლასისკენ მისასვლელ ქუჩებზე ჯებირები დგას. მინიბასებში მსუბუქად და მძიმედ შეიარაღებული პოლიციელები სხედან. არსებობს პოსტებიც. ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრს ანტუან დუკუსლეს ხშირი საუბრები აქვს ბრიტანელ კოლეგასთან, ჯეკ სტროუსთან. მაგრამ ესეც არ უშველიდა საქმეს, აგენტები რომ არა. ინგლისელთა თავშეყრის ადგილებში 20-25 იერით პოლიციელად ამოუცნობი კაცი მორიგეობს. მხოლოდ იმით თუ დაწვავ, რომ ყურში ძალიან პატარა გადამცემები აქვთ. ყოველ ხიფათს რაზმეულს სწორედ ისინი ატყობინებენ და კონფლიქტისას თავადაც აქტიურად მოქმედებენ: იჭერენ, კოჭავენ და ა.შ. ჩემს თვალწინ შაბათ დილით „ინგლისურ სახლთან“ სწორედ ამგვარი შეტყობინებით დააპატიმრა რვაკაციანმა, მძიმედ შეიარაღებულმა რაზმმა წინა საღამოდან ძებნილი ორი ბიჭი. იქ ათასამდე ფანი იყო, მაგრამ კონფლიქტი არ მომხდარა. ბიჭები გაკოჭეს და წაათრიეს. ბრბო ავისმომასწავებლად გუგუნებდა: „ბუუუუ“! „ბუუუუუ“!.. ოღონდ არ ჩარეულა, დილა იყო, ლუდი ბევრი არ დალეულიყო.

„ბუუუუს“ ფანები პოლიციის მოახლოებისას ყვირიან. ხმა ხმას ურთდება და თითქოს ომი იწყება. დღეში 100 კაცს მაინც იჭერენ და მათ უმრავლესობას ინგლისში ისტუმრებენ. ამის გამო ლონდონში ავიაკრიზისია. კომპიუტერი დაიქანცა და უამრავი რეისი გადაიდო.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ ბელგიური პოლიცია სისხლის მოყვარული არ არის. თუკი იქაურ აგენტს კონფლიქტის თავიდან აცილება ძალუძს, ხმალზე ხელს არ გაიკრავს. 17 ივნისს ორ ასეთ შემთხვევას შევესწარი. ერთი ნაღდად საშინელების მომასწავებელი იყო. ასე, 35 წლის ინგლისელმა შუათითი დაანახა თვრამეტიოდე წლის არაბ ბიჭს, რომელმაც ვიწრო ქუჩაზე გავლისას მხარი გაჰკრა. არაბი ათიოდე ნაბიჯით გაშორდა, მიტრიალდა და თავის სიამაყეზე მიუთითა. ინგლისელისგან გინება წამოვიდა. ბიჭმა კვლავ მიუთითა. პირველი მთვრალი იყო, მეორე — დაბოლილი. ინგლისელები ოცდაათნი იყვნენ, არაბები — ორნი. უეცრად არაბის წინ ამოიზარდა გაუპარსავი, შორტებიანი კაცი, ცხვირზე საბუთი მიაფარა და მსუბუქად უბიძგა. მეტად მოხერხებულად გაარიდა იქაურობას. ბევრს არავის შეუმჩნევია ეს ამბავი ხალხმრავალ ქუჩაში.

„მონტე კრისტოში“, სადაც უშველებელ ეკრანზე ვუყურე ინგლის-გერმანიის მატჩს, ყველა გახედვაზე ახალ აგენტს ვხედავდი.

დიდი სიმღერები რომ დაიწყო, ძლივს გამოვაღწიე იქიდან. პლასტმასის კათხების მთებს ვუქცევდი გვერდს და ისე მოვდიოდი ქუჩაზე.

ეს ქალაქი დაპყრობილია. მთელი დღე დავეძებდი ისეთ ადგილს, სადაც წყნარად, ინგლისელთა გარეშე ჩამოვსხდებოდით ილია ბაბუნაშვილი და მე. არ გამოვიდა. ბოლოს პოლიციის შენობასთან დავსხედით კაფეში, იქაც მოვიდნენ, ერთ საათს მაინც არჩევდნენ საქმეს პოლიციელებთან.

მატჩისშემდგომ სიტყვაში კიგანმა პირველად ფანები ახსენა, მათმა მხარდაჭერამ მოგვაგებინაო.

ძალიან ძნელი შესაჩვევია მათი ცქერა, მაგრამ ბელგიელები მშვიდი ხალხია. პარასკევ ღამით ჩემმა მეზობელმა ესპანელმა ალბერტო პორლანმა ნომრის კარზე დამიკაკუნა და მითხრა, ახლა რესტორანში ვიჯექი, ქუჩაზე ინგლისელებმა ჩამოირბინეს და ერთ-ერთმა სამჯერ გაისროლა დამიზნებითო. მე კი ნანახი მქონდა, პოლიციასთან გაწევ-გამოწევისას ბრბოს როგორ გამოეყო ერთი დაბალი ბიჭი, ქუჩის კუთხეში განმარტოვდა, მობილური იძრო და დასახმარებლად უხმო სხვა საძმოს წევრებს.

უცნაურია დღევანდელი ომები.

თუმცა ამ ხალხის გარეშე ინგლისური ფეხბურთი დღეს წარმოუდგენელია და ხვალ რა იქნება, არ ვიცი. არც ის მინახავს სადმე, ამდენი უხეში, მუშტმოღერებული ადამიანი ასე ხმამაღლა, ასე გემრიელად, ასე ამაყად მღეროდეს თავისი სამშობლოს ჰიმნს, რაც ტურისტებს ზეიმი ჰგონიათ, სინამდვილეში კი ძველი დროიდან გადმოვარდნილი საბრძოლო ყიჟინაა და მეტი არაფერი.

# კოელიუმ იენეი დაჯობა

**A ჯგუფი**

არნემი
17 ივნისი
21.00 საათი
„ჟელრედომი“
18 000 (ტევადობა 30 000)

**რუმინეთი 0:1 პორტუგალია**

0:1 კოშტინია (90)

**რუმინეთი:** სტელია, პეტრესკუ (პეტრე 64), კონტრა, ფილიპესკუ, გალკა, პოპესკუ, მუნტეანუ, მოლდოვანი (განეა 69), ჰაჯი, ილიე (როსუ 78), კივუ

მწვრთნელი: ემერიხ იენეი

**პორტუგალია:** ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, ფერნანდუ კოუტუ, ჟორჟე კოშტა, დიმაში, ფიგუ, ვიდიგალი, რუი კოშტა (კოშტინია 87), პაულუ ბენტუ, ჟოაუ პინტუ (სერჟიუ კონსეისაუ 56), ნუნუ გომეში (ზა პინტუ 56)

მწვრთნელი: უმბერტუ კოელიუ

გაფრთხილება: პეტრესკუ, ჰაჯი, ფიგუ, კონტრა

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

*კარისკენ დარტყმა: 7-5; კარში დარტყმა: 1-3; ჯარიმა: 18-11; კუთხური: 7-4; თამაშგარე: 2-7*

პაატა კვანტალიანი

**წარმოიდგენდით** ორი კვირის წინ, რომ პორტუგალიის ნაკრები, გერმანია — ინგლისის თანაჯგუფელი გუნდი პირველი გავიდოდა მეოთხედფინალში?

„ბედნიერი ვარ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ორივე გუნდმა არცთუ ხარისხიანი თამაში აჩვენა“ — იტყვის ნამატჩევს ლეგენდარული ეუსებიო. სხვისი არ ვიცი და პირადად მე პორტუგალია — რუმინეთის შეხვედრიდან უფრო მეტს ველოდი. ალბათ, იმიტომაც, რომ ინგლისი — პორტუგალიის ორთაბრძოლის ეიფორიაში ვიყავი, მეგონა, პორტუგალიელები პირველი მატჩისეული ფორმულით „ეფექტი+ხარისხი=შედეგს“ წაახდენდნენ ბალკანელებს. მოლოდინი არ გამართლდა, რუმინეთის ნაკრები კერკეტი კაკალი გამოდგა, თუმც მისმა მეტოქემ დაამტკიცა, რომ ნებისმიერი სცენარით წარმართული მატჩიდან ძალუძს სარგებლის გამონახვა.

არნემის „ჟელრედომზე“ ორი გუნდის ტაქტიკური დუელი შედგა. გამარჯვებული ვინც არის, ანგარიშიდანაც ჩანს. მეორე ტაიმში ბალკანელები თითქმის ყველა სათამაშო რგოლში უკეთესად კი ირჯებოდნენ, მაგრამ საბოლოო მიზნამდე, გოლამდე ვერ მიიყვანეს საქმე.

განა რამდენი მომენტი შექმნა საგოლედ რუმინეთის ნაკრებმა? პრაქტიკულად არც ერთი. დიახაც რომ ეფექტური იყო 86-ე წუთზე, ჰაჯის შორეული გასროლილი, თითის წვერით რომ მოიგერია კუთხურზე ბაიამ, მაგრამ ეპიზოდს სიმწვავე, ჩემი აზრით, პორტუგალიელთა კარის დარაჯის არცთუ დამაჯერებელმა ფსიქოლოგიურმა განწყობამ შეჰმატა. და საერთოდ, ბაია ქამელეონს მოგვაგონებდა არნემულ მატჩში — მომენტებში წარმატებულ თამაშს (ასეთი კი ოთხი დავითვალე) ხშირად უსუსურ შეცდომებს უნაცვლებდა.

ბუნებრივია, საყოველთაო ყურადღების ცენტრში ფიგუ იყო — ჯადო ფეხბურთელი. პირველ წუთებზე აკი მისმა აქტიურობამ გამოიწვია რუმინელთა მცირე პანიკა. მე-3 წუთზე ფიგუმ ცენტრის სიახლოვეს მოიგდო ბურთი და ერთი მოძრაობით ჟოაუ პინტუ გარღვევაზე გაიყვანა, იქ კი კივუმ ივარგა. ორი წუთის შემდეგ რუმინელებს მარჯვენა ფრთაზე შეექმნათ საფრთხე. ცხადია, იქ ფიგუ იყო, რომელმაც ბავშვივით მოჰპარა ბურთი იმავე კივუს და ნუნუ გომეშს საჯარიმოს კუთხიდან დაარტყმევინა... და მაინც, მთლიანობაში ფიგუზე მიმაგრებულმა პოპესკუმ და კონტრამ თავიანთ მოვალეობას კარგად გაართვეს თავი.

მეორე ნახევრის შუაგულისთვის არნახულად დაეცა მატჩის ტემპი და ეს არც იყო გასაკვირი. ამაზე ორივე გუნდის ფეხბურთელებმა პირველივე ტაიმში იზრუნეს, ბოლოს და ბოლოს, ფრეც ლოგიკური ჩანდა. 56-ე წუთისთვის უმბერტუ კოელიუმ ორივე თავდამსხმელი (ნუნუ გომეში და ჟოაუ პინტუ) შეცვალა, მოგვიანებით კოლეგის გზას ემერიხ იენეიც დაადგა და თავისი გუნდიდან ყველაზე აქტიური ილიე და პორტუგალიელ მცველებს შორის ჩაკარგული მოლდოვანი (მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი ღირებული თავური დარტყმაა) დაასვენა. თავისი წილი დუელი ამ შეცვლებითაც მოუგო კოელიუმ იენეის. მოლდოვანი — ილიეს შემცვლელები, განეა და როსუ, საერთოდ შეხვედრის ბოლომდე ჩრდილში დარჩნენ, ნუნუ გომეშის ნაცვლად მოედანზე შესულმა სა პინტუმ კი მიტოვებულ მარჯვენა ფლანგზე თამაში გამოაცოცხლა. ცალკე აღნიშვნის ღირსია 87-ე წუთზე მოედანზე შესული კოშტინია. თუ გნებავთ, ამ შეცვლას გამართლება, ანაც ბედის საჩუქარი დაარქვით, მთავარი ის არის, რომ კოშტინია კოელიუმ თამაშში ჩართო და ეს ფეხბურთელი რვა წუთის შემდეგ საჭირო ადგილზე დაუხვდა ბურთს. ამ გოლმა რუმინელთა არც თუ უსაფუძვლო უკმაყოფილება გამოიწვია.

ფაქტია, მსაჯის მიერ დამატებული ოთხი წუთი ამოწურული იყო, როცა ფიგუმ თავზე დაასვა ბურთი საჯარიმოში მყოფ კოშტინიას. არა, კოელიუმ პირწმინდად აჯობა, ემერიხ იენეის. გაიხსენეთ, ვინ მეურვეობდა იმ ეპიზოდში კოშტინიას. პეტრე, შეცვლაზე შესული 167-სანტიმეტრიანი პეტრე.

**მატჩის შემდეგ**

**უმბერტუ კოელიუ:** „ბოლო წამზე ასეთი გოლის გატანა დიდი მიღწევაა. მიმაჩნია, რომ ბოლოს და ბოლოს, ძლიერმა გაიმარჯვა — ყველაფერი სამართლიანად დასრულდა“.

**ემერიხ იენეი:** „მსაჯმა აჩვენა, რომ შეხვედრას ოთხი წუთი დაამატა, ჩვენ კი გოლი მეხუთე წუთზე გავუშვით. ეს უსამართლობაა. მიუხედავად ამისა, შედეგის გაპროტესტებას არ ვაპირებთ. ჩვენ დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო წავაგეთ პორტუგალიის ძლიერ ნაკრებთან, მაგრამ წინ კიდევ ერთი მატჩია. ინგლისელებს ჯეროვან წინააღმდეგობას გავუწევთ“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

*მე-3 ტური: 20 ივნისი. პორტუგალია — გერმანია; ინგლისი — რუმინეთი*



დაუვიწყარი წუთი. ჟორჟე კოშტამ (№2) გოლის ავტორი კოშტინია სიხარულისგან წამოაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## C ჯგუფი

ამსტერდამი
18 ივნისი
21.00 საათი
არენა
43 000 (ტევადობა 51 200)

**სლოვენია 1:2 ესპანეთი**

0:1 რაული (4); 1:1 ზაჰოვიჩი (59), 1:2 ეჩებერია (60)
სლოვენია: დაბანოვიჩი, მილინოვიჩი, მილანიჩი (კნავსი 68), გალიჩი, ნოვაკი, ჩეჰი, პავლინი (აჩიმოვიჩი 82), რუდონია, კარიჩი, უდოვიჩი (ოსტერცი 46), ზაჰოვიჩი
მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი
ესპანეთი: კანისარესი, სალგადო, არანსაბალი, აბელარდო, იერო, გვარდიოლა (ელგერა 81), მენდიეტა, ეჩებერია, ვალერონი (ენგონგა 89), რაული, ალფონსო (ურსაისი 71)
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
გაფრთხილება: მილანიჩი, ნოვაკი, პავლინი, კარიჩი, არანსაბალი, ელგერა
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

*კარისკენ დარტყმა: 3-7; კარში დარტყმა: 4-3; ჯარიმა: 25-27; კუთხური: 4-2; თამაშგარე: 4-3*

# მენდიეტას წუთი

გიორგი დარჯანია



REUTERS ამსტერდამიდან

მიჩელ სალგადომ და ხოსეპ გვარდიოლამ სლოვენიელი ზლატკო ზაჰოვიჩი მოიმწყვდიეს

ჯერ კიდევ პირველი ტურის წინ ესპანელთა დამრიგებელი ხოსე ანტონიო კამაჩო ამბობდა, ნორვეგიასთან თუ წავაგეთ, იმედის გადაწურვა არ ღირს, წინ კიდევ ორი მატჩი გველისო. ვერ გეტყვით, კამაჩოს წინათგრძნობა ჰქონდა ასეთი, თუ უბრალოდ სიფრთხილე გამოიჩინა, მაგრამ ფაქტია, ესპანელთა საქმე ისეა, როგორც კამაჩო ამბობდა.

ესპანელთა რომელი თამაში უფრო მოგეწონათ, ნორვეგიასთან თუ სლოვენიასთან? შთამბეჭდავი, ალბათ, არცერთი ყოფილა, თუმცა ეხლა მათ მეტ აქტიურობას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ერთი მეტოქის კლასია. ცხადია, იუგოსლავიასთან მატჩმაც დაგვანახა, რომ სლოვენიის ნაკრებს იოლად ვერავინ გადაუვლის, მაგრამ გამოცდილება კი ნამდვილად აკლია. მეორე ფაქტორი სლოვენიელთა თამაშის სტილი გახლავთ. გეხსომებათ, ნორვეგიასთან ესპანელებმა ორიოდე ხეირიანი კომბინაცია თუ გაითამაშეს. სკანდინავიელთა არჩეულმა ტაქტიკამ მათ მეტის საშუალება არ მისცა. სლოვენიელები კი სხვა საქმეა, ისინი მეტოქეს ბურთის მიღებას აცდიდნენ. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ესპანელებს გარკვეულწილად ხოსე ფრანსისკო მოლინაც დაეხმარა — მისმა შეცდომამ ნაკრებს უკანდასახევი გზა მოუჭრა.

ესპანეთი-სლოვენიის შეხვედრაში საყაიმო ანგარიში არასრული ხუთი წუთის განმავლობაში იყო, დანარჩენ დროს ესპანელები ლიდერობდნენ. რაულმა, ვისაც 26 იანვრის მერე სანაკრებო გოლი არ გაეტანა, უკვე მე-4 წუთზე შეაგდო. ამან სლოვენიელთა გამარჯვების ისედაც მცირე შანსი კიდევ უფრო საეჭვო გახადა. გაშვებულ ბურთს სრეჩკო კატანეცის შეგირდების გააქტიურება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ სათამაშო უპირატესობა მაინც მეტოქის მხარეს იყო. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ისინი ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს დაბანოვიჩის კართან.

59-ე წუთზე ესპანელთა კარის გასწვრივ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე ერთბაშად ორი სლოვენიელი წავიდა. ძნელი გასარჩევი იყო, რომელმა დაჰკრა ფეხი. სანტიაგო კანისარესი მარჯვნივ გადაიხარა — ბურთი მარცხნივ წავიდა. მეკარის საპასუხო რეაქცია კი დაგვიანებული გამოდგა. გოლი ზლატკო ზაჰოვიჩმა მიითვალა — უკვე მესამე.

მატჩის ოქმში წერია, რომ ზაჰოვიჩის გოლიდან ერთ წუთში ესპანელებმა მეორეც გაიტანეს. აქ წამებს არ ითვლიან, თორემ მენდიეტას გამარჯვების გოლამდე წუთზე ნაკლებიც იყო გასული. არა, შეცდომა არაა. გადამწყვეტი დარტყმა ხოსება ეჩებერიამ კი შეასრულა, მაგრამ მასში ლომის წილი სწორედ მენდიეტას უძევს. მოედნის შუაგულიდან წამოღებული ბურთი, ერთიმეორის მიყოლებით მოტყუებული მცველები და გამოზომილი პასი, ფეხის მირტყმაღა რომ სჭირდებოდა, ისეთი — ეს ყველაფერი ვალენსიელმა გააკეთა. სამართლიანობისთვის ბარემ აღვნიშნოთ, რომ მლადენ დაბანოვიჩიც შეცდა — ახლო კუთხეში დარტყმული ბურთი ხელს შუა გაუძვრა.

რაკი მენდიეტა ვახსენეთ, ერთ საკითხსაც შევეხოთ. მენდიეტას ნორვეგიასთან არ უთამაშია. ისევე როგორც სანტიაგო კანისარესს, აბელარდოს და ალფონსოს (მენდიეტა და ალფონსო მაშინ შეცვლაზე შევიდნენ). კამაჩოს სასახელოდ უნდა ითქვას — ოთხივე ცვლილებამ გაამართლა. კანისარესს მოლინას მსგავსი შეცდომა არ დაუშვია და რამდენიმე რთული ბურთიც მოიგერია (თუნდაც ზაჰოვიჩის შორეულ კუთხეში დარტყმული), აბელარდო საკუთარ საჯარიმოშიც კარგად ირჯებოდა და მეტოქისაშიც — კუთხურის მერე მისი თავური კინაღამ გოლით დასრულდა, ალფონსოც ურსაისზე მეტ სამუშაოს ასრულებდა, ხოლო მენდიეტას ამბავი უკვე ვთქვით. აღსანიშნავია ხოსება ეჩებერიას კარგი თამაშიც (განსაკუთრებით პირველ მატჩთან შედარებით).

და სლოვენია? ბალკანეთიდან ამსტერდამს ჩასული 8 ათასი ქომაგი ანგარიშით არა, მაგრამ თავისი ნაკრების თამაშით კმაყოფილი დარჩა. მატჩის მერე ისინი დიდხანს უკრავდნენ ტაშს ფეხბურთელებს.

ბოლოს კი იმით დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ, კამაჩოს ჩემპიონატისწინა გამონათქვამით — ესპანეთმა ნორვეგიასთან წააგო, ხოლო სლოვენიას მოუგოო. ერთი თამაში დარჩა. კამაჩოსეული ვერსიით, ისიც ესპანეთმა უნდა მოიგოს.

### მატჩის შემდეგ

**სრეჩკო კატანეცი:** „მადლობა ჩემს ფეხბურთელებს. ესპანელებმა მოგვიგეს, მაგრამ სულით ვერ გაგვტეხეს. ნორვეგიასთანაც თუ ასე ვითამაშეთ...

ესპანელთა თამაშს არ მოვუხიბლივარ. ვერ ვიტყვი, რომ მათ ანგარიშის გარდა რამეში გვაჯობეს...

მესამე ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სლოვენიის ჯგუფიდან გასვლას არ გამოვრიცხავ".

**ხოსე ანტონიო კამაჩო:** „თამაშის წინ ვთქვი, რომ რამდენიმე ცვლილებას მოვახდენდი. ასეც გავაკეთე. შედეგი კი ყველამ ვიხილეთ".

**ზლატკო ზაჰოვიჩი:** „მეორე გოლის გაშვება ჩვენი გამოუცდელობის ბრალია. ოდნავ ყურადღება მოვადუნეთ და..."

**ხოსეპ გვარდიოლა:** „ახლა მთავარია, იუგოსლავიას მოვუგოთ"...

**მილენკო აჩიმოვიჩი:** „ესპანეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. წავაგეთ, მაგრამ სირცხვილი არ გვიჭამია".

**ფერნანდო იერო:** „იუგოსლავიასთან მეტი მონდომებით ვითამაშებთ — მეოთხედფინალის ბედი წყდება".

*როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, არც ერთი გუნდია უკმაყოფილო. იშვიათი შემთხვევაა.*

## C ჯგუფი

ლიეჟი
18 ივნისი
23.45 საათი
ჟლესენი
24 000 (ტევადობა 30 000)

**ნორვეგია 0:1 იუგოსლავია**

0:1 მილოშევიჩი (8)
ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ბრაგსტადი, ეგენი, მიუკლანდი, სკამელსრუდი, ჰეგემი (ბიორნებიუ 34), ე. ბაკე (სტრანდი 76), ივერსენი (კარეუ 70), სოლსკიაერი, ფლო
მწვრთნელი: ნილს იოჰან სემბი
იუგოსლავია: კრალი, ჯოროვიჩი, კომლიენოვიჩი, საველიჩი, ჯუკიჩი, იოკანოვიჩი (გოვედარიცა 88), იუგოვიჩი, სტოიკოვიჩი (ნადი 84), დრულოვიჩი, მიატოვიჩი (კეჟმანი 87), მილოშევიჩი
მწვრთნელი: ვუიადინ ბოშკოვი
გაფრთხილება: მიუკლანდი, ბაკე, იოკანოვიჩი, იუგოვიჩი, დრულოვიჩი, ნადი
გაძევება: კეჟმანი (88)
მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

*კარისკენ დარტყმა: 2-4; კარში დარტყმა: 4-8; ჯარიმა: 17-15; კუთხური: 6-5; თამაშგარე: 5-2*

# ბოშკოვის საქმე, სემბის ენა

პაატა კვანტალიანი

რა არის მწვრთნელის ღირსება? ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ უპირველესად, ალბათ, მეტოქის სწორად შეფასება, ეფექტური ტაქტიკური მონახაზის შერჩევა, მატჩის დებიუტიდან და შეხვედრის მსვლელობიდან გამომდინარე სათანადო ტაქტიკური გადაადგილებების განხორციელება, რაღა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის სასურველი შემადგენლობის მოძიება და კიდევ ათასი პატარ-პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნიუანსი. ვფიქრობ, ეს ყველაფერი კვირის ღამის მატჩში თვალნათლივ ნახეთ. ნახეთ დიდებული, ბრწყინვალე სპეციალისტის, ვუიადინ ბოშკოვის შესრულებით.

მატჩი ნორვეგიელთათვის უიღბლოდ დაიწყო. სკანდინავიელები ფიზიკურად აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ მათმა მოწინაალმდეგემ შემსრულებელთა ოსტატობის ხარჯზე თავიდანვე იგდო ხელთ უპირატესობა. დრულოვიჩი, მილოშევიჩი, მიატოვიჩი და უბერებელი, მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე დრაგან სტოიკოვიჩი, გაცილებით საინტერესოდ და ენერგიულად გამოიყურებოდნენ, ვიდრე ერთად აღებული ნორვეგიელთა მთელი შემადგენლობა. მაგრამ იუგოსლავიელებს გარკვეულწილად გაუმართლათ, რადგან მატჩის დებიუტში შეძლეს მეტოქის კარის აღება. დრულოვიჩმა ჯარიმის შესრულების წინ მეორე სართულზე ბრძოლისთვის გაფაციცებულ ნორვეგიელებს სიურპრიზი მოუმზადა და წელის სიმაღლეზე ჩაწოდებული ბურთი მოხდენილად, გამოზომილად გააძვრინა მეკარის ბაქანზე თავშეყრილ ფეხბურთელებში. იქ კი მილოშევიჩმა საუცხოო, მოუხელთებელი მოძრაობით სასურველი მიმართულება მისცა ბურთს. დან ეგენმა და ტომას მირემ ვერაფერი გააწყვეს მილოშევიჩის წინააღმდეგ. გატეხა ამ გოლმა ნორვეგიელები? რა თქმა უნდა, არა. ესპანელთა მძლეველ ვიკინგებს უსაშველო არაფერი დამართიათ და ისინიც ორგანიზებულად, მწყობრად (როგორც სჩვევიათ) შეუდგნენ ანგარიშის გათანაბრებისთვის ბრძოლას. ოთხ წუთში ფლოს მიეცა ივიცა კრალის კარის აღების ჩინებული შანსი. მიუკლანდმა გამოზომილი პასით თანაგუნდელი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ასეთ შანსს, როგორც წესი, ფლო ხელიდან არ უშვებს. დამაგვირგვინებელი დარტყმაც ერთი შეხედვით უნაკლოდ შეასრულა, მაგრამ დიდებულად გაისარჯა კრალი და თითებით კუთხურზე გადააგდო ბურთი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ნორვეგია უკეთესი ფიზიკური კონდიციების წყალობით შეძლებდა მატჩში გარდატეხის შეტანას, მაგრამ აქ საქმეში ბოშკოვი ჩაერთო. რა დაუპირისპირა მან მოედნის ცენტრში გაბატონებულ მოწინააღმდეგეს? თითქოს ბევრიც არაფერი, იუგოსლავიელებმა ფლანგების გამოყენებაზე და ბურთის რაც შეიძლება დიდხანს კონტროლზე გაამახვილეს ყურადღება, მაგრამ ეს ყოველივე სკანდინავიელთა ქინის დასაცხრობად საკმარისი აღმოჩნდა. ბურთის საჯარიმოდან ამოტანა, ორი-სამი პასით შეტევის წამოწყება სამხრეთელებისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, ყოველივე კი მათი მეტოქის დაცვის ხაზში უფრო და უფრო მეტ ხარვეზს აჩენდა, მაგრამ ვიკინგებმა გაძლეს ტაიმის ბოლომდე, მეორე ნახევარში კი საგრძნობლად სახეშეცვლილი დაუბრუნდა ნორვეგიის ნაკრები მოედანს. გამოაცოცხლა თამაში ინერტული ივერსენის შემცვლელმა კარეუმ, თუნდაც მისი თავური რად ღირს, მცირედ რომ ასცდა კრალის კარს.

მეორე ნახევარი პირველთან შედარებით უინტერესო გამოდგა, რაც ძირითადად იუგოსლავიელთა უხეშმა თამაშმა განაპირობა. უხეშობა, აბა, რა მოსაწონია, მაგრამ რატომღაც ესეც საიმმატჩო ბოშკოვისეული კონცეფციის შემადგენელ ნაწილად მიმაჩნია. ფაქტია, სამხრეთელები საგრძნობლად დაიღალნენ და ფრთაშესხმული მეტოქის (აქ უკვე თვალნათლივ გამოჩნდა ნორვეგიელთა ფიზიკური უპირატესობა) შეჩერება სხვადასხვაგვარი ფოლებით და შესაბამისად, დროის მოგებით შეეცადნენ. კაცმა რომ თქვას, ამ გზით მიაღწიეს კიდეც საწადელს ბოშკოვის შეგირდებმა, მგარამ ნამატჩევს ერთგვარი სკანდალიც იშვა. მეტოქის საქციელით აღშფოთებულმა ნორვეგიელთა მთავარმა მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბმა დაუფარავად განაცხადა: „იუგოსლავიელებმა პროვოკაცია მოგვიწყვეს, არასპორტულად მოიქცნენ და ამისათვის უნდა დაისაჯონ. ასეთი საბოტაჟის მოწმე დღემდე არ ვყოფილვარ, ისინი განუწყვეტლივ უმიზეზოდ ეცემოდნენ, შეცვლებს კი ისე ნელა აკეთებდნენ, იფიქრებდით, ინვალიდები არიან". სემბის ამ სიტყვებს დრაგან სტოიკოვიჩმაც მოჰკრა ყური და ენის გავარჯიშებაც არ დააგვიანა: „ასეთი რამ როგორ თქვა სემბმა... როგორც ჩანს, ის სულელია, ანაც იდიოტი. თამაშით ვერას გახდნენ და ახლა ენით გვიტევენ".

ასეა თუ ისე, იუგოსლავიელებმა გაიმარჯვეს, ერთადერთ საწუხრად კი დისკვალიფიკაცირებული კეჟმანი (იმედია, ბოშკოვის გუნდს ახალგაზრდა ფორვარდის არყოფნა დიდად არ დაეტყობა) რჩებათ. ამ ფეხბურთელმა წარმოუდგენლად ცოტა დრო დაჰყო მოედანზე. 87-ე წუთზე შეცვლაზე შესული მსაჯმა 44 წამში უხეშობისთვის მოედნიდან მიაბრძანა.



REUTERS ლონდონიდან

ნორვეგიელ ერიკ ბაკეს იუგოსლავიელი პრედრაგ მიატოვიჩი (№8) ფეხებში ჩაუვარდა

### მატჩის შემდეგ

ნილს იოჰან სემბის ცხელ გულზე ნათქვამს უკვე გაეცანით, გამარჯვებულთა თავკაცი **ვუიადინ ბოშკოვი** კი მხოლოდ უშუალოდ მატჩისეული კომენტარით შემოიფარგლა: „ჩვენ ოთხი აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ ერთობ გახარებული ვარ. მთლიანობაში მიზანს მივაღწიეთ — გავიმარჯვეთ და ეს ბევრს ნიშნავს. მადლობას ვუხდი ნორვეგიელ ფეხბურთელებს მოწესრიგებული თამაშისთვის, იუგოსლავიის ნაკრებს კი მეოთხედფინალში გასვლას ვუსურვებ, საამისოდ ჩვენ არცთუ ურიგო შანსი გაგვაჩნია."

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სლოვენია | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |

*მესამე ტური: 21 ივნისი. სლოვენია — ნორვეგია; იუგოსლავია — ესპანეთი*

A ჯგუფი. III ტური. 20 ივნისი. $23^{45}$

**ინგლისი — რუმინეთი**

შარლერუა. „კომუნალი“. მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

# კიგანს ბექემის პასები მოზეზრებია



კიგანმა, ჩემი ბიჭები სხვანაირად უნდა ვაბურთაოო...

პირველი ტურის მერე ინგლისელებმა თავისი ნაკრები გვარიანად ლანძღეს, დასრულდა მეორე და უკვე საქებარი სიტყვები სჭარბობს. ხუმრობა ხომ არაა, კიგანის გუნდმა გერმანიას მოუგო, თან პირველად 34 წლის მანძილზე. დღეს რუმინეთია. ინგლისელებს, გერმანიისგან განსხვავებით, ეგებ რუმინეთი ჰყავთ ახლო წარსულში დამარცხებული? ნურას უკაცრავად, მთელი 30 წელია, მსგავსი რამ არ მომხდარა. ბოლოს ინგლისელებმა დღევანდელი მეტოქე 1970 წელს გვადალახარაში მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯეფრი ჰერსტის ერთადერთი გოლით დაამარცხეს. როგორც ვთქვით, მას მერე დიდი დროა გასული. ჰერსტის გოლიც და ინგლისი — რუმინეთის ათივე შეხვედრაც ისტორიის კუთვნილება გახდა. დღეს მეთერთმეტეა.

A ჯგუფში ერთი უცნაურობა შეინიშნება. ბოლო ტურის წინ გერმანელები რუმინელებს ქომაგობენ, ხოლო რუმინელები — პორტუგალიას, ამის მიზეზი კი გუნდების სატურნირო მდგომარეობაა. აი, პორტუგალიას და ინგლისს თავი ქუდში აქვთ. პორტუგალიის ამბავი გასაგებია, მასთან ერთად ინგლისი იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ კიგანის ნაკრების ჯგუფიდან გასვლა სხვაზე არავიზეა დამოკიდებული. სავარაუდო შემადგენლობებზე ბევრიც არაფერია სათქმელი. ინგლისის ნაკრებში გერმანელთა მძლეველი თერთმეტივე ფეხბურთელი ითამაშებს, ხოლო რუმინელებს მხოლოდ გეორგე ჰაჯი დააკლდებათ. საუკუნის რუმინელმა ფეხბურთელმა პირველ ტურში კიმ მილტონ ნილსენისგან, ხოლო მეორეში — ჟილ ვესიესგან ყვითელი ბარათები მიიღო და დღევანდელი შეხვედრის მომსახურე შვეიცარიელ არბიტრს ურს მაიერს მესამედ გაფრთხილების საშუალება მოუსპო. ნაკრების კაპიტნის ნაცვლად, ემერიხ იენეი ბუქარესტის დინამოელი იონუტ ლუპესკუს შეშვებას აპირებს. აქვე აღვნიშნოთ, რომ გეორგე პოპესკუ რუმინეთის ნაკრებში მეასედ ითამაშებს.

რაც შეეხება გეორგე ჰაჯის, კევინ კიგანი მისი დისკვალიფიკაციით კმაყოფილი დარჩა. ფეხბურთელს ბოდიშს ვუხდი, რადგან ამაზე საუბარი უხერხულია, მაგრამ ძალიან გამიხარდა, მეორე გაფრთხილება რომ მიიღოო, უთქვამს კიგანს.

ცხადია, რუმინელებს ჰაჯი არ ეყოლებათო — ინგლისის ნაკრები მხოლოდ ამის იმედად ვერ იქნება. თავადაც კარგად უნდა ითამაშოს. და მართალია, ინგლისს ფრეც ხელს აძლევს, საეჭვოა, კიგანმა ფეხბურთელებს ყრუ დაცვაში გამაგრება დაავალოს.

ერთი თითქოსდა პარადოქსული ამბავიც ვახსენოთ. მოგეხსენებათ, ინგლისელებმა ორ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანეს და სამივე დევიდ ბექემის ჩაწოდებით. მაგრამ რას ამბობს კევინ კიგანი? „ჩვენ ერთობ ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს და ერთ სქემაზე მიჯაჭვულნი არ უნდა ვიყოთ. დროა, მეტოქის კარის დალაშქვრის სხვა გზებიც გამოვნახოთ.“ რას უწუნებს მწვრთნელი ბექემის საქვეყნოდ ცნობილ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ უზუსტეს პასებს? სწორედ იმას, რომ საქვეყნოდაა ცნობილი და მეტოქეები მისი გაუვნებლების გზებს ეძებენ — ვისაც არ უპოვია, დღესხვალ იპოვის.

სხვა პრობლემები აქვს ემერიხ იენეის. ის უჰაჯიოდ თამაშის ტაქტიკაზე მუშაობს. რალაცეები მოფიქრებული მაქვსო, ამბობს იენეი, თუმც რა — საგულდაგულოდ მალავს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინგლისი:** დევიდ სიმენი; გარი ნევილი, მარტინ კიოუნი, სოლ კემპბელი, ფილიპ ნევილი; დევიდ ბექემი, პოლ ინსი, პოლ სქოულზი, დენის უაიზი; ალან შირერი, მაიკლ ოუენი

**რუმინეთი:** ბოგდან სტელია; კოსმინ კონტრა, კრისტიან კივუ, გეორგე პოპესკუ, იულიან ფილიპესკუ; დან პეტრესკუ, კონსტანტინ გალკა, დორინელ მუნტეანუ, იონუტ ლუპესკუ; ვიორელ მოლდოვანი, ადრიან ილიე

**დისკვალიფიცირებულნი**

**რუმინეთი:** გეორგე ჰაჯი (1 მატჩი)

**ურთიერთშეხვედრები**

| ინგლისი | 10 | რუმინეთი |
|---|---|---|
| 2 | მოგება | 2 |
| 6 | ფრე | 6 |
| 2 | წაგება | 2 |
| 8 | ბურთები | 7 |

## რა მოხდება, თუ...

ორი ან რამდენიმე გუნდი ჯგუფში თანაბარ ქულებს დააგროვებს? მაშინ ადგილების განაწილებისას უპირატესობა ენიჭება:

1. ურთიერთშეხვედრებში აღებულ ქულებს;
2. ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობას;
3. ურთიერთშეხვედრებში მეტ გატანილ გოლს;
4. ჯგუფში ბურთების შეფარდებას;
5. ჯგუფში მეტ გატანილ გოლს;
6. ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის და ევრო 2000-ის საკვალიფიკაციო ეტაპებზე დაგროვილი ქულების საშუალო მაჩვენებლებს;
7. ფეირ პლეის კლასიფიკაციით უკეთეს ადგილს;
8. თუ შვიდივე პუნქტი თანაბარია, უკეთეს გუნდს წილისყრა დაადგენს.

**გუნდების მდგომარეობა მე-6 პუნქტის მიხედვით**

1. ესპანეთი — 2.611
2. რუმინეთი — 2.600
3. ნორვეგია — 2.500
4. შვედეთი — 2.388
5. ჰოლანდია — 2.375
6. ჩეხეთი — 2.300
7. გერმანია — 2.277
8. ბელგია — 2.250
9. იუგოსლავია — 2.222
10. საფრანგეთი — 2.100
10 პორტუგალია — 2.100
12. იტალია — 2.062
13. ინგლისი — 2.000
14. დანია — 1.1937
14. თურქეთი — 1.937
16. სლოვენია — 1.000

# გერმანია ქომაგობს... ხულიგნებს

A ჯგუფი. III ტური. 20 ივნისი. $23^{45}$

**პორტუგალია — გერმანია**

არნემი. „ჟელრედომი“. მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

ერიხ რიბეკს კრიტიკა არასდროს აკლდა, მისი ბოლო განცხადების მერე კი მწვრთნელის მაგინებელთა რიცხვი ალბათ უფრო გაიზრდება. რა თქვა რიბეკმა ასეთი? ის, რომ ჩვენ პორტუგალიას მოვუგებთ, რუმინეთი კი ინგლისს, ამიტომ ცდება, ვისაც გერმანიის ნაკრები მეოთხედფინალს მიღმა დარჩენილი ჰგონიაო. გერმანელებს კიდევ ეს უნდოდათ? ინგლისთან მარცხის მერე ბუნდესნაკრები გამოტირებული ჰყავთ და მწვრთნელი ისეთ რამეს ამბობს, თითქოს ხალხს დასცინისო. თუმცა დაამარცხებს თუ არა რუმინეთი ინგლისს, ცალკე საუბრის თემაა (ისე, გერმანიასაც მხოლოდ მოგება აძლევს ხელს) და რაკი რიბეკის ოპტიმიზმის გამზიარებლებიც არიან და გერმანიის ჯგუფიდან გასვლის ალბათობაც არსებობს, მათ შანსებზე ვთქვათ.

წინა მატჩთან შედარებით, ერიხ რიბეკი ერთ ცვლილებას აპირებს — ულფ კირსტენს სავარაუდოდ პაულო რინკი შეცვლის. როგორც ჩანს, რიბეკის მთავარი პრობლემა შეტევის მარჯვენა ფლანგია. პირველ შეხვედრაში ამ პოზიციაზე რინკი თამაშობდა, მეორეში — კირსტენი, ახლა კვლავ რინკის ჯერი დამდგარა — ვერა და ვერ აირჩია მწვრთნელმა მათ შორის უკეთესი. საინტერესოა, რომ თუ რიბეკი კირსტენს მაინც გაიყვანს მინდორზე, ეს ლევერკუზენელის მეასე სანაკრებო თამაში იქნება. კირსტენს 49 შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით აქვს გამართული, 50 კი გაერთიანებული გერმანიისა. რაკი სიტყვა იუბილარებზე ჩამოვარდა, გავიხსენოთ, რომ პირველ ტურში რუმინეთთან მეასე ბუნდესმატჩი ჩაატარა თომას ჰესლერმა. დღეს მას (ისევე როგორც ინგლისთან) დიტმარ ჰამანი შეცვლის.

და კიდევ ერთი იუბილარი. ლოთარ მათეუსი ნაკრების მაისურას 150-ედ და ალბათ უკანასკნელად მოირგებს. მიზეზი ნათელია, გერმანიისათვის ჯგუფიდან გასვლა ერთობ ძნელი საქმეა, ხოლო მომდევნო ტურნირამდე გერმანელი ლიბერო საფეხბურთო კარიერასაც (ყოველ შემთხვევაში, სანაკრებოს) ალბათ დაასრულებს. მათეუსის გარდა დღევანდელი შეხვედრა ეგებ რიბეკისთვისაც ბოლო გამოდგეს. ის ამბობს: „დღეს ვითამაშებთ, მერე კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებს შევხვდები. ჩემი ნაკრებში დარჩენის თუ წასვლის საკითხიც მაშინ გაირკვევა“. საეჭვოა, რიბეკის ამ პოსტზე მუშაობა ვინმემ დადებითად შეაფასოს.

ერიხ რიბეკს პრობლემები თავზესაყრელად აქვს. მის პორტუგალიელ კოლეგას კი რა ენაღვლება? არც არაფერი. ჯგუფში, სადაც გერმანია და ინგლისი არიან, პორტუგალიელებმა პირველი ადგილი ვადამდე გაინაღდეს. ჰოდა, მოდი და გაიგე, რას უნდა ველოდოთ მათგან ბოლო თამაშში — ნაღდ ბრძოლას, თუ მინდორზე მოვალეობის მოხდის მიზნით გასვლას?

უმბერტუ კოელიუს გამოქვეყნებულ სავარაუდო სასტარტო შემადგენლობას თუ ვენდობით, ბრძოლა უნდა გაიმართოს — განაცხადში წინა მატჩთან შედარებით ერთი ცვლილებაც არ არის. მწვრთნელი ძირითად მოთამაშეთა დასვენებას და სათადარიგოთა გაყვანას არ გეგმავს, თუმცა არავინ უწყის, ის ფეხბურთელები, ინგლისთან და რუმინეთთან ბოლომდე რომ იხარჯებოდნენ, დღეს უმოტივაციოდ დარჩენილი და შესაძლო ტრავმებით დაშინებულნი, რას იზამენ.

და ისევ რიბეკი: „თუ კოელიუ ცვლილებებს არ მოახდენს, კმაყოფილი დავრჩები. სასტარტო შემადგენლობის მოთამაშეებს კარგად ვიცნობ, მათ წინააღმდეგ თამაშის ტაქტიკაც მოფიქრებული გვაქვს. ახლები კი ვინ იქნებიან და რა თამაშს შემოგვთავაზებენ, არ ვიცი“. მოკლედ, ისეა რიბეკის საქმე, როგორც ქართული ანდაზა ამბობს, შეჩვეული ჭირიო...

რაც შეეხება უმბერტუ კოელიუს, თავის გადაწყვეტილებას, უძლიერესი შემადგენლობა ათამაშოს, ასე ასაბუთებს: „ცხადია, ჩვენ უკვე მეოთხედფინალზე ვფიქრობთ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატი ხომ უმაღლესი დონის ტურნირია — უფლება არ გვაქვს, ვთქვათ, რომ გერმანიასთან მოგება არ გვჭირდება და სუსტად ვითამაშებთ“. თუმცა, შესაძლოა ერთი ცვლილება პორტუგალიის ნაკრებში მაინც მოხდეს. მოგეხსენებათ, ინგლისთან მატჩის შემდეგ აბელ შავიერი კარლოს სეკრეტარიუმ შეცვალა. ახლა პორტუელიც მხარს იტკივებს და ეგებ მინდორზე არ გავიდეს, თუმცა სავარაუდო შემადგენლობაში მისი გვარიც წერია.

ბოლოს კი გერმანიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენელთა უეფასეულ განცხადებაზე გამოხმაურებას გავეცნოთ. უეფაში უთქვამთ, ინგლისელი ფანები ხულიგნობას თუ განაგრძობენ, ნაკრებს ჩემპიონატიდან მოვკვეთთო. ცხადია, უეფას ასეთი პოზიცია, უპირველესად გერმანელთა წისქვილზე ასხამს წყალს. მაგრამ ისინი ამბობენ, ამ საკითხით სპეკულირება და ინგლისელთა შესაძლო მოკვეთის იმედად ყოფნა არ გვსურსო.

ისე, გერმანია ბოლოს 1984 წელს ჩარჩა ჯგუფში. მაშინ ისინი მოქმედი ჩემპიონები იყვნენ და ახლაც ასეთები არიან.

**გიორგი დარჯანია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუგალია:** ვიტორ ბაია; კარლუშ სეკრატარიუ, ჟორჟე კოშტა, ფერნანდუ კოუტუ, მანუელ დიმაში; ლუიშ ფიგუ, ჟოზე ვიდიგალი, პაულუ ბენტუ, მანუელ რუი კოშტა; ჟოაუ პინტუ, ნუნუ გომეში

**გერმანია:** ოლივერ კანი; მარკუს ბაბელი, ლოთარ მათეუსი, იენს ნოვოტნი; სებასტიან დაისლერი, დიტმარ ჰამანი, იენს იერემისი, კრისტიან ციგე, მეჰმეთ შოლი; კარსტენ იანკერი, რობერტო პაულო რინკი

**ურთიერთშეხვედრები**

| პორტუგალია | 13 | გერმანია |
|---|---|---|
| 2 | მოგება | 6 |
| 5 | ფრე | 5 |
| 6 | წაგება | 2 |
| 10 | ბურთები | 18 |



ერიხ რიბეკი: ჩვენც მოვიგებთ და რუმინეთიც

მერაბ ლაციშვილი **16. 17. 18 ივნისი**

ევროპის ჩემპიონატის დღიური

# შირერმა ბურთს თავი ამოჰკრა. იქნებ ხელი სერობასაც გამოჰკრას

„17 ივნისს ჩემი დაბადების დღე იყო. სტუმრები — მრავლად, პურმარილი — რიგიანი, ღვინო — შესანიშნავი კახური, სმა — ზომიერად, სურვილისამებრ და დაძალების გარეშე, მოლხენ-სიმღერა — დიდებული. ამ დილით ნაბახუსევზე თავი რომ არ მტკიოდეს...“ — აი, დაახლოებით ასეთ ჩანაწერს იპოვიდა კაცი ჩემს დღიურში. სინამდვილეში ამგვარი ჩანაწერი არ არსებობს, რადგან დღიურს არ ვწერ და თან ბელგია-ჰოლანდიაში ევრო 2000 მიმდინარეობს.

არავისგან გესწავლებათ, პახმელიისგან გასიებული თავით ფეხბურთის ცქერა ვერაფერი სიამოვნებაა. თანაც, თუ ეს მხოლოდ ცქერა კი არა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაცაა. ამიტომ ტრადიციას ვუღალატე და ბაზრის დახლების ნაცვლად სპორტული ღონისძიებების ნახვა გადავწყვიტე. გამთენიისას — „ინდიანა“ — „ლეიკერსი“ ტელევიზორში, ნასამხრალს — „ბასკო“ — „აზოტი“ სპორტის სასახლეში, საღამოს კი ორი საფეხბურთო მატჩი, ისევ ტელევიზორში.

ქართველები ევრო 2000-ში არ მონაწილეობენ. ეს ფეხბურთელებზე, მწვრთნელებზე და მსაჯებზე ითქმის. მაგრამ შეიძლება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველთა გარეშე წარიმართოს? ცხადია, არა. ამტომაც ევრო 2000-ზე ერთი ჩვენებური იმ საქმეს აკეთებს, რაც ქართველებს ძალიან გვიყვარს — დირექტორობს. დავით პეტრიაშვილზე მოგახსენებთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელზე, რომელიც უეფამ ჰოლანდიის ქალაქ არნემის „ჟელრედომზე“ დაგეგმილი მატჩების დირექტორად დანიშნა. აგერ მეორედ ვნახეთ, როგორ მიუძღოდა ბატონი პეტრიაშვილი გუნდებს, მოედანზე გამოიყვანა და თან რაციით რაღაც განკარგულებებს იძლეოდა. ეჰ, ისევ ევრო 2000... ის რომ არა, პეტრიაშვილი, ჩემი სიყრმის მეგობარი, 17 ივნისს ჩემს დაბადების დღეზე იქნებოდა. თამადობას ვერ დავპირდებოდი, მაგრამ პიანინოსთან ვერავინ შეეცილებოდა პირველობას.

ქართველის ნადირექტორალი მატჩი უცნაურად დამთავრდა. დამატებული დროის ბოლო წამზე გამოხტა პორტუგალიელი კოშტინია და თავურით თავისიანებს მეოთხედფინალი გაუნაღდა, ხოლო მეტოქე რუმინელებს მთლად გაურთულა საქმე. მომდევნო ეტაპზე რომ გავიდეს, რუმინეთმა აუცილებლად უნდა მოუგოს ინგლისს და თან გერმანიის პორტუგალიასთან წაფორხილება უნდა ინატროს. განა რუმინეთს ახლო წარსულში არ დაუმარცხებია ინგლისი, მაგრამ ახლა არნახულად გაუჭირდება, რადგან მეტად მნიშვნელოვანი კაცი არ ეყოლება. რუმინეთის საუკუნის ფეხბურთელმა გეორგე ჰაჯიმ მეორე გაფრთხილება მიიღო და ინგლისთან თამაშისას ტრიბუნაზე ჯდომასღა იკმარებს. თავად ფეხბურთელმა თავი შეთქმულების მსხვერპლად გაასაღა: „ფრანგ მსაჯს დავალება ჰქონდა — რუმინელთა მეათე ნომერი აუცილებლად უნდა გაეფრთხილებინა, რაც მან შეასრულა კიდეც“. რუმინელთა მეათე ნომერი, ანუ ჰაჯი, არ აკონკრეტებს, ვინ მისცა მსაჯ ჟილ ვესიერს ეს დავალება, მაგრამ პორტუგალიელი ჟოაო პინტუ კარგად რომ წამოაქცია, ესეც ფაქტია. საერთოდ, ჟოაო პინტუს გვარიანად მოხვდა. ჯერ ჰაჯიმ წაარტყა ფეხებში, მერე პოპესკუმ, მოგვიანებით პეტრესკუმაც არ დაინდო. ამასთან შედარებით კივუს უხეშობა ღლაბუცს ჰგავდა.

ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტ მეორე 21 აპრილსაა დაბადებული, მაგრამ მისი 74-ე იუბილე სამეფო კარმაც და დანარჩენი სამყაროს დაინტერესებულმა ნაწილმა 17 ივნისს აღნიშნეს. თბილისშიც კი მოეწყო რამდენიმე ადგილას მიღება ამ ამბავთან დაკავშირებით. მე არსად ვყოფილვარ, მაგრამ, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების მხილველმა მითხრა — მეტად მდიდრულ და ეტიკეტებით დახუნძლულ წვეულებაზე ალაგ-ალაგ ფეხბურთის თემაც გამოერიაო.

აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, როცა 17 ივნისის საღამოს ბელგიის ქალაქ შარლერუაში ინგლისი გერმანიას ხვდებოდა. და ვის უნდა გაეხარებინა დედოფალი თუ არა კაპიტანს? ვაჟკაცმა ალან შირერმა ვაჟკაცურად ამოსცხო ზორბა თავი ბურთს და ინგლისს მეოთხედფინალის შანსი შეუნარჩუნა. დედოფლის ქვეყნად მოვლენის აღსანიშნავ დღეზე გოლის გატანა ხუმრობა არ გახლავთ. ჩავთვალოთ ალან შირერი მომავალ სერად? თანაც, ამ ბოლო დროს ამ ტიტულს საპატიო სიგელებივით არიგებენ. უცნობია, მიულოცა თუ არა ინგლისის ნაკრებმა დედოფალს ეს დღე. სუფრა რომ გაშლილიყო, დარწმუნებული ვარ, ტონი ადამსი თამადობას არავის დაანებებდა.

ინგლისელი ფანები კი ვერაფერმა დააკავა და იმხელაზე გაშალეს ხელი, რომ უეფა ნაკრებს ჩემპიონატიდან მოკვეთით დაემუქრა. ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა მკაცრად გააფრთხილა ინგლისელი ფანები და ერთაზროვნად მიანიშნა — კიდევ ერთხელ ჩაიდენთ მსგავს რამეს და თქვენი ეროვნული გუნდი ევრო 2000-ს დაემშვიდობებაო. უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა კი ინგლისელთა ხულიგნობასთან დაკავშირებით ცოფები ჰყარა: „ამ უმსგავსობის გაგრძელება აღარ შეიძლება. ეს ფეხბურთის მკვლელობაა. საოცარია, რომ ეს აღარავის უკვირს, რადგან 30 წელიწადია ერთი და იგივე ხდება და არაფერი იცვლება. მეტს ველარ მოვითმენთ“.

უეფას ვიცე-პრეზიდენტმა, ამავდროულად გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა ბრიტანეთის მთავრობაზე მიიტანა იერიში. ბრაუნი განსაკუთრებით ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრ ჯეკ სტროუს გაუწყრა: „სტროუს ვუთხარი, რომ თადარიგი წინასწარ დაეჭირა და ხულიგნებისთვის არ მიეცა ევრო 2000-ზე ჩამოსვლის საშუალება. სტროუმ კი აქეთ შემომიტია და მითხრა, ისეთ კანონს ვერ მოვიგონებ, რომელიც ადამიანებს მოგზაურობას აუკრძალავსო. კი მაგრამ, გერმანიის პოლიციამ თუ მოახერხა და ხულიგნების შარლერუაში ჩასვლა შეზღუდა, ბრიტანეთს რა დაემართა? ორივე ევროკავშირის წევრები ვართ, ერთნაირი კანონები გვაქვს“. საბრალო სტროუ, ჯერ ბრიტანელმა ტუტრუცანა ქალებმა წაუღეს ტვინი — ნაციხარ და მბახველ მაიკ ტაისონს ქვეყანაში რა უფლებით უშვებო და ახლა კიდევ ბრაუნი...

უეფას გაფრთხილებას გამოეხმაურა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი: „ვიმედოვნებ, ინგლისელი ფანები ყურად იღებენ გაფრთხილებას და არ დაუშვებენ ინგლისის ნაკრების ჩემპიონატიდან [illegible]“.

17 ივნისს ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველის ხუან კარლოს ვალერონის დაბადების დღეც იყო. იგი 25 წლის გახდა, მაგრამ, ჩემი არ იყოს, მოსალხენად არ ეცლებოდა — მეორე დღეს ძირითად შემადგენლობაში იდგა და სლოვენიას დაუპირისპირდა. გაიხარა ვალერონმაც და ესპანეთმაც, მართალია, უსახური, მაგრამ მაინც გამარჯვებით. ესპანეთი ჯერ ვერ ამართლებს ექსპერტ-სპეციალისტთა იმედებს, სამაგიეროდ, მის მეტოქეზე ძნელად თუ ვინმეს დასცდება აუგი. პატარა სლოვენია ვაჟკაცურად იბრძვის და ისეთი რამ ჯერ არ ჩაუდენია, სირცხვილით თავი რომ არ გამოეყოფა. სამაგალითონი არიან სლოვენიელი გულშემატკივრები — მარცხის მიუხედავად 8 ათასი ფანი თავისიანებსაც მიესალმა და არც ესპანელებს დაუკარგა მიღწეული. ამასთანავე, ამ ქვეყნის ნაკრებმა ევრო 2000 თავის სამშობლოს პროპაგანდისთვისაც გამოიყენა — იმ ბაზაზე, სადაც ვარჯიშობს, „სლოვენიის დღე“ მოაწყო და კარი ყველა მსურველს გაუღო.

ჩემი შესაცოდი რა სჭირს, მაგრამ დანიელი პიტერ შმაიხელის საცოდაობით გული დამეწვა. რა ქნას ამ მართლა დიდმა მეკარემ, თუკი ათი ქარაფუცა თანაგუნდელი იმისთვისაა მოწოდებული, რომ მეტოქე პირისპირ შეატოვოს? ერთხელ იხსნა გუნდი, ორჯერ იხსნა, სამჯერ... როდემდე?! ახლა ამათთვის გადაიტყავე მუხლებიო, ვინძლო ეს გაიფიქრა შმაიხელმა, როცა ზენდენის ჩაწოდებულზე არ გავიდა, რასაც ჰოლანდიელთა მეორე გოლი მოჰყვა. თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ მსოფლიომ თვალებში ჩახედა ჰოლანდიელ ედგარ დავიდსს. არა მგონია, ამით ვინმეს ესთეტიკური სიამოვნება მიეღოს, მაგრამ კარგია, რომ ამ ნიჭიერმა ნახევარმცველმა სათვალე მოიშორა. ესე იგი, მის განკურნებას ბევრი აღარაფერი უკლია.

იყო ასეთი იუგოსლავიელი ძიუდოისტი, მსოფლიოს ჩემპიონი დრაგომირ ბეჩანოვიჩი. ტექნიკით გამორჩეული არ ყოფილა, მაგრამ ერთ ილეთს შესანიშნავად ასრულებდა: მეტოქეს გვერდიდან შემოუვლიდა და კოჭებში ფეხს ამოარტყამდა ხოლმე. მოედანზე შესვლიდან 44 წამის შემდეგ იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა მატეა კეჟმანმა ისეთი ამოარტყა ნორვეგიელ ერიკ მიუკლანდს, რომ თვით ბეჩანოვიჩსაც შეშურდებოდა. ეს რომ ძიუდოში მომხდარიყო, კეჟმანის მოქმედება ულაპარაკო იპონად (წმინდა გამარჯვება) შეფასდებოდა, მაგარმ საფეხბურთო კანონებით მისი საქციელი ზღვარს გადასულ უხეშობად მოინათლა, რაც წითელი ბარათის ტოლფასია. ისე, საინტერესოა, ჩაატარებს ერთ მატჩს მაინც იუგოსლავია კაცის გაუძევებლად და სავო მილოშევიჩის გოლის გარეშე?



იუგოლავიელი მატეა კეჟმანი ნორვეგიელი ერიკ მიუკლანდის დამტვრევის შემდეგ ლოცვას მოჰყვა



## გაიოზ დარსაძე

*სპეციალისტის აზრი*

ხშირად ფეხბურთი უბრალო სპორტული პაექრობის ჩარჩოებს გასცდება-ხოლმე და ასეთ დროს ძნელი გასარკვევია, სად მთავრდება სპორტი და სად იწყება პოლიტიკა.

ინგლის — გერმანიის დაპირისპირება წინაისტორიისა და აქტიური ორი საათის ჩათვლით ისეთი გამოდგა, გართობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საზღვრის რკვევა სრულიად უადგილო იყო.

ეს იყო მატჩი ევროპის ჩემპიონობისთვის (გერმანიისთვის ჩემპიონობის დასაცავი), და არა მხოლოდ. ეს იყო მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვისაც. მსოფლიოს 2006 წლის საფეხბურთო ფორუმის დახვედრის უფლებას სხვებთან ერთად სწორედ ინგლის-გერმანია ეცილებიან.

ორ ტაიმს გაუჩერებელ სირბილს, პრესინგს, ყოველი სანტიმეტრისთვის ბრძოლას, ორთაბრძოლების სიმრავლეს, ახალს არაფერს ვიტყვი, კარგი ფიზიკური მზადყოფნა სჭირდება. ფეხბურთელებს კი ინგლისსა და გერმანიაში მომქანცველი სეზონის შემდეგ არც დაუსვენიათ. და მაინც, ამ მატჩში უხვად იყო ყოველივე, რისთვისაც ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატს, როგორც უდიდეს მოვლენას, უამრავი მომლოდინე და მაყურებელი ჰყავს.

გერმანელებმა ბოლოხანს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, მაგრამ მათ გუნდში ვარსკვლავთა ნაკლებობამ თავისი გაიტანა. უბირჰოფი გერმანელებთან ინგლისსაც აკლდა მაკმანამანი და ადამსი, მაგრამ მეტოქეს უამათოდაც აუვიდა.

ჯარიმიდან ბექჰემის ჩვეულად უნაკლო ჩაწოდებისას უხეშად შეცდა ბაბელი და შირერმა ჩინებული თავურით დააწინაურა ინგლისი. ამის მერე საქმე მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებაზე რომ მიდგა, კევინ კიგანმა ოუენი ჯერარდით შეცვალა და ნახევარდაცვა გააძლიერა. მიუხედავად ამისა, იანკერს რომ ცარიელი კარისთვის არ აეცილებინა, გერმანიას გათანაბრება შეეძლო.

A ჯგუფის მეორე მატჩი საპირისპიროდ ცუდი საცქერი გამოდგა. ჯერ პორტუგალია აკონტროლებდა ბურთს, მერე რუმინეთი, მაგრამ საქმე გეორგე ჰაჯის შორეულ, სახიფათო დარტყმებს იქეთ არ წასულა. რუმინელებმა თავისუფლად არ ათამაშეს პორტუგალიელები და ფრიად ლოგიკური შედეგი იქნებოდა, რომ არა ისევ სტანდარტული მდგომარეობიდან ფიგუს ჩაწოდებით და კოშტინიას თავურით გატანილი ბურთი.

D ჯგუფის მატჩები უფრო უხვგოლიანი გამოდგა და საფრანგეთ — ჩეხეთის მაცქერალთ საბოლოოდ იმედგადაწურული ჩეხებისადმი სიმპათია დაუტოვა.

პირველი წუთები სწორედ ჩეხებისა იყო, მაგრამ მერე ზიდანის, ვიეირას, ანელკას, ანრის და სხვათა კარგი თამაშის წყალობით ფრანგებმა მეტხანს აკონტროლეს ბურთი, უფრო აქტიურად ითამაშეს და ეს უკვე მერამდენედ პრესინგის შედეგად საგოლე სიტუაცია შექმნეს და გამოიყენეს.

ჩეხეთმა შესანიშნავად მოთამაშე პაველ ნედვედის პენალტით ანგარიში გაათანაბრა (მაინც მგონია, რომ ნედვედი საჯარიმოს ხაზზე წაიქცა), პობორსკიმ კი მარჯვენა ფრთიდან ცენტრში შესვლას უმატა და ფრანგთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა. თითქმის ყველა საჰაერო ბრძოლა მოიგო ტანმაღალმა კოლერმა, ნედვედთან ერთად ბევრი იმოძრავა შმიცერმაც, მაგრამ ყველაფერი მაინც კლასში სხვაობამ გადაწყვიტა. ფრანგებს უფრო ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ და ლემერს საშუალება ჰქონდა სავსებით სწორი შეცვლები გამოეყენებინა. ამან გაამართლა — გამარჯვების გოლი, ანრისთან შეთანხმებული თამაშით, სწორედ შემცვლელმა ჯორკაეფმა გაიტანა.

ჩეხეთის დარად შინდასაბრუნებელი შეიქნა დანიის ნაკრებიც, რომელმაც ჰოლანდიას პირველ ტაიმში კარგად ორგანიზებული დაცვა და სწრაფი კონტრშეტევები დაუპირისპირა. მეორე ტაიმში უფრო გამართული ტაქტიკის და მაღალი დონის ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ჰოლანდიამ მაინც შეძლო იმ თამაშის ჩვენება, რომელსაც მისგან გულშემატკივრები ელიან. ჰოლანდიელთა გოლებიდან ბოლოს გამოვყოფ. იერიშზე გადასულ მცველ რაიციგერს თავადაც შეეძლო დარტყმა, მაგრამ ამჯობინა ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფი ზენდენისთვის გადაეცა. ზენდენმა დაუძაბავად, ძალიან ტექნიკურად გაიტანა. ეს ეპიზოდი ჰოლანდიის ნაკრების გუნდური სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველი იყო.

C ჯგუფის ორ მატჩში თითო გოლი მატჩის დასაწყისშივე გავიდა. ესპანელებმა ძირითადში ათამაშეს მენდიეტა და კანისარესი. თუკი კანისარესმა ცოტათი აწრიულა ესპანელები, მერე კი რამდენიმე მომენტში გოლს გადაარჩინა, მენდიეტამ უნაკლოდ ითამაშა. მან უზარმაზარი მოცულობის სამუშაო შეასრულა, ძალიან იაქტიურა და ეჩებერიას გადამწყვეტი გოლი გაატანინა. მენდიეტამ რამდენიმე სლოვენიელი მოატყუა, ლამის ნახევარი გუნდი თავისკენ მიიზიდა და შესანიშნავი პასით მეკარესთან ერთი-ერთზე გაიყვანა თავდამსხმელი, რომელმაც მეკარეს ახლო კუთხეში გაუტანა.

უეფას მუქარის გამო ჩემპიონატამდე თითქმის უპრაქტიკოდ დარჩენილი იუგოსლავია თამაშ-თამაშ იკრებს ძალას. მილოშევიჩის სწრაფმა გოლმა ნაკლებტექნიკური ნორვეგია აიძულა დაცვით ტაქტიკაზე უარი ეთქვა, მაგრამ პრიმიტიული თამაშით, გრძელი პასებითა და ჩაწოდებებით ვერას გახდა.

უშელავათო ბრძოლამ იუგოსლავიას სლოვენიასთან გაძევებული მიხაილოვიჩის კვალდაკვალ კეჟმანი გამოაკლო და ამჯერადაც მატჩი კაცნაკლულმა დაამთავრა. ცხვირი გაუტყდა ივერსენს, წარბი გაუსკდა ბრაგსტადს (ისევე როგორც პირველ ტურში ჰოლანდიელ იაპ სტამს). ასეთი ბრძოლით უძლებათ გუნდებს ქულების მოგროვება და ამან ბევრი უნდა დააფიქროს.

ფლანგიდან ჩაწოდებული ჯარიმისას უდიდესი ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი ფაქტობრივად თავით ფეხებში ჩაუვარდა ჩეხ მცველებს, რათა საფრანგეთის სახელით გოლი გაეტანა. ზიდანს არაფერი აკლია — არც ტიტულები, არც ფული, მასაც შეუძლია თქვას, ჩემს ფეხებს, ჩემს თავს ვუფრთხილდები, რადგან „იუვენტუსში“ მაქვს სათამაშოო. მაგრამ ზიდანისთვის, ფიგუს, ბექჰემის, ნედვედის, მათეუსის, მალდინის, ბერხკამპის, კენეტ ანდერსონის თუ კიდევ არაერთის მსგავსად, ახლა მთავარი სამშობლო და მისი ნაკრების ღირსებაა. ყველასთვის სამაგალითო უნდა იყოს, როგორი სერიოზულობით ისმენენ ჭეშმარიტი ვარსკვლავები საკუთარი ქვეყნის ჰიმნს და როგორ უშურველად ახმარენ საკუთარ ნიჭს და ცოდნას მშობლიურ ნაკრებს. ეს განსაკუთრებული და უმნიშვნელოვანესი რამაა. ამის გააზრებლად ევროპის თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცერთი გუნდი მოხვედრილა და ვერც მოხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი
პირველი მატჩი

# სადღაა დინამო?!

„მატჩის დასაწყისი. ბელგიელებმა დინამოელებს ჩამოუარეს. მოკრძალებულად ესალმებოდნენ ბიძიებს. სასაცილოდ ჩანდა ქართველთა ტორებში მოქცეული ბელგიელების პატარა ხელები. მერე „დინამო“ გახდა სასაცილო. სასაცილო თუ სატირალი? ალბათ, ორივე ერთად.

თბილისი
18 ივნისი
18.30 საათი
ეროვნული
7 000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 2:2 სტანდარდი**

1:0 გოგოლაძე (8), 2:0 ზირაქიშვილი (40), 2:1 ვოსი (78), 2:2 ფლორკინი (87)
დინამო: გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, შელია, ა. სახვაძე, გუჩუა, სიჭინავა (ქემოკლიძე 90), რ. არველაძე, დათუაძე (ბურდული 38), აშჩაბაძე, კ. გოგოლაძე, ზირაქიშვილი (მ. ბობოხიძე 67)
სათადარიგონი: ა. ჩიხრაძე, გაბიდაური, გ. მიქაძე, შაშიაშვილი
მწვრთნელი: ჯემალ ჩიმაკაძე
სტანდარდი: ტელემანი, ძელბორნი, მორი, ჟაკმენი, ჰილიქმანი, პასკალინო, საგლამი (ვანდეპოლი 46), ჟაალდა, ვალასიაკი (მალიჟერი 87), პეტერსი (ფლორკინი 21), ვოსი
სათადარიგონი: ფრანკუ, დასუ, დემონსი, ნიკესი
მწვრთნელი: დანიელ ბოკარი
გაფრთხილება: ვოსი (60), აშჩაბაძე (83), მორი (90)
მსაჯები: ზ. ეიალი; დ. მალკა, ა. ნიმერი (ყველა ისრაელი); ა. შალამბერიძე (საქართველო)
უეფას ინსპექტორი: ა. დელმერი (საფრანგეთი)

მამუკა კვანტალიანი

— ეს ბიჭები ძირითადი გუნდის 24 მოთამაშეს შორის ვერ ხვდებიან. ბელგიის ჩემპიონატში ერთხელაც არ უთამაშიათ, მაგრამ მათ კარგად იციან, რომ აქ მიღწეული წარმატება სამომავლოდ წაადგებათ — ეს სიტყვები ახალგაზრდული „სტანდარდის“ ახალგაზრდა მწვრთნელმა დანიელ ბოკარმა გვითხრა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

იჯდა ბელგიელი აშმორებულ ოთახში, რომელიც, ალბათ, არასდროს ნიავდება, წრუპავდა თბილისურ კოკაკოლას, მაინცდამაინც არ სიამოვნებდა იქ ყოფნა, მაგრამ მოვალეობას იხდიდა და მზად იყო, თუნდაც დილამდე ჩვენთან ერთად ყოფილიყო. დანიელ ბოკარმა და მისმა ნორჩმა ფეხბურთელებმა კარგად იციან, რა აკეთონ. ეტყობათ, დღითიდღე იზრდებიან, და ერთხელ, ოდესლაც მათი დროც მოვა.

სამაგიეროდ, „დინამო“ დღითიდღე კნინდება. კნინდება კი არა, ნელ-ნელა კვდება და მისი სიკვდილი ბელგიელმა ბიჭებმა დააჩქარეს.

გულშემატკივარს მაინცდამაინც არ შეუწუხებია თავი. ან იმათ რა მოიგეს, ვინც თამაშის სანახავად მოვიდა. არანაირი ემოცია, ისხდნენ ტრიბუნებზე სისხლგაყინულები.

დარწმუნებული ვარ, „დინამოს“ მესვეურებს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ: „ვითამაშოთ ინტერტოტოზე, იქნებ ერთი-ორი ფეხბურთელი კიდევ გავყიდოთ და ვალებსაც საბოლოოდ მოვიშორებთ“.

როცა საფეხბურთო ევროპა გუშინწინდელ ამბავს შეიტყობს (უკვე ეცოდინებათ კიდეც), არც ერთი ჭკუათმყოფელი კლუბი არ მოისურვებს დინამოელთა გადაბირებას. ამაზე თუ იფიქრა ვინმემ? რატომღაც ნაფიქრისა არაფერი ეტყობოდა „დინამოს“, არც თამაშამდე და არც მერე. თანხის გასტუმრება შეიძლება, მაგრამ ვალი ქართული ფეხბურთისა და ერთგული ქომაგის წინაშე? ის, რაც გუშინწინ „ეროვნულზე“ მისულმა მაყურებელმა იხილა, იყო მორიგი ჩამოურეცხავი სირცხვილი და თავისმოჭრა. კიდევ ერთხელ „დინამოს“ შესრულებით.

...თამაშამდე სტუმარ-მასპინძელი მოედანზე გამწკრივდა. ცალ მხარეს ნორჩი ბელგიელი ყმაწვილები, კაფანდარა ბიჭები, საპირისპიროდ — თმაგაცვენილი, მოსუქებული ბიძები. მეტად არასაფეხბურთო სურათი იყო. ფეხბურთიც, ფაქტობრივად, არ ყოფილა. უფრო სწორად, მხოლოდ სტუმრები თამაშობდნენ. მათ მოქმედებაში იკვეთებოდა სათამაშო ტაქტიკა, მიხვდებოდი, რა სურდათ. მართალია, ხშირადაც ცდებოდნენ, მაგრამ ასაკისა და გამოუცდელობის კვალობაზე სავსებით დამაკმაყოფილებლად ბურთაობდნენ.

„დინამოს“ კი ტაქტიკური მონახაზი, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. საკუთარი საჯარიმოდან ბურთის ამოტანის ერთადერთი ხერხი მისი მეტოქის ნახევრისაკენ გადაგდება თუ იყო, რაც ხშირ შემთხვევაში სტუმართა წისქვილზე ასხამდა წყალს.

ჩვენებურთაგან საუკეთესოდ (საერთოდ თუ შეიძლებოდა უკეთესის გამორჩევა) რევაზ არველაძე და მურთაზ შელია ცნეს. რეზომ საგოლე პასები არიგა, მურთაზმა საჰაერო ბრძოლებში მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ ისიც ცხადად ჩანდა, რომ ამათი საუკეთესო წლები საფეხბურთო ისტორიას წაულია. როცა უფროს არველაძეს ბელგიის ჩემპიონატში გაჰქონდა გოლები და შელია კრისტიან ვიერის არ აძლევდა გასაქანს, მაშინ „სტანდარდის“ უწვერული ბიჭები სკოლებში ახალმიბარებულები იყვნენ.

...დამთავრდა თამაში და რამდენიმე დინამოელმა მსაჯის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა, თუმც, თუ კარგად გავიხსენებთ იმ ვითომდა სადავო მომენტებს, ვნახავთ, რომ საპრეტენზიოც არაფერი იყო. ჯერ დინამოელთა მიერ მესამე გატანილ და არჩათვლილ გოლზე ვთქვათ. კახა გოგოლაძე მეკარის წინ ეულად იდგა, ხოლო მეკარეს კარის ხაზზე მდგომი მცველი უმაგრებდა ზურგს. დაარტყა კახამ და გაიტანა, თანამსაჯმა კი თამაშგარე აღნიშნა. აქ შეიძლება იდავო მსაჯთა შეუთანხმებლობაზე და არა არასწორად დაფიქსირებულ ოფსაიდზე.

თუ მეკარის ზურგსუკან ერთი მცველი (ვაზუსტებ, მხოლოდ ერთი მცველი) დგას და მეკარესა და თავდამსხმელს შორის სხვა არავინაა, მაშინ თამაშგარეა.

რაც შეეხება ბელგიელთა მიერ გატანილ მეორე გოლს, რომელიც ბევრს თამაშგარე ეგონა, წესების სრული დაცვით ჩაითვალა, რადგან „დინამოს“ ტრავმირებულმა კაპიტანმა თენგიზ სიჭინავამ მინდვრის დროულად დატოვება ვერ მოახერხა.

ისე, ვთქვათ და შეცდა ორჯერვე მსაჯი, ნუთუ „დინამოს“ არბიტრის შეცდომა-შეუცდომლობაზე უნდა მისდგომოდა საქმე?!

პრესკონფერენციაზე ჯემალ ჩიმაკაძემ თქვა, მწვრთნელებმა და კლუბის ხელმძღვანელებმა საუკეთესოდ ვინც ვცანით, საინტერტოტოოდ ისინი შევარჩიეთო. იქნებ ჯობდა, ახალგაზრდა ბელგიელებისთვის ახალგაზრდა დინამოელები დაგვეხვედრებინა. თამაშიც საინტერესო და ლამაზი სანახავი გამოვიდოდა და ფრეს როგორმე ისინიც გაახერხებდნენ.

...მატჩის შემდეგ ტრიბუნაზე იდგა ორი პატარა ქართველი ბიჭუნა. მათ ბრაზილიის ნაკრების ტრუს-მაისურა ემოსათ, სახეზე წყენა და გაკვირვება ალბეჭდოდათ და სინანულით ეკითხებოდნენ მშობლებს — ესაა ჩვენი „დინამო“?

„დინამო“... სადღაა „დინამო“. თუ ასე გაგრძელდა, მალე, ალბათ, მისგან სახელი და ისტორიაღა დარჩება.



ბადრი კორძაიას ფოტო

„სტანდარდის“ ახალგაზრდა, ჯერაც გამოუცდელმა მეკარემ პატრიკ ტელემანმა ლამის მამისტოლა კახა გოგოლაძეს დაასწრო

# ბათუმი: მიწის ცხრა და ბევრი საქმე

მომავალი ჩემპიონატის წინ დიდი და ბევრი საქმე ელის „ბათუმის“ იტალიელ მწვრთნელ ჯანი კარნევალის, რომელმაც ამას წინათ ერთი წლით გაიხანგრძლივა ზღვისპირას დარჩენა.

გადაჭარბებულს არაფერს ვიტყვით — „ბათუმი“ ახალ ჩემპიონატს ახალი გუნდით დაიწყებს. საამისოდ რაც დღეს ვიცით, ისიც კმარა.

თავად განსაჯეთ. „ბათუმის“ პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ გვითხრა, რომ მწვრთნელ-ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გუნდიდან განთავისუფლებულია ოთხი ფეხბურთელი — თემურ ტულუში, პაატა მაჭუტაძე, თემურ ჩლაიძე და ირაკლი თარგამაძე. ამათ გარდა „ბათუმთან“ ურთიერთობის გაწყვეტა ისურვა შალვა ხუჯაძემ, მას მაისში კონტრაქტი დაუმთავრდა. ჯანი კარნევალისთან ერთად შვეიცარიის პირველი დივიზიონის „არაუს“ მიაშურა ბომბარდირმა ლევან ხომერიკმა, რომელიც ახალ კლუბთან ალბათ ერთ ან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. დღედღეზე გადაწყდება მეკარე ნიკა ტოგონიძის ბათუმიდან წასვლის ამბავი. მას რუსეთის უმაღლესი დივიზიონის რამდენიმე გუნდი ეპატიჟება და საქმეც ასარჩევად აქვს. ფეხბურთს გამოეთხოვება 38 წლის მალხაზ მახარაძე, რომელიც ეროვნული ჩემპიონატების დაწყებიდან, 1990 წლიდან „ბათუმის“ წევრია და საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაშიც უთამაშია „დინამოს“ შემადგენლობაში. მას ცოტა ხანში ბათუმელები სათანადოდაც გააცილებენ.

სულ რვა ფეხბურთელი ჩამოვთვალეთ. ახლა კი მათ ერთი წლით დისკვალიფიცირებული ზურაბ არჩვაძეც დავუმატოთ და... აი, ასეთია ბათუმური ამბები.

გუნდს მზადება ჯერ არ დაუწყია, 3 ან 4 ივლისს ბათუმშივე შეიკრიბებიან, ვარჯიშს მაშინ განაახლებენ და წინასასეზონო უცხოურ შეკრებაზეც დაილაპარაკებენ.

„ბათუმიდან“ წასულებს ბათუმელივე ახალგაზრდები, იქაური საფეხბურთო სკოლის აღზრდილები შეცვლიან. კარნევალის რამდენიმე ჭაბუკისთვის დაუდგამს თვალი. ბათუმელებს აგრეთვე სურთ, ფოთელები — ზურაბ ქვაჩახია და მიხეილ ქობულაძე, თბილისელი მამუკა მაჭავარიანი, ბოლნისელი ბესიკ შენგელია, დინამოელი ოლეგ გველესიანი და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბირონ.

ამადაც ვთქვით, ჯანი კარნევალის დიდი და ბევრი საქმე ელისო. გუნდის გაახლება ხომ ყველა მწვრთნელს არ ეხერხება.

კობა ინასარიძე



მია ახალაძის ფოტო

ლევან ხომერიკი შვეიცარიაში მესამე ქართველი იქნება

# კორღალიძე ყვავილებში

თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე მუშაობას ესტონეთში გააგრძელებს და იქაურ „ფლორას“ ხუთი თვე გაწვრთნის. კორღალიძე ტალინს დღეს გაემგზავრება და ახალ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს.

— „ფლორას“ პრეზიდენტმა აივარ პოლაკმა ჩემი უმუშევრობის ამბავი რომ გაიგო, თავად შემეხმიანა და გუნდის მწვრთნელობა შემომთავაზა. ბევრი არ მიფიქრია, დავთანხმდი. „ფლორაში“ ჯერჯერობით ხუთ თვეს დავყოფ, მერე კი ვნახოთ, თუ იქაური პირობები მომეწონა, კონტრაქტს გავაგრძელებ, არადა, უკანვე ჩამოვალ და რომელიმე ქართულ გუნდს ვუხელმძღვანელებ. ვიდრე ესტონეთიდან შემეხმიანებოდნენ, აქაც მიწვევდა რამდენიმე კლუბი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვიუარე. „ფლორაში“ ქართველი ფეხბურთელების წაყვანაც მსურს, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებ, თუ ხუთ თვეზე მეტ ხანს დავრჩები, მერე ბიჭებსაც შევთავაზებ ესტონეთში წამოსვლას — გვითხრა ოთარ კორღალიძემ, რომელიც „დინამოში“ მუშაობამდე სწორედ „ფლორას“ წვრთნიდა, უფრო ადრე ამ გუნდში თამაშობდა კიდეც.

თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის საკითხი კი არც დღესაა ბეჭედდასმული. ამბობენ, მურთაზ ხურცილავა და სერგო კუტივაძე გუნდს პირველად დღეს ავარჯიშებენო.

კობა ინასარიძე



ოთარ კორღალიძე „ფლორას“ მწვრთნელია



ერთი წელიწადი გასულა... ამ ხნის მანძილზე ეროვნული ჩემპიონატის ვერც ერთი მატჩის ოქმში ვერ ამოიკითხავდით მის გვარ-სახელს. ჯუბა ჩუხუა ერთი წელია, არ თამაშობს.

არადა, ბევრს დღესაც ჰგონია, რომ ის საზღვარგარეთ აგრძელებს კარიერას. ძალიან სწრაფად გარბის დრო. თითქოს ახლახან იყო ის დღე, რომელმაც საქართველოს ფეხბურთელი, ახლობლებს სანუკვარი ადამიანი წაართვა.

ჯუბა ჩუხუას საფლავზე არაერთი მწუხარე ადამიანი შეიკრიბა. გაიხსენეს ოჯახის წევრებმა, თანაგუნდელებმა, ბავშვობის მეგობრებმა, იყო ზღვა ცრემლი და მოგონებები...

ბევრს კი მაინც ჰგონია, რომ ის კიდევ თამაშობს ფეხბურთს და მინდორზეც თავისებურად გამორჩეულია.

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

# აფრიკა. I ტური

### A ჯგუფი

ანგოლა — ზამბია 2:1; ლიბია — კამერუნი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ანგოლა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ზამბია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლიბია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ტოგო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*II ტური: 8 ივლისი. ზამბია — ტოგო; 9 ივლისი. კამერუნი — ანგოლა*

### B ჯგუფი

ნიგერია — სიერა ლეონე 2:0; სუდანი — ლიბერია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სუდანი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლიბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სიერა ლეონე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| განა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*II ტური: 8 ივლისი. სიერა ლეონე — განა; 9 ივლისი. ლიბერია — ნიგერია*

### C ჯგუფი

ალჟირი — სენეგალი 1:1; ნამიბია — მაროკო 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალჟირი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სენეგალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მაროკო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნამიბია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ეგვიპტე | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*II ტური: 9 ივლისი. მაროკო — ალჟირი; სენეგალი — ეგვიპტე*

### D ჯგუფი

მადაგასკარი — კონგოს დრ 3:0; კოტ დივუარი — ტუნისი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მადაგასკარი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| კოტ დივუარი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ტუნისი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| კონგოს დრ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| კონგო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*II ტური: 8 ივლისი. ტუნისი — მადაგასკარი; 9 ივლისი. კონგოს დრ — კონგო*

### E ჯგუფი

მალავი — ბურკინა ფასო 1:1; გვინეა — ზიმბაბვე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვინეა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბურკინა ფასო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მალავი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზიმბაბვე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| სამხ. აფრიკა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

*II ტური: 9 ივლისიბურკინა ფასო — გვინეა; ზიმბაბვე — სამხ. აფრიკა*

# უკრაინა

29-ე ტური: მეტალისტი — დინამო 0:5; ცსკა — კარპატი 2:3; ნივა — ჩორნომორეცი 3:1; მარიუპოლი — მეტალურგი 4:1; პრიკარპატიე — ზირკა 4:2; შახტარი — ტავრია 2:0; ზაპოროჟიე — დნიპრო 6:1; ვორსკლა — კრივბასი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 26 | 3 | 0 | 83:17 | 81 |
| შახტარი | 29 | 20 | 3 | 6 | 54:14 | 63 |
| კრივბასი | 29 | 18 | 6 | 5 | 53:28 | 60 |
| ვორსკლა | 29 | 14 | 7 | 8 | 49:32 | 49 |
| მეტალისტი | 29 | 11 | 8 | 10 | 39:40 | 41 |
| ზაპოროჟიე | 29 | 11 | 8 | 10 | 41:34 | 41 |
| მეტალურგი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:34 | 40 |
| კარპატი | 29 | 12 | 4 | 13 | 39:37 | 40 |
| მარიუპოლი | 29 | 12 | 3 | 14 | 45:45 | 39 |
| ცსკა | 29 | 9 | 8 | 11 | 31:34 | 35 |
| დნიპრო | 29 | 7 | 9 | 13 | 24:51 | 30 |
| ტავრია | 29 | 7 | 8 | 14 | 31:49 | 29 |
| პრიკარპატიე | 29 | 7 | 8 | 14 | 26:43 | 29 |
| ნივა | 29 | 6 | 10 | 13 | 39:57 | 28 |
| ჩორნომორეცი | 29 | 6 | 8 | 15 | 17:47 | 26 |
| ზირკა | 29 | 0 | 9 | 20 | 14:59 | 9 |




СПОРТ-ЭКСПРЕСС

ტორპედო — სპარტაკი 0:3. ბრაზილიელი რობსონი (მარცხნივ) ამ მატჩში საუკეთესო იყო

# რუსეთი

XIII ტური

**ნ. ნოვგოროდი 1:2 ცსკა**

0:1, 0:2 კულიკი (3პ, 52პ), 1:2 საველიევი (78)

**დინამო 2:1 ანჟი**

1:0 გუსევი (48პ), 1:1 სირხაევი (65), 2:1 ტებლოევი (94ს.კ.)

**სატურნი 2:0 როტორი**

1:0 მედვედევი (5), 2:0 მოვსესიანი (65)

**ჩერნომორეცი 3:1 ფაკელი**

1:0 კოვალენკო (11პ), 1:1 საფრონოვი (15), 2:1 კაკოსიანი (13), 3:1 პოპოვი (81)

**ტორპედო 0:3 სპარტაკი**

0:1 პარფიონოვი (37პ), 0:2 რობსონი (42), 0:3 შჩეგოლევი (75)

**როსტსელმაში 0:0 ლოკომოტივი**

**ალანია 1:1 ურალანი**

0:1 ავალიანი (27), 1:1 პოლი (63)

**ზენიტი 3:0 კრილია**

1:0 პანოვი (8), 2:0 პოპოვიჩი (40პ), 3:0 დემენკო (67)

ესეც ასე. ვიმარჩიელოთ, 8-ქულიანი სხვაობა ცოტაა თუ ბევრი. თუ სასწაული არ მოხდა, შეიძლება აქედანვე ვივარაუდოთ, რომ „სახალხო გუნდი“ კიდევ ერთხელ იჩემპიონებს. მოსკოვის „სპარტაკს“ ვგულისხმობ. გუშინწინ „ლუჟნიკების“ პირობითმა სტუმრებმა ვიტალი შევჩენკოს ერთობ დაბალანსებულ „ტორპედოს“ სულ თავბედი აწყევლინეს, 3:0-იც ყველაფერზე მეტყველებს. დღესდღეობით რუსეთში არ მოიძებნება გუნდი, რომელიც „სპარტაკის“ ჰეგემონიის დამხობას შეძლებს. ასეთად კი უპირველესად „ლოკომოტივი“ ითვლებოდა. მაგრამ რა, იური სიომინის ბიჭებს რაც დაემართათ, ალბათ, თავადაც ვერ მიმხვდარან. ჩინებულ სტარტს მოულოდნელი ჩავარდნა მოჰყვა. რკინიგზელებმა დონის როსტოვში, შვიდი ათასი მაყურებლის თვალწინ „როსტსელმაშთან“ ოდენ 0:0 ითამაშეს, დედაქალაქელებს ვერც შეცვლაზე შესულმა ჩვენებურმა ზაზა ჯანაშიამ უშველა. ტრავმამოშუშებულმა ქართველმა მეორე ტაიმში ოლეგ გარასი შეცვალა.

ვლადიკავკაზში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მატჩი გაიმართა, თუმცა ერთი პიროვნებისთვის იგი მეტად მნიშვნელოვანი იყო. „ალანიას“ მწვრთნელ ალექსანდრ ავერიანოვს, რომელიც თვენახევრის წინ „ურალანიდან“ დაითხოვეს, სურდა დაემტკიცებინა, რომ მისი ელისტიდან წასვლა შეცდომა იყო. ალანებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს ვერ მოუგეს. ქართველებიდან მამუკა წერეთელმა და ლევან სილაგაძემ (43-ე წუთზე დარიუს ჟუტაუტასი შეცვალა) ითამაშეს. მიხეილ აშვეთია სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

და „ანჟი“? ჩემპიონატის მახაჩყალურმა აღმოჩენამ, „როგორც იქნა“, წააგო. დაღესტნელებმა ტრიუმფალური სვლა ვალერი გაზაევის „დინამოსთან“ დაასრულეს. ვინც ამ მატჩის ამსახველი მომენტები ნახა, მახაჩყალელები ნამდვილად შეეცოდებოდა. თავად განსაჯეთ, მე-4 წუთზე არბიტრმა ლაპოჩკინმა სტუმარი ბუდუნოვი გააძევა, ათი კაცით დარჩენილმა „ანჟიმ“ 65-ე წუთზე სირხაევის გოლით გაათანაბრა. გავიდა ოთხი წუთი და ახლა მეკარე ალექსანდრ ჟიდკოვმა იყოჩაღა, დინამოელ გუსევს თერთმეტმეტრიანი აუღო. პორტუგალია — რუმინეთის შეხვედრის არ იყოს, მსაჯმა აქაც ოთხი წუთი დაუმატა, დამატებული დროც ამოიწურა და „ანჟიმ“ გოლი გაუშვა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მცველმა ტებლოევმა საკუთარ კარში გაიტანა. მსაჯობით უკმაყოფილო გაჯი გაჯიევსაც, სტუმართა მწვრთნელს, ნამატჩევს დანა პირს არ უხსნიდა: „რა უნდა ვთქვა, წავაგეთ, ძნელი ბრძოლა იყო“. ვალერი გაზაევმა კოლეგას მიულოცა, ყოჩაღი, ბრძოლისუნარიანი და მშვენიერი გუნდი გყავსო და ქების სიტყვები არც თავისი ფეხბურთელებისთვის დაიშურა: „მადლობა ბიჭებს, მათ საბრძოლო სულისკვეთება გამოავლინეს“. რაც შეეხება ქართველ ალეკო გოგობერიშვილს, იგი ვერც ამჯერად მოხვდა მახაჩყალელთა თერთმეტეულში.

**გიორგი ვაშაძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 13 | 11 | 1 | 1 | 29:8 | 34 |
| ანჟი | 14 | 8 | 2 | 4 | 23:11 | 26 |
| ლოკომოტივი | 13 | 7 | 5 | 1 | 14:6 | 26 |
| ჩერნომორეცი | 13 | 7 | 3 | 3 | 22:8 | 24 |
| დინამო | 13 | 7 | 3 | 3 | 16:13 | 24 |
| ტორპედო | 13 | 6 | 4 | 3 | 16:12 | 22 |
| სატურნი | 13 | 6 | 3 | 4 | 13:11 | 21 |
| ზენიტი | 14 | 5 | 4 | 5 | 14:12 | 19 |
| კრილია | 13 | 5 | 0 | 8 | 14:22 | 15 |
| ალანია | 13 | 4 | 3 | 6 | 11:16 | 15 |
| როტორი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:25 | 15 |
| როსტსელმაში | 14 | 2 | 8 | 4 | 7:8 | 14 |
| ფაკელი | 13 | 2 | 6 | 5 | 15:23 | 12 |
| ცსკა | 13 | 3 | 2 | 8 | 10:19 | 11 |
| ურალანი | 13 | 1 | 4 | 8 | 9:19 | 7 |
| ნ. ნოვგოროდი | 14 | 0 | 5 | 9 | 6:20 | 5 |

## ფეხბურთის ქრონიკა



**არგენტინელი** ხუან რამონ რიკელმე, შესაძლოა „ბოკა ხუნიორსიდან“ „ბარსელონაში“ გადავიდეს. თუ კატალონიური კლუბის პრეზიდენტად ხაიმე ლაურადოს აირჩევენ, იგი, ალბათ, რიკელმეს შეიძენს. „ბოკა ხუნიორსის“ ხელმძღვანელობას უკვე შევუთანხმდი, თუ „ბარსელონას“ პრეზიდენტი გავხდები, არგენტინელს კატალონიაში გადავიბირებ, — განაცხადა ლაურადომ. ესპანური გაზეთების ცნობით, კატალონიური გრანდი რიკელმეს 25,8 მილიონ დოლარად ყიდულობს. თავად ფეხბურთელი ამბობს: „ბარსელონაში“ გადასვლას ვამჯობინებ, ბოლო-ბოლო, იქ ხომ მარადონას უთამაშია“. შეგახსენებთ, რომ კლუბის პრეზიდენტის არჩევნები 23 ივლისს ჩატარდება.

**ფრანგმა მცველმა მარსელ დესაიმ „ჩელსისთან“ ხელშეკრულება ოთხი წლით გაახანგრძლივა. „დესაი კლუბის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა, მან კონტრაქტს ხელი მოაწერა და კარიერას, ალბათ, „ჩელსიში“ დაასრულებს“ — განაცხადა ლონდონელთა მენეჯერმა კოლინ ჰათჩისონმა. 30 წლის ფეხბურთელს არაერთი წამყვანი ევროპული კლუბი, მათ შორის მადრიდის „რეალიც“ იწვევდა, მაგრამ იგი ახალმა შეთანხმებამ მოხიბლა. „ჩელსიში“ გრემ ლე სოც დარჩა. მან წინა სეზონი მუხლის ტრავმის გამო თითქმის გამოტოვა, თუმცა გუნდის ხელმძღვანელობამ მაინც დაიტოვა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ინგლისური სააგენტოების ცნობით, „ჩელსის“ 12 მილიონი დოლარის სანაცვლოდ „ევერტონისგან“ ნახევარმცველ ნიკ ბარმბის შეძენაც სურს.**

**ინგლისური** „ევერტონი“ „ნიუკასლის“ იტალიელ ლეგიონერ ალესანდრო პისტონეთი დაინტერესდა. სავარაუდო სატრანსფერო თანხა 4,5 მილიონი დოლარია. პისტონე „ნიუკასლში“ 1997 წელს მილანის „ინტერიდან“ გადავიდა, მერე ფეხი მოიტეხა და შარშანდელი სეზონი თითქმის გამოტოვა.

**იტალიური სააგენტოების განცხადებით, არგენტინელმა ნახევარმცველმა მატიას ალმეიდამ „პარმას“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება უკვე დაასრულა და გაისად, ალბათ, ამ კლუბში ითამაშებს. „ლაციო“ ალმეიდას სანაცვლოდ დაახლოებით 14,5 მილიონ გირვანქას მიიღებს. წინასწარი ინფორმაციით, არგენტინელი ფეხბურთელი ახალ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „პარმა“ მალე, შესაძლოა ერნან კრესპომ დატოვოს. წინა სეზონში სერია A-ს ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს „მილანი“ და „ლაციო“ იწვევდნენ.**

**იტალიური** „ინტერის“ ყურადღების ცენტრში პორტუგალიის 21-წლამდელთა ნაკრების სამი ფეხბურთელი — კანიერუ, პაულუ კოშტა და ვაშკუ ფაიშკა მოექცა. 19 წლის ფაიშკა ლისაბონის „სპორტინგში“ თამაშობს და ერთ-ერთ პერსპექტიულ პორტუგალიელ მცველად ითვლება, ადრე მას „ვერონაც“ ეპატიჟებოდა. 20-20 წლის არიან პაულუ კოშტა და კანიერუ, რომელიც ამპლუით ცენტრალური მცველია. მილანური კლუბი, შესაძლოა ივან სამორანომ დატოვოს, ჩილელ თავდამსხმელს მექსიკური გუნდები ეპატიჟებიან. სამორანოს „ინტერთან“ კონტრაქტი 2001 წელს უსრულდება.

# ბრაზილია

**სან პაულუს შტატი**

ფინალი. II მატჩი

***სან პაულუ 2:2 სანტოსი (1:0)***

**რიოს შტატი**

ფინალი. II მატჩი

**ვასკუ და გამა 1:2 *ფლამენგო* (0:3)**

რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი კარიოკა „ფლამენგომ“ მოიგო, რომელმაც „მარაკანაზე“ ჩატარებულ ფინალურ შეხვედრაში „ვასკუ და გამას“ 2:1 სძლია. პირველ მატჩში „ფლამენგომ“ 3:0 იმარჯვა, ორი შეხვედრის ჯამში კი მეტოქე 5:1 დაამარცხა და საპატიო ტიტულს დაეუფლა.

„ფლამენგო“ — „ვასკუს“ მატჩი ძალიან უხეში გამოდგა. ფლამენგოელებმა თამაშის წესი 62-ჯერ დაარღვიეს, თუმცა მსაჯმა ალოისიო ვიუგმა მათ ყვითელი ბარათი მხოლოდ-დამხოლოდ ერთხელ უჩვენა, „ვასკუს“ მოთამაშეები კი ოთხჯერ დასაჯა.

ფლამენგოელმა მურინიომ და ვასკუელმა ფელიპემ ერთმანეთთან ჩხუბისთვის წითელი ბარათიც დაიმსახურეს. წლეულს „ვასკუ“ — „ფლამენგოს“ ოთხ შეხვედრაში მსაჯმა ფეხბურთელები მეთორმეტედ გააძევა.

მეტოქეები ერთმანეთს თითქმის არ უტევდნენ და მთელ ენერგიას ჭიდაობასა და ძალისმიერ ორთაბრძოლაში ხარჯავდნენ.

„ვასკუ“ ვიოლამ დააწინაურა, მაგრამ რეინალდომ ანგარიში გაათანაბრა, ხოლო ტუტამ მეორეც შეაგდო და „ფლამენგოს“ გამარჯვება მოუპოვა. თითქმის ერთხმად აღინიშნა, რომ ტუტამ მეორე გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა. ამან, ცხადია, მაყურებელთა უკმაყოფილება გამოიწვია.

„ვასკუს“ ორი წამყვანი მოთამაშე აკლდა. რომარიომ მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა 19 გოლით მაინც საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ედმუნდო კი, როგორც ადრე გაუწყეთ, „ვასკუმ“ დასაჯა და, ალბათ, აღარ ათამაშებს.

„ფლამენგოს“ ატირსონი ვერ დაეხმარა, მას დოპინგ-ტესტის დადებითი პასუხის გამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა. თუმცა „ფლამენგომ“ ატირსონის გარეშეც მოიგო. ეს გუნდის ისტორიაში 25-ე გამარჯვებაა, თუმცა რეკორდსმენი ჯერჯერობით „ფლუმინენსეა“, რომელსაც ტიტული 28-ჯერ მოუგია. წლევანდელი ფინალისტი „ვასკუ“ კი ტურნირის ოცგზის გამარჯვებულია.

# ინტერტოტოს თასი

I ეტაპი. 17-18 ივნისი

INTERTOTO CUP

ტორსჰაგენი (ფარერები) — ტატაბანია (უნგრეთი) 0:4
ნარვა (ესტონეთი) — ჩაჰლაული (რუმინეთი) 2:5
არაქსი (სომხეთი) — სიგმა (ჩეხეთი) 1:2
ფლორიანა (მალტა) — სტაბეკი (ნორვეგია) 1:1
ქოჯაელი (თურქეთი) — ატლანტასი (ლიტვა) 0:1
ლინცერი (ავსტრია) — ჰაპოელი (ფეთახ თიქვა, ისრაელი) 2:1
გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — სლავენი (ხორვატია) 1:1
ზაგლებე (პოლონეთი) — ვილიაში (აზერბაიჯანი) 4:0
ტრენჩინი (სლოვაკეთი) — დინაბურგი (ლატვია) 0:0
პრიმორიე (სლოვენია) — ვესტერლო (ბელგია) 5:0
ფრიოლუნდა (შვედეთი) — ზრინსკი (ბოსნია) 1:0
ციბალია (ხორვატია) — ობილიჩი (იუგოსლავია) 3:1
**დინამო (საქართველო) — სტანდარდი (ბელგია) 2:2**
მოგილიოვი (ბელარუსი) — სილკებორგი (დანია) 2:1
მიუპა (ფინეთი) — ქსამაქსი (შვეიცარია) 1:2
ლეიფტური (ისლანდია) — ლუცერნი (შვეიცარია) 2:2
დუბლინი (ირლანდია) — ველბაჟდი (ბულგარეთი) 3:3
ნეა სალამინა (კვიპროსი) — ვლაჟნია (ალბანეთი) 4:1
პელისტერი (მაკედონია) — ჰობშაიდი (ლუქსემბურგი) 3:1
ქუიმბრან თაუნი (უელსი) — უნისპორტი (მოლდოვა) 0:1

*საპასუხო მატჩები გაიმართება 24-25 ივნისს*


ახალი!

**პირველად საქართველოში!**

რადიო „ევრიკა“ გთავაზობთ პროექტს „ევრო 2000“

RADIO EVRIKA 100.3 FM
ყახლური ჰიტების ტალღა

*გადაცემაში „ევრო 2000“ თქვენ თამაშების წინ მოისმენთ:*

- ცოტაოდენი რამ ევროპის ჩემპიონატის ისტორიიდან
- ინფორმაცია ფეხბურთელთა პირადი ცხოვრებიდან
- კურიოზები და ანეკდოტები ფეხბურთზე
- სტატისტიკური ცნობები ევროპის ჩემპიონატის შესახებ
- გასული თამაშის მიმოხილვა
- საუბარი იმ გუნდების შესახებ, რომელთა თამაშიც არის იმ დღეს, ხოლო გადაცემის ბოლოს მიიღებთ მონაწილეობას საინტერესო ვიქტორინაში.

**გენერალური პრიზის მომწოდებელი — ტურისტული ფირმა „აფრა“**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**კროკოს ბიუროები ევროპის ჩემპიონატის მატჩების დღეებში შესვენების გარეშე იმუშავებს (როცა თამაშები არ ტარდება — ჩვეულებრივი განრიგით)**

ევროპის ჩემპიონატი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 23.45 | 049 | ინგლისი-რუმინეთი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 050 | პორტუგალია-გერმანია | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 21.00 | 053 | სლოვენია-ნორვეგია | 5,3 | 3,3 | 1,6 |
| 21.00 | 054 | იუგოსლავია-ესპანეთი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23.45 | 051 | დანია-ჩეხეთი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 23.45 | 052 | საფრანგეთი-ჰოლანდია | 2,8 | 2,9 | 2,3 |

I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 069 | ინგლისი-რუმინეთი | 2,5 | 9,0 | 20,0 | 2,8 | 5,5 | 6,0 | 12,0 | 8,0 | 6,0 |
| 23.45 | 070 | პორტუგალია-გერმანია | 5,0 | 7,0 | 5,0 | 5,5 | 5,8 | 3,5 | 15,0 | 8,0 | 3,5 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | | | | |
| 21.00 | 073 | სლოვენია-ნორვეგია | 7,5 | 8,0 | 12,0 | 8,0 | 5,8 | 3,0 | 20,0 | 9,0 | 2,2 |
| 21.00 | 074 | იუგოსლავია-ესპანეთი | 4,5 | 8,0 | 12,0 | 5,0 | 4,5 | 4,2 | 12,0 | 8,0 | 3,5 |
| 23.45 | 071 | დანია-ჩეხეთი | 5,0 | 8,0 | 15,0 | 7,0 | 5,0 | 3,6 | 20,0 | 8,0 | 3,0 |
| 23.45 | 072 | საფრანგეთი-ჰოლანდ. | 4,5 | 7,0 | 12,0 | 5,3 | 4,7 | 4,5 | 15,0 | 7,0 | 3,6 |

(დასაშვებია №№069-074 გადამრავლება)

**ევროპის ჩემპიონატი**

| | ჩემპიონი 20 ივნისი (23.45) | | | ფინალში გასვლა 20 ივნისი (23.45) | |
|---|---|---|---|---|---|
| 101 | ჰოლანდია | 3,5 | 201 | ჰოლანდია | 1,8 |
| | იტალია | — | | იტალია | — |
| | ინგლისი | 4,0 | | ინგლისი | 2,0 |
| | გერმანია | 9,0 | | გერმანია | 4,0 |
| | საფრანგეთი | 4,0 | | საფრანგეთი | 2,0 |
| | ესპანეთი | 9,0 | | ესპანეთი | 4,5 |
| | ბელგია | — | | ბელგია | — |
| | იუგოსლავია | 9,0 | | იუგოსლავია | 4,5 |
| | ნორვეგია | 15,0 | | ნორვეგია | 7,0 |
| | შვედეთი | — | | შვედეთი | — |
| | პორტუგალია | 8,0 | | პორტუგალია | 4,0 |
| | რუმინეთი | 40,0 | | რუმინეთი | 20,0 |
| | თურქეთი | — | | თურქეთი | — |
| | სლოვენია | 100,0 | | სლოვენია | 50,0 |

*(დასაშვებია ორი გუნდის გადამრავლება)*

**ევროპის ჩემპიონატის ბომბარდირი. 20 ივნისი (23.45)**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 701 | კლუივერტი | 6,0 | 701 | სოლსკიაერი | 40,0 | 701 | ჯორკაეფი | 20,0 |
| | რაული | 10,0 | | ზიდანი | 25,0 | | კოვაჩევიჩი | 50,0 |
| | ანრი | 6,0 | | ფიგუ | 20,0 | | ფაულერი | 25,0 |
| | შირერი | 10,0 | | მიატოვიჩი | 40,0 | | მილოშევიჩი | 6,0 |
| | ანელკა | 10,0 | | ფლო | 40,0 | | მპენზა | — |
| | იანკერი | 30,0 | | ტრეზეგე | 30,0 | | ნილისი | — |
| | ოუენი | 15,0 | | სქოულზი | 20,0 | | მენდიეტა | 50,0 |
| | ბერხკამპი | 10,0 | | ზაჰოვიჩი | 20,0 | | ჰესკი | 50,0 |
| | კირსტენი | 30,0 | | ტოტი | — | | ოვერმარსი | 50,0 |
| | ფ.ინძაგი | — | | ანდერსონი | — | | დიუგარი | 50,0 |
| | მონტელა | — | | ლარსონი | — | | სტოიკოვიჩი | 50,0 |
| | დელ პიერო | — | | შუქური | 50,0 | | ილიე | 50,0 |

*იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა ფეხბურთელმა გოლების თანაბარი რაოდენობა დააგროვა, დადებულ ფსონს ზემოთ მოგებული თანხა ბომბარდირთა რაოდენობაზე გაიყოფა*

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე 11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

**ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)**

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს" განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.**

*დასაშვებია მხოლოდ ის გადამრავლებები, რომლებიც მითითებულია სიაში არასწორი გადამრავლებისას, დარჩება პროგნოზთა ის ჯგუფი, რომლის კოეფიციენტთა ნამრავლიც მეტია*

*გადამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ წესით რომელიც ზემოთ არის მითითებული*

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

საქართველოს ჩემპიონატი

**ფინალი**

IV მატჩი

**ბასკო — აზოტი 3:1**

სამ მოგებამდე

17 ივნისი. სპორტის სასახლე

**აზოტი 95:98 ბასკო**

I ტაიმი 39:45 ძირითადი დრო 82:82

**აზოტი:** ა. ჟღენტი (12), გოგობერიშვილი (37), წიკლაური (10), ბაბიაშვილი (17), მ. ბერუაშვილი (7); გაბისონია (6), ლ. ჩაჩუა (3), ა. ბოისა, ჯიმშელეიშვილი (3), გოგოლაძე

**ბასკო:** ბელიაევი (12), დავითულიანი (7), ბეჟანიშვილი (19), ქარაბაკი (24), ვ. კილაძე (10); მაისურაძე (14), კვაჭაძე (1), არხიპოვი (11)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

# ბასკო ჩემპიონია!

გიორგი ბიკაშვილი



ბასკოელი ლევან ქარაბაკი მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა



ბასკოელი ვალერი კილაძე (№7) ლევან წიკლაურს უფარებს



„ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე ნამატჩევს შეგირდებმა მოიხელთეს

საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს — ბათუმის „ბასკო“!

ქვეყნის უმთავრესი საკალათბურთო ჯილდო ამიერიდან ზღვისპირეთში დაიდებს ბინას. ბათუმელთა ოცნებას ფრთები შეესხა, მათ საჩემპიონო მანტია მოისხეს და საკალათბურთო საქართველოშიც „ბასკოს“ ბატონობის ხანა დადგა.

რუსთავის „აზოტი“ კვლავაც მეორეა, ოთარ ხმელიძის გუნდი ზედიზედ მესამედ დამარცხდა ფინალში, საჩემპიონო მწვერვალი ორგზის ვიცე-ჩემპიონმა ვერც ამჯერად დალაშქრა.

ბათუმსა და რუსთავს მხოლოდ ერთი აქვთ საერთო, ორივეგან ემოციები მოჭარბებულა. ერთგან გამარჯვების სიხარულს დაუბინდავს ირგვლივ ყველაფერი, რუსთავი კი მწუხრს მოუცავს, წყენასთან, ტკივილთან გაჯერებულა ემოცია „აზოტის“ მშობლიურ ქალაქში.

დამთავრდა, ყველაფერს დაესვა წერტილი, გასრულდა მძიმე და მომქანცველი მარათონი, ტრიუმფი ახლა „ბასკოს“ ხვედრია, აჭარის გუნდმა ღირსეულად იჩემპიონა, სადებიუტო სეზონშივე დაიდგა გვირგვინი.

ოქროსმაძიებელთა მეოთხე დაპირისპირება გადამწყვეტი გამოდგა. „ბასკოს“ კაპიტანმა, ირაკლი ჭეიშვილმა ნამატჩევს ჩემპიონის თასი ჩაიბარა, მერე იყო მწვრთნელთა მაღლა ატყორცნა და ტრადიციული რიტუალი შამპანურის თანხლებით...

რუსთაველი ლევან ჩაჩუას სამქულიანი დაუჯერებელი იყო, ზღაპარს უფრო ჰგავდა. ძირითადი დროის უკანასკნელ წამზე აზოტელმა სასწაულებრივი ჩააგდო, რითაც „ბასკოს“ მხოლოდ რამდენიმე წუთით გადაუვადა ჩემპიონობა.

დამატებითი დრო კარგა ხანია ჩვეულებად ქცეულა „ბასკო“ — „აზოტის“ შეხვედრებისას. შაბათს მეოთხედ დაეკისრა ოვერტაიმს გამარჯვებულის გარკვევა. და გაირკვა, ყველაფერი გაცხადდა...

მართლაც მოახერხა ოთარ ხმელიძემ, შეძლო და კიდევ ერთხელ დარაზმა შეგირდები მრისხანე „ბასკოსთან“ საბრძოლველად. მიზანსწრაფული და ყოველმხრივ მომართული იყო „აზოტი“, თამაში მეტოქეზე უკეთ დაიწყო და მიხეილ ბერუაშვილმა ანგარიშიც გახსნა. „ბასკოს“ სიზუსტე აკლდა და მატჩის დებიუტში რამდენჯერმე ელემენტარულ სიტუაციაში დაკარგა ბურთი, რაც ვლადიმერ ბეჟანიშვილს ზედიზედ ორჯერ დაჯარიმების ფასად დაუჯდა. რამაზ გოგობერიშვილისა და იმავე ბერუაშვილის ზუსტი საჯარიმოებით ვიცე-ჩემპიონი თავიდანვე ექვსი ქულით მოსწყდა „ბასკოს“.

ბათუმელთა დამრიგებელმა ზურაბ ტომარაძემ ცვლილებებს მიჰყო ხელი. ცხადი იყო, სასტარტო ხუთეულმა არ გაუმართლა და სხვა გზები უნდა მოენახა მწვრთნელს. ვალერი კილაძის ნაცვლად მოედანზე ანტონ არხიპოვის გამწესება ტომარაძის მხრიდან ზუსტი მიგნება გამოდგა, „ბასკოს“ რუსი გონივრულად მოქმედებდა, მწვრთნელის დავალებით თუ საკუთარი სურვილით უმეტესად წინა ცენტრის პოზიციიდან უტევდა „აზოტის“ კალათს და აკი პირველად სწორედ მისი ჩაგდებულის შემდეგ გათანაბრდა ანგარიში — 16:16.

რუსთაველთა კაპიტანმა და ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა ჩრდილში ყოფნა დიდხანს აღარ ისურვა და ჯერ თავად ჩააგდო, მერე ზუსტი და დროული პასით ზვიად ბაბიაშვილს ჩააგდებინა. ამ დროს ტომარაძემ ქარაბაკი გაიხმო სათადარიგოებში, რაც ხმელიძესაც არ გამოჰპარვია და ქარაბაკის მეურვე წიკლაურის დასვენება გადაწყვიტა. მოკლე ხანში ორივე თითქმის ერთდროულად დაუბრუნდა მოედანს, ტომარაძემ მეორე ლეგიონერი, ანდრეი ბელიაევიც ჩართო საქმეში და ამ უკანასკნელის სამქულიანით „ბასკო“ მატჩში პირველად დაწინაურდა — 26:25.

ამ ეპიზოდის შემდეგ ასე ხუთიოდ წუთით შეწყდა თამაში, მიზეზი ტრიბუნებიდან გადმოგდებული კვერცხი გახლდათ, რომელიც სავარაუდოდ „ბასკოს“ ხელმძღვანელთა, ანაც სამდივნო მაგიდის მისამართით იყო ნასროლი და, ასევე სავარაუდოდ, „აზოტის“ ვაი-გულშემატკივრის მიერ.

შეხვედრის შინაარსზე ყოველივეს დიდად არ უმოქმედია, თამაში იმავე სცენარით გაგრძელდა, იმ განსხვავებით, რომ „ბასკო“ ახლა უფრო მეტად იჩენდა ფხას. ერთხანს ქულა ქულაში იყო, ტაიმის ბოლოს კი ბათუმელთა უპირატესობა გამოიკვეთა, გუნდის ლიდერობა ირაკლი მაისურაძე გასწია, რომლის ორი სამქულიანის წყალობით და ანდრეი ბელიაევის ასევე შორი მანძილიდან ჩაგდებულით „ბასკომ“ ხუთ ქულამდე გაზარდა სხვაობა — 44:39. ბოლო წამებზე აზოტელმა ბერუაშვილმა მსაჯ ზაზა მაჩალაძეს ტექნიკური შენიშვნა დასტყუა და რუსთაველთა ცენტრს ჯამში ოთხი პერსონალური დაუგროვდა. ბასკოელმა ლევან ქარაბაკმა ეს ბოლომდე ვერ შეიშნოვა, მხოლოდ ერთი ჯარიმა ჩააგდო და შესვენებაზეც ექვსქულიანი სხვაობით გაეყარა მისი გუნდი მეტოქეს.

მიხეილ ბერუაშვილი, ცხადია, გასაჭირისთვის შემოინახეს მწვრთნელებმა და მეორე ნახევარში მის ნაცვლად ზაზა გაბისონიას უხმეს ხუთეულში. ამით „აზოტის“ უკანა ხაზი ერთიორად მობილური გახდა, მაგრამ ფარქვეშ ნელ-ნელა დათმეს პოზიციები რუსთაველებმა, რაც მალე ანგარიშზეც აისახა. ხმელიძის გუნდი არხიპოვს ვეღარ უმკლავდებოდა, რომელიც კვლავ წინა ცენტრის ამპლუაში ირჯებოდა და საშუალო მანძილიდან ჩაგდებულებით აწიოკებდა „აზოტს“. საწყის ხუთწუთეულში „ბასკოს“ სასარგებლოდ რვა ქულასაც უწია სხვაობამ, თუმც გოგობერიშვილის გარღვევები და სამიანები ბათუმელებს დაარხეინების საშუალებას არ აძლევდა.

ერთი რამ აშკარად გამოჩნდა: „ბასკო“ ორგანიზებულად, ტაქტიკურად გამართულად და დახვეწილად მოქმედებდა, „აზოტი“ კი ინდივიდუალური თამაშის წყალობით ცდილობდა ფონს გასვლას. ყოველივე კიდევ უფრო შესამჩნევი მეორე ტაიმის შუა წელში გახდა, დაცვაში კოლექტიურად მოთამაშე „ბასკოს“ წინააღმდეგ „აზოტს“ რამდენიმე შეტევა გაუცუდდა და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რათა თერთმეტი ქულით — 59:70 ჩამორჩენოდა მეტოქეს.

ოთარ ხმელიძემ კუთვნილ წუთშესვენებაზე შეგირდებს შეცდომებზე მიუთითა, ტომარაძემ კი, როგორც შემდეგ გაირკვა, ტემპის დაგდება და ბურთის რაც შეიძლება დიდხანს დაჭერა დაავალა თავის სამწყსოს.

ბათუმელებმა მთლად კარგად ვერ შეასრულეს მწვრთნელის ბრძანება. მათ შეცდომებს გოგობერიშვილი ჩაუსაფრდა და მისი და გაბისონიას ძალისხმევით ძირითადი დროის დამთავრებამდე სამიოდ წუთით ადრე „აზოტს“ მოწინააღმდეგისგან ოთხი ქულაღა აშორებდა.

ამას ახლა ტომარაძის წუთშესვენება მოჰყვა, დავალება აშკარად იგივე მისცა მან ბიჭებს, თუმც წინა ეპიზოდისაგან განსხვავებით ერთიორად გარისხებული და გამკაცრებული იყო მწვრთნელი.

„ბასკომ“ ბურთის ხანგრძლივ გათამაშებას მიჰყო ხელი. დრო აშკარად ბათუმელთა სასარგებლოდ მოქმედებდა და ძვირფასი წამების მოგების მიზნით „აზოტმა“ დაჯარიმებას უხშირა. ხუთი ჯარიმით მოედანი დატოვეს გაბისონიამ და ბერუაშვილმა, ზღვისპირელებიც მეტწილად საჯარიმოს ხაზიდან აგროვებდნენ ქულებს.

სირენამდე ზუსტად ოცდაათი წამით ადრე ლევან წიკლაურმა სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. „ბასკოს“ საპასუხო შეტევისას აზოტელმა არჩილ ჟღენტმაც საბედისწერო, მეხუთე პერსონალური მიიღო და სათადარიგოებში გადაინაცვლა. როგორც აღმოჩნდა, ამან რუსთაველთა წისქვილზე მეტად დაასხა წყალი — ვაკო ბეჟანიშვილმა ორივე საჯარიმო გააფუჭა. ბათუმელთა ბედად, ფარიდან ასხლეტილი ბურთი ქარაბაკმა მოიხელთა და ახლა ლევანზე დაჯარიმდნენ რუსთაველები, თუმც განგებამ მასაც მძიმე ხვედრი არგუნა — ქარაბაკს ორიდან ორივე საჯარიმო გაეცუდებინოს, ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე.

„აზოტს“ კვლავინდებურად სამი ქულა აშორებდა მეტოქისგან და ერთი მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი შეტევის განხორციელების დროღა ჰქონდა. ბაბიაშვილისა და ჯიმშელიშვილის ნასროლებმა მიზანს ვერ უწიეს, მერე კი „ბასკომ“ ბურთი ჩაჭრა და მდგომარეობა განმუხტა.

რვა წამიღა იყო დარჩენილი, ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ დამაგვირგვინებელ სროლას გოგობერიშვილი ითავებდა. ასეც მოხდა, თუმც ბათუმელების ალყაში მოქცეულმა აზოტელმა გმირობა ვერ ჩაიდინა და ეს პატივი, თანაგუნდელ ლევან ჩაჩუას გადაულოცა. სხვა შემთხვევაში იმ პოზიციიდან სროლა ჩაჩუას აზრადაც არ მოუვიდოდა, მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა და, მერწმუნეთ, მართლაც ზღაპარს ჰგავდა ყოველივე...

სამი წამყვანი კალათბურთელის გარეშე დარჩენილ „აზოტს“ ოვერტაიმში სამ წუთზე მეტხანს უქულოდ გაატარებინა „ბასკომ“. ზღვისპირული გუნდი პანიკას არ მოუცავს, გააზრებულად შეუტია და თავად შვიდი ქულა მოინაგრა, მეტი წილი საჯარიმოებით. რუსთაველებს კვლავაც გოგობერიშვილმა დაუბრუნა რწმენა, რომელმაც ჯერ სამიანი ჩააგდო, მერე გარღვევა გააკეთა და დამთავრებამდე ორმოცდაათი წამით ადრე „ბასკოს“ ორი ქულა დაუტოვა მარაგში — 91:89.

ლევან წიკლაურმა ბათუმელთა შეტევა კვლავაც წესის დარღვევით შეაჩერა, თუმც მსაჯებმა იგი არასპორტულ საქციელში ამხილეს და განზრახ ჯარიმა დააფიქსირეს. ამჯერად ორივე ჯარიმა ჩააგდო ქარაბაკმა, ბურთი კვლავაც „ბასკოს“ დარჩა და ვაკო ბეჟანიშვილმა ერთი ქულაც წაამატა თავისიანთა მონაგარს. გოგობერიშვილი მალე კვლავაც სამქულიანს ხდის სხვაობას. დრო იწურება და „აზოტი“ ჯარიმას ჯარიმაზე იღებს, ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს თვით გოგობერიშვილიც შეეწირა (მეხუთე პერსონალური მიიღო), ბეჟანიშვილი ორჯერვე ზუსტია საჯარიმოს ხაზიდან. სასწაული კი მხოლოდ ერთხელ ხდება...

ჩემპიონი ბათუმის „ბასკოა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეიკერსს შინ სურს მოგება?



REUTERS ინდიანაპოლისიდან

ლეიკერსელი კობი ბრაიანტი (მარცხნივ) და რიკ სმიტსი

16 ივნისს შეიძლებოდა, ყველაფერი დამთავრებულიყო, ფინალს და საერთოდ ჩემპიონატს საბოლოო წერტილი დასმოდა, მაგრამ 1999-2000 წლების სეზონის ტრიუმფატორის გამოვლენა სულ ცოტა, სამი დღით გადაიდო. ანგარიშში კატასტროფული, 33-ქულიანი სხვაობით დასრულდა ფინალური სერიის მეხუთე შეხვედრა, რომელიც წინას — ანტიპოდი გამოდგა. ჰგავდა კი ეს მატჩი ფინალურს? ალბათ, მხოლოდ გამარჯვებულთა უზომო სიხარული და ეიფორია თუ მიანიშნებდა მის მნიშვნელობას, თორემ ისე რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ რიგით თამაშზე გეგონებოდათ თავი, სადაც ბობოლა გუნდი ერთ-ერთ აუტსაიდერს აბითურებს. იმ დღეს „ლოს ანჯელეს ლეიკერსს" საოცარი სიმსუბუქით სძლია მეტოქემ... იგი უძლეველი არაა და მისი დამარცხებაც ასე თუ ისე მოულოდნელობა არც გახლავთ, მაგრამ წაგებაცაა და წაგებაც. „ლეიკერსი" დღეს-ხვალ შეიძლება ჩემპიონი გახდეს და ეს ალბათ ასეც იქნება, მაგრამ ღირსეული ჩემპიონი 33 ქულით არ უნდა აგებდეს.

როდესაც ლურჯ ფორმაში გამოწყობილი სტუმრები „კონსეკოს" ფიცარნაგზე სათამაშოდ გამოვიდნენ, გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდნენ. მათ სულ ორი საათი აშორებდათ ნანატრ წუთს. თავიანთი გამარჯვებისა სწამდათ ლოსანჯელესელებს, მაგრამ იმ ორი საათის განმავლობაში, რასაც ისინი მოედანზე აკეთებდნენ, თამაშს პირობითად თუ დავარქმევთ. სტუმართა შემართებამ და სულისკვეთებამ მხოლოდ რამდენიმე წუთს გაძლო. საპნის ბუშტივით გაქრა „ლეიკერსის" ოცნება, ამ „პროვინციული" „ინდიანასთვის" მისივე სახლში მოეთავებინა ხელი და მშობლიურ ლოს ანჯელესის ქუჩებში ტრიუმფით შესულიყო. აქ კაცს ახირებული აზრი აეკვიატება. იქნებ „ლეიკერსს" არც სურდა, ყველაფერი აქ დაესრულებინა და გადაწყვეტილი ჰქონდა, გამარჯვებით შინ, საკუთარი გულშემატკივრებთან ერთად გაეხარა? კაცს ძალაუნებურად „ჩიკაგო" გაგახსენდება, რომელმაც ამ ახლო წარსულში ექვსი ჩემპიონობიდან ხუთ შემთხვევაში სერია 4:2 მოიგო. მაშინ ხმები დადიოდა, „ხარებს" მეექვსე თამაში შინ უწევთ და ყოველთვის ექვს თამაშში იმიტომ იგებენო. მაშინდელ „ჩიკაგოსა" და დღევანდელ „ლეიკერსს" შორის შეიძლება პარალელის გავლება, მათ მწვრთნელი ფილ ჯექსონი აკავშირებთ. თუმცა ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ ერთი კაცის ახირებული ეჭვია და მას საბაბს 33-ქულიანი სხვაობით წაგებული თამაში აძლევს. ასე „ლეიკერსი" მთელი სეზონის განმავლობაში არ დამარცხებულა არც პლეი ოფში და არც რეგულარულში.

სტუმართა შერცხვენის მთავარი მიზეზი კი მაინც „ინდიანას" ფანტასტიური თამაში უფროა. მასპინძლები იმ დღეს შეუდარებელნი იყვნენ. მათ ჩააგდეს ყველა ჩასაგდები ბურთი და, შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშეს შეტევაში. ისე ბომბავდნენ „მარდები" მეტოქის კალათს, თითქოს ეზოში რომელიღაც ქუჩის გუნდს ეთამაშებოდნენ. მათ „ლეიკერსს" კომბინაციურ თამაშშიც აჯობეს, დაცვაშიც, ფარზეც და საერთოდ პირწმინდად დაჯაბნეს და დაჩაგრეს, თავს მაინც მივცემთ უფლებას და ვიტყვით, მომავალი ჩემპიონი.

განსაკუთრებით ალსანიშნავია ის, რომ მასპინძლები ფარზეც გაბატონდნენ და აქაც აჯობეს „ლეიკერსს". მას კი სწორედ აქ ჰყავს მთავარი დამრტყმელი ძალა. შაკილ ონილს რამდენიმე დღეში ალბათ ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულს მიანიჭებენ. იგი იმ დღესაც სტუმართაგან ყველაზე შედეგიანი იყო და ბოლომდეც მხოლოდ მან იბრძოლა. მან შვიდი ბურთი მოხსნა მეტოქის ფარზე, საკუთარზე კი მხოლოდ ოთხი, თუმცა აქ მოსახსნელიც არაფერი იყო. „ინდიანა" მატჩის დასაწყისში ყველა ნასროლ ბურთს აგდებდა. სტუმრები კი ამაოდ ეჯახებოდნენ მასპინძელთა დაცვით ზღუდეებს. „მარდებმა" მხოლოდ შაკილ ონილს ვერ დაუპირისპირეს ვერაფერი და მან ამჯერადაც 30-ზე მეტი ქულა გააზერხა. დანარჩენ სტუმართაგან კი უკლებლივ ყველა ინდიანელთა კლანჭებში მოექცა. მასპინძელთა დაცვამ გადაყლაპა წინა მატჩის გმირი კობი ბრაიანტი. რვა ქულა, აი, სულ ესაა ამ ნიჭმოჭარბებული 21 წლის ჭაბუკის საამმატჩო მონაგარი. ამჯერად იგი ვერაფერში გამოადგა თავის გუნდს. თამაშის დაწყებამდე ფილ ჯექსონი ამბობდა, კობი შესაძლოა უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე ჯორდანი მის ასაკშიო. ჯექსონს ჯორდანი გამოუზრდია და ამ კაცს ვერაფრით გააკვირვებ, მით უმეტეს, ვერც კობი ბრაიანტის საკალათბურთო ნიჭით. იგი ყოველთვის თვლიდა, რომ კობი ჯერაც ვუნდერკინდია და მან კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს, რომ კარგი კალათბურთელი დადგეს. ასეთი კაცის აზრს კი ანგარიში უნდა გაეწიოს.

ინდიანელებმა მძლავრი მეტოქის განადგურებას პირველივე წუთებიდან მოჰყვეს ხელი. შეხვედრა ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, რომ ჯალენ როუზმა და რეჯი მილერმა სამქულიანების სეტყვა დააყარეს მეტოქეს. პირველივე მეოთხედში ამ ორმა ერთად ექვსი სამქულიანი ჩააგდო, სხვებიც თითებზე ჩამოსათვლელად თუ ცდებოდნენ და პირველ თორმეტწუთეულში „ლეიკერსმა" საკუთარ კალათში 39 (!) ქულა მიიღო. ამ პლეი ოფში „ინდიანას" ამდენი ქულა ერთ მეოთხედში არ მოუგროვებია. „ლეიკერსმა" საქმის გამოსწორება ჯერ კობი ბრაიანტის საშუალებით სცადა, მაგრამ მას მეტოქეების — მილერისა და როუზის სიზუსტის ნახევარი მაინც რომ გამოემჟღავნებინა, „ლეიკერსი" ასე არ შერცხვებოდა. შემდეგ სტუმრები სამქულიანებს მიეძალნენ, მაგრამ ვერც შოუ, ჰორი და სხვა სნაიპერები აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე. პირველი მეოთხედის 28:39 წაგების შემდეგ მეორეში „ლეიკერსი" კიდევ უფრო ჩამორჩა მასპინძლებს და ტაიმი 19 ქულის სხვაობით — 64:45 დათმო.

ამაოდ ცოდვილობდა შაკილ ონილი, ბურთებს ხსნიდა და ქულებს აგროვებდა, მაგრამ მისმა გარჯამ ალბათ მხოლოდ ის მოიტანა, რომ „ლეიკერსი" „მხოლოდ" 33 ქულის სხვაობით დამარცხდა. მასპინძელთა მწვრთნელმა ლარი ბერდმა ბოლო მეოთხედში დაასვენა ვალმოხდილი ძირითადები და მოედანზე სათადარიგოებს უხმო. ასევე მოიქცა მისი ლეიკერსელი კოლეგა ჯექსონიც, მაგრამ ამ მხრივაც დაიჩაგრა სტუმართა ისედაც საკმარისად დაჩაგრული გუნდი. ბოლო მეოთხედი 34:20 დამთავრდა, ცხადია, „ინდიანას" სასარგებლოდ. ალსანიშნავია, რომ სათადარიგოებმა — კრის მულინმა და ჟან ტაბაკმა (ორივე „ინდიანა") ორმა ლეიკერსელმა — დევინ ჯორჯმა და ჯონ სეილიმ ამ სერიაში პირველი ქულები მიითვალეს. „ლეიკერსს" სამი ქულა ჩაუგდო ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ, 19 წლის ჯონათან ბენდერმა.

„ჩვენ მოვიგეთ და აქ გამართლება და ყველაფრის ბედისთვის დაბრალება არაფერ შუაშია. უბრალოდ, დასაკარგი არაფერი გვაქვს და ასეთ დროს ყოველთვის უკეთესად ვთამაშობთ. ასევე ვითამაშებთ მომდევნო შეხვედრაში და მერეც. ჯერ საბოლოოდ არ დავმარცხებულვართ და არავის ვურჩევდი, ჩვენს წაგებაზე ფული დაედოს" — ოპტიმისტურადაა განწყობილი ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე ჯალენ როუზი და მომავალ შეხვედრასაც იმედის თვალით უყურებს.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია

ფინალი (ოთხ მოგებამდე)

**ლეიკერსი — ინდიანა 3:2**

**ინდიანა 120:87 ლეიკერსი**

V მატჩი. 16 ივნისი. ინდიანაპოლისი. კონსეკო. 18 345 მაყ.

მსაჯები: ბენეტ სალვატორე, ჯეკ ნაიესი, დენი კროუფორდი

| ინდიანა | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯექსონი | 30 | 4/7 | 0/2 | 2/2 | 6 | 7 | 0 | 0 | 0 | 10 |
| მილერი | 39 | 3/6 | 4/6 | 7/7 | 4 | 6 | 1 | 1 | 1 | 25 |
| როუზი | 44 | 8/13 | 4/5 | 4/4 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 32 |
| დევისი | 23 | 4/7 | 0/0 | 0/0 | 8 | 1 | 0 | 0 | 3 | 8 |
| სმიტსი | 14 | 5/7 | 0/0 | 2/2 | 2 | 0 | 0 | 0 | 5 | 12 |
| კროშერი | 25 | 1/3 | 0/0 | 11/12 | 9 | 3 | 1 | 1 | 3 | 13 |
| პერკინსი | 29 | 0/1 | 2/6 | 0/0 | 7 | 1 | 0 | 0 | 3 | 6 |
| ბესტი | 10 | 2/2 | 0/0 | 1/2 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 5 |
| მაკკეი | 12 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 3 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| მულინი | 5 | 1/1 | 0/1 | 2/3 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 4 |
| ტაბაკი | 5 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 |
| ბენდერი | 4 | 0/0 | 0/0 | 3/4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| სულ | 240 | 29/48 | 10/20 | 32/36 | 46 | 26 | 7 | 4 | 24 | 120 |

| ლეიკერსი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰარპერი | 25 | 1/4 | 2/4 | 0/0 | 5 | 5 | 1 | 0 | 2 | 8 |
| ბრაიანტი | 37 | 4/19 | 0/1 | 0/0 | 5 | 3 | 2 | 0 | 5 | 8 |
| რაისი | 30 | 2/6 | 1/2 | 4/7 | 0 | 2 | 1 | 0 | 2 | 11 |
| გრინი | 16 | 3/4 | 0/0 | 1/1 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 7 |
| ონილი | 42 | 17/27 | 0/0 | 1/6 | 11 | 3 | 2 | 2 | 2 | 35 |
| ფოქსი | 15 | 0/0 | 0/1 | 1/1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 1 |
| ჰორი | 29 | 2/2 | 1/6 | 0/0 | 4 | 2 | 0 | 0 | 5 | 7 |
| ფიშერი | 22 | 0/3 | 0/3 | 2/2 | 2 | 1 | 2 | 0 | 3 | 2 |
| ნაითი | 5 | 1/1 | 0/0 | 1/2 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 3 |
| შოუ | 12 | 0/3 | 0/1 | 0/0 | 1 | 2 | 0 | 0 | 4 | 0 |
| სეილი | 4 | 2/2 | 0/0 | 0/0 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 |
| ჯორჯი | 3 | 0/0 | 0/1 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 |
| სულ | 240 | 32/71 | 4/19 | 11/21 | 34 | 18 | 9 | 2 | 33 | 87 |



REUTERS ინდიანაპოლისიდან

ლეიკერსელმა შაკილ ონილმა ჩატენა

# შუმის სამადლობელი მაკლარენის იუბილეზე

საუკუნის ბოლო პირველობამ ჯერ მხოლოდ შუაწელს მიაღწია, მაგრამ გუშინწინდელი ეტაპის შემდეგ ჩემპიონობის საკითხი უკვე გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს. იმ ურთულეს პირობებში, როცა ტრადიციულმა კანადურმა თავსხმამ მრბოლ-მანქანას უმძიმესი გამოცდა მოუწყო, სისხლისფერმა ბედაურებმა საუცხოოდ დაალწიეს თავი განსაცდელს და, ალბათ, ყველაზე ურწმუნო თომებსაც კი ყურები ჩამოაყრევინეს. მონრეალის საკმაოდ ჩახლართულ, თუმცა შედარებით უხიფათო ტრასაზე უფრო პილოტისა და ბოლიდის დონეს აქვს მნიშვნელობა, ვიდრე ძრავაში ცხენის ძალის რაოდენობას. სწორი მონაკვეთების სიმოკლის გამო იქ მაქსიმალური სიჩქარე საათში 300 კმ-ს ძლივს აღწევს. ასე რომ, ლიდერებთან ჯაგლაგების თითქმის 50-ძალიანი ჩამორჩენა ისეთი კატასტროფული არ ჩანს, როგორც სხვა, ბევრად სწრაფ ტრასებზე.

თითქმის ერთწლიანი ნავსი მეცამეტე ეტაპზე გატყდა და პოულის მომგებმა, როგორც იქნა, რბოლაში პირველობაც იზეიმა. საკვალიფიკაციო ბრძოლა კი საკმაოდ მწვავედ და დაძაბულად მიმდინარეობდა: თითქმის ბოლომდე მიხაელ შუმახერი ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ ორიოდე წუთილა რჩებოდა, როცა დევიდ კულჰარდმა მის შედეგს წამის ცხრამეათასედი ჩამოაკლო. შუმის ერთი ცდა კიდევ დარჩენოდა და სწორედ დიდოსტატურად გავლილი ამ ბოლო წრის წყალობით მაინც მოახერხა პოულის მოგება, წლეულს მესამედ.

გერმანელმა მრბოლმა სტარტიც ჩინებულად აიღო და ლიდერობა არავის დაანება. კულჰარდი თავიდანვე კვალში კი ჩაუჯდა, მაგრამ გასწრების შანსი ერთხელაც არ მისცემია. ამჯერადაც იყოჩაღა ჟაკ ვილნევმა, უსწრაფესად მოსწყდა ადგილს და ერთბაშად სამ მეტოქეს აუარა გვერდი. კვლავ შეუყვნდა რუბენს ბარიკელო, რომელსაც კანადელის გარდა კინაღამ მიკა ჰაკინენმაც გაასწრო. მამამისის სახელობის ავტოდრომზე, საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ვილნევი, ცხადია, განსაკუთრებით ცდილობდა თავის გამოჩენას, მაგრამ ჯერ სველ გზაზე მოსრიალების გამო ბოქსებში დიდი დრო (14 წამი) დაკარგა, ფინიშამდე ოციოდე კილომეტრით ადრე კი ტრავმამოშუშებულ რალფ შუმახერთან შეჯახების მერე გამოეთიშა ბრძოლას.

ათი წრის შემდეგ ექვსეული ორ ჯგუფად დაიყო: საგრძნობლად დაწინაურებულმა შუმახერმა და კულჰარდმა ვილნევი, ბარიკელო, ჰაკინენი და დელა როსა 15 წამით ჩამოიტოვეს უკან. მაგრამ რბოლისა და ჩემპიონატის ლიდერის კუდში დევნა შოტლანდიელს დიდხანს არ დასცალდა — ბოქსებში ათწამიანი ჯარიმის მოსახდელად გამოიძახეს. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ გასახურებულ წრეზე დაძვრისას მის ჩამქრალძრავიან მანქანას ჯერ კიდევ დასტრიალებდნენ მექანიკოსები. ათწამიანი „პენალტი“ ბოქსებამდე მისვლა-მოსვლის ჩათვლით, როგორც წესი, 25 წამამდე იწელება, რამაც კულჰარდი უცებ მეათე ადგილზე გადაისროლა.

ბარიკელომ ერთი-ორჯერ ჰაკინენის შემოტევა წარმატებით მოიგერია, მერე კი რამდენჯერმე ვილნევზე მიიტანა იერიში და ბოლოს და ბოლოს, 25-ე წრეზე გაასწრო კიდეც. რაკი ზურგს უკან თანაგუნდელი დაიგულა, მიხაელმა, ცხადია, უშიშრად იგრძნო თავი და წინა ეტაპის მსგავსად რაიმე ხიფათს რომ არ გადაჰყროდა, ზედმეტ რისკს მოერიდა — პროფილაქტიკის მიზნით დაგეგმილზე ადრე, 33-ე წრეზე შეუხვია ბოქსებში (9,5). მიკა და რუბინიო კარგა ხანს იცდიდნენ და მხოლოდ ათი წრის შემდეგ, ერთდროულად გამოცხადდნენ პიტ-სტოპზე და თანაბარი დროით ცხრა-ცხრა წამით შეყოვნდნენ.

შუა რბოლისას გაწვიმდა და სწორედ მაშინ აირია მონასტერი — ავარიის შიშით ყველა ლამის ერთად გადავიდა საწვიმარ საბურავებზე. „ფერარებმაც“ მიყოლებით მოინდომეს ეს. შუმახერს მექანიკოსები უსწრაფესად — 6,7 წამში მოემსახურნენ, მის კვალში მიმყოლ თანაგუნდელს კი, რადგან ასე უცბად არ ელოდნენ, საბურავების პოვნა დაუგვიანეს და 21 წამი ოჩოფეხებზე შემდგარი აყურყუტეს, თუმცა ვერც ამხელა შეფერხებამ ავნო რაიმე ბრაზილიელის მეორე პოზიციას.

კოკისპირული წვიმის გამო არც გზა ჩანდა და არც წინმავალი მანქანა, თან ისე ჩამობნელდა, ერთი პირობა რბოლის შეწყვეტის საშიშროებაც კი შეიქმნა. მოლიპულ გზაზე მთავარი იყო, თავი გადაერჩინათ, რაც ბევრმა ვერ მოახერხა — პრაქტიკულად ყველას მოუსრიალდა ბოლიდი, მიხაელ შუმახერსაც კი, როცა ერთ-ერთ მოსახვევში დამუხრუჭებისას წინა ბორბლები გაეჭედა, მაგრამ საკმაოდ ფართო მოხრეშილ ზონაში შეძლო საჭის დამორჩილება და ტრასაზე უვნებლად დაბრუნება.

ამგვარ კრიტიკულ სიტუაციაში, ცხადია, ველარავინ რისკავდა და წრის გავლის დროც 15 წამით გაიზარდა. ფინიშამდე ათიოდე წრით ადრე ლიდერთან ჰაკინენის ისედაც უზარმაზარი ჩამორჩენა კიდევ უფრო კატასტროფული — 53 წამი გახდა. ჩემპიონმა ერთი-ორჯერ კიდევ გაიბრძოლა, რათა ჯანკარლო ფიზიკელასთვის პოდიუმი წაერთმია, მაგრამ ვერაფერს გახდა და ბოლომდე მეოთხე ადგილის შენარჩუნებასლა ცდილობდა. შუმიმაც, რაკი გამსწრები არავინ ჩანდა, მკვეთრად დააგდო სიჩქარე.

ეს 31 წლის გერმანელი პილოტის მეხუთე გამარჯვებაა მიმდინარე სეზონში, მე-40 კარიერაში და 130-ე „ფერარისთვის“. პოდიუმზე ბარიკელოც ვერ მალავდა სიხარულს — საერთო ჩათვლაში ჰაკინენსა და კულჰარდს საგრძნობლად წამოეწია, თან სჰატიო, ასქულიანთა კლუბშიც შედგა ფეხი. 28 წლის რუბენსი ფორმულის ისტორიაში 51-ე მრბოლია, ვისაც ამ ზღვარისთვის მიუღწევია. მონრეალში ზედიზედ მეოთხე პოდიუმით ფიზიკელაც ალტაცებული ჩანდა, უკეთესი მიღწევა ხომ მხოლოდ მიხაელ შუმახერს აქვს.

„მაკლარენებმა“ კი თავისი ზესაიუბილეო, მე-500 რბოლა უხეიროდ წარმართეს — მხოლოდ სამი ქულა წლეულს თითქმის უსუსტესი შედეგია. რაც მთავარია, „ვერცხლისფერი ისრები“ ისე ყოჩაღად ვერ გამოიყურება, როგორც ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს ეკადრება.

გამარჯვებულმა პრესკონფერენციაზე „ფერარის“ მთელ შემადგენლობას მიულოცა სარბოლო ... უზუსტესი მუშაობა და განსაკუთრებით შეაქო ბარიკელო, რომელიც ბოლომდე აქტიურად ეხმარებოდა: „რუბინიო კარგი ადამიანია და იმედია, მალე აუცილებლად გადავუხდი მადლობას.“

**ირაკლი ნიკოლაძე**



მიხაელ შუმახერს მონრეალის თავსხმამაც ვერაფერი დააკლო

## რბოლის შედეგები

**კანადის დიდი პრიზი**

18 ივნისი. მონრეალი

დისტანცია — 69 წრე — 305,049— კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:41.12,313 (180,849 კმ/სთ) 10 ქულა
2. ბარიკელო (ფერარი) ჩამორჩა 0.174 წამით 6 ქულა
3. ფიზიკელა (ბენეტონი) 15.365 4 ქულა
4. ჰაკინენი (მაკლარენი) 18.561 3 ქულა
5. ვერსტაპენი (ეროუსი) 52.208 2 ქულა
6. ტრული (ჯორდანი) 1,01.687 1 ქულა
7. კულჰარდი (მაკლარენი) 1,02.216
8. ზონტა (BAR) 1,10.455
9. ვურცი (ბენეტონი) 1,19.899
10. დინიცი (ზაუბერი) 1,29.544
11. ბატონი (უილიამსი) 1 წრით
12. მაცაკანე (მინარდი) 1 წრით
13. ირვინი (იაგუარი) 3 წრით
14. რ. შუმახერი (უილიამსი) 4 წრით
15. ვილნევი (BAR) 4 წრით
16. ჟენე (მინარდი) 5 წრით

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი 1.19,049 (201.338 კმ/სთ)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| დე ლა როსა (ეროუსი) | გაიარა 48 წრე |
| სალო (ზაუბერი) | 42 |
| ალეზი (პროსტი) | 40 |
| ჰაიდფელდი (პროსტი) | 35 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 33 |
| ჰერბერტი (იაგუარი) | 14 |

## სტარტზე განლაგება

21 მაცაკანე მინარდი 1.22,091
15 ჰაიდფელდი პროსტი 1.21,680
20 ჟენე მინარდი 1.21,058
16 დინიცი ზაუბერი 1.20,692
10 ბატონი უილიამსი 1.20,534
14 ალეზი პროსტი 1.20,512
7 ირვინი იაგუარი 1.20,500
17 სალო ზაუბერი 1.20,445
12 ვურცი ბენეტონი 1.20,113
18 ვერსტაპენი ეროუსი 1.20,107
9 რ. შუმახერი უილიამსი 1.20,073
8 ჰერბერტი იაგუარი 1.19,954
11 ფიზიკელა ბენეტონი 1.19,932
19 დე ლა როსა ეროუსი 1.19,912
23 ზონტა BAR 1.19,742
6 ტრული ჯორდანი 1.19,581
22 ვილნევი BAR 1.19,544
5 ფრენცენი ჯორდანი 1.19,483
1 ჰაკინენი მაკლარენი 1.18,985
4 ბარიკელო ფერარი 1.18,801
2 კულჰარდი მაკლარენი 1.18,537
3 მ. შუმახერი ფერარი 1.18,439

## FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | 10 | – | 10 | | | | | | | | | | 56 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | – | – | 4 | 10 | 6 | 4 | 10 | – | | | | | | | | | | 34 |
| 3 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | 6 | 10 | 6 | 1 | 3 | | | | | | | | | | 32 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | – | 4 | 3 | 6 | 6 | | | | | | | | | | 28 |
| 5 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | 4 | | | | | | | | | | 18 |
| 6 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | 3 | 3 | – | – | – | | | | | | | | | | 12 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | – | – | – | – | – | | | | | | | | | | 5 |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | – | 1 | – | – | – | | | | | | | | | | 5 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | 1 | – | – | – | 1 | | | | | | | | | | 5 |
| 10 ირვინი იაგუარი, ბრიტანეთი | – | – | – | – | – | – | 3 | – | | | | | | | | | | 3 |

ბატონი (უილიამსი, ბრიტანეთი); სალო (ზაუბერი, ფინეთი) — 3; ვერსტაპენი (ეროუსი, ჰოლანდია) — 2; ზონტა (BAR, ბრაზილია); დე ლა როსა (ეროუსი, ესპანეთი) — 1 ქულა

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | 4 | 6 | 13 | 6 | 16 | | | | | | | | | | 84 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | 16 | 16 | 10 | 11 | 3 | | | | | | | | | | 66 |
| 3 ბენეტონი | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | 4 | | | | | | | | | | 18 |
| 4 უილიამსი | 4 | 3 | – | 5 | 3 | – | – | – | | | | | | | | | | 15 |
| 5 ჯორდანი | – | 7 | – | 1 | 1 | – | – | 1 | | | | | | | | | | 10 |

BAR — 6; ზაუბერი; იაგუარი; ეროუსი — 3 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომავალი უკვე დადგა



ლეიტონ ჰიუიტი

ლონდონი. ინგლისი. „სტელა არტუას პირველობა“. ბალახი. საპრიზო 800 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **პიტ სამპრასი** (2, აშშ) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:4, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — სედრიკ პიოლინი (4, საფრანგეთი) 6:4, 6:4; **ჯანლუკა პოცი** (იტალია) — მარატ საფინი (7, რუსეთი) 7:5, 7:6 (7:4); **დავიდე სანგვინეტი** (იტალია) — ანდრეი პაველი (12, რუმინეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:3.
**ნახევარფინალი:** **სამპრასი** — სანგვინეტი 7:5, 6:3; **ჰიუიტი** — პოცი 6:1, 6:4.
**ფინალი:** **ჰიუიტი** — სამპრასი 6:4, 6:4.

„აცალეთ ერთი-ორი წელი და ის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. იგი ჩოგბურთის მომავალია თავისი სისწრაფის, ჯიგრისა და გონების გამო. მაგრამ ძალიან მესიამოვნება თუ ხვალ კორტზე ყველას ვაგრძნობინებ, ვინ არის ამჟამად ბატონ-პატრონი“ — ეს სიტყვები უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონმა პიტ სამპრასმა ფრიად ქებულ ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტთან ფინალში შეხვედრის წინა დღეს წარმოთქვა.

მეტოქის თვისებათა შეფასებაში „პისტოლ პიტი“ სულაც არ შემცდარა, მაგრამ საკითხავია, სჭირდება კი კიდევ ერთი-ორი წელი საკუთარი ძალის დასამტკიცებლად 19 წლის კიკინიან ჰიუიტს, რომელმაც წლეულს ყველაზე მეტი, 4 ტიტული მოიპოვა?

თუ ფინალური და საერთოდ, გასული კვირის შედეგებით ვიმსჯელებთ, სულაც არა. ახალგაზრდა ავსტრალიელმა „ქუინსის“ ტურნირი ისე მოიგო, ერთი სეტიც არავისთვის დაუთმია, და ეს ამ დროს, როცა გზად ბალახზე თამაშის დიდოსტატებს, გორან ივანიშევიჩს, სედრიკ პიოლინსა (ორივე უიმბლდონის ყოფილი ფინალისტია) და თავად სამპრასს შეხვდა.

შარშან პისტოლ პიტმა და ჰიუიტმა ამავე ტურნირზე ნახევარფინალში გადააჭვდეს ჩოგნები. მაშინ ამერიკელმა დიდი გაჭირვებით, გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკზე იმარჯვა.

სამპრასმა წინასწარ იცოდა, რომ იოლი გასეირნება არც ამჯერად არ ექნებოდა, მაგრამ მეტოქის ასეთ თამაშს, ალბათ, მაინც არ ელოდა. მატჩის ნერვიულად დაწყებისა და პირველი ორი გეიმის წაგების შემდეგ ჰიუიტმა ლამის წარმოუდგენელი რამ შეძლო — ყველა დროის საუკეთესო მოწოდების პატრონს ყველაზე სწრაფ საფარზე მოწოდება ზედიზედ ორჯერ წაართვა.

აქედან მოყოლებული, მატჩი გაფუჭებული ვიდეოჩანაწერს დაემსგავსა. ისე ჩანდა, თითქოს სამპრასი შენელებულ კადრში მოძრაობდა, ავსტრალიელის ყველა მოქმედება კი ორჯერ დაეჩქარებინათ.

ჰიუიტი შესანიშნავად ირჯებოდა მიღებაზე, ბადესთან გასულ მეტოქეს ყველა ჯიშისა და გემოვნების შემოვლებულებით აბრიყვებდა და საბოლოოდ ეისების რაოდენობითაც კი დაჯაბნა (9:5).

„უიმბლდონის წინ ეს გამარჯვება მეტად ოპტიმისტურად განმაწყობს. არა მგონია, ასე კარგად როდესმე მეთამაშოს. დღეს ბურთი ფეხბურთის ბურთივით დიდი და ნელი მეჩვენებოდა. კორტზე გასვლისთანავე ვიცოდი, რომ დღეს ყველაფერი კარგად წარიმართებოდა — აღნიშნა ჰიუიტმა, რომელსაც აქამდე სამპრასთან სამივე პირადი შეხვედრა წაეგო — იმ მოთამაშის დამარცხება, რომელიც წლების მანძილზე ჩემი კერპი იყო და დიდ პატივსაც ვცემ, თანაც ფინალში, ნამდვილი ოცნების ასრულებაა“.

სამპრასმა მეტოქეს ტკბილი სიტყვები არ დაამადლა, თუმცა დიდი სლემის ტიტულის წინასწარმეტყველებისგან თავი შეიკავა: „უიმბლდონზე ის აშკარად სახიფათო მეტოქე და გამარჯვების პრეტენდენტი იქნება. თუ ასევე ითამაშებს, წარმატებას აუცილებლად მიაღწევს. თუმც უიმბლდონის მოსაგებად მას შეიძლება კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდეს“.

სამაგიეროდ, „ოლ ინგლენდ კლაბში“ საკუთარ შანსებს პიტი საკმაოდ აფასებს: „მთავარი ის არის, რომ რამდენიმე მატჩი ჩავატარე და აუცილებელი სათამაშო პრაქტიკა მივიღე. ცოტა იმედგაცრუებული ვარ, რომ ფინალში ვერ გავიმარჯვე, მაგრამ უიმბლდონისთვის ყველა წუნს აღმოვფხვრი.“

ჰალე. გერმანია. „გარი ვებერის პირველობა“. ბალახი. საპრიზო 1 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — ნიკოლა ესკუდე (7, საფრანგეთი) 7:6 (11:9), 6:3; **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ნიკოლას კიფერი (2, გერმანია) 7:5, 5:7, 7:6 (7:3); **დევიდ პრინოშილი** (გერმანია) — ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) 6:3, 7:6 (7:3); **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:5, 6:2.
**ნახევარფინალი:** **პრინოშილი** — კაფელნიკოვი 6:4, 7:6 (7:4); **კრაიჩეკი** — ჩანგი 6:2, 6:1.
**ფინალი:** **პრინოშილი** — კრაიჩეკი 6:3, 6:2.

როდესაც ტურნირის ნახევარფინალში ევგენი კაფელნიკოვი, რიჩარდ კრაიჩეკი და მაიკლ ჩანგი ასპარეზობენ, გამარჯვებული, წესით, მათ შორის უნდა ეძებო და კლასიფიკაციის პირველ ასეულს მიღმა მყოფ მეოთხე ჩოგბურთელს დიდი ყურადღებაც არ უნდა მიაქციო.

მაგრამ ჩოგბურთში ლოგიკურად აზროვნებით შორს ვერ წახვალ. ჰალეს პრესტიჟული, მილიონიანი პირველობის მთავარ ჯილდოსა და გამარჯვებულისთვის გათვალისწინებულ 137 ათას დოლარს საბოლოოდ სწორედ მეოთხე, უსახო პირი დაეპატრონა, რომელსაც სახელად დევიდ პრინოშილი ჰქვია და ძირითადად წყვილებში თამაშის ოსტატად იცნობენ.

სხვადასხვა ტრავმისგან შეჭირვებულ გერმანელს ჰალეს ტურნირამდე მთელ სეზონში ერთადერთი მატჩი ჰქონდა მოგებული და ძირითად ბადეში მოსახვედრად „უიალდ ქარდი“ დასჭირდა.

ორგანიზატორთა კეთილგანწყობისა და მაყურებელთა მხარდაჭერით კი პრინოშილმა შესანიშნავად ისარგებლა და მეოთხედფინალიდან მოყოლებული სამ ერთიმეორეზე ძლიერ მეტოქეს აჯობა.

„ის თავის შესაძლებლობებზე გაცილებით უკეთ თამაშობდა, თორემ სულ იოლად მოვუგებდი“ — აღნიშნა ევგენი კაფელნიკოვმა გერმანელთან დამარცხების შემდეგ.

„ყოველ მიღებას ზედ ფეხის წვერებთან მიბრუნებდა, საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაც გამუდმებით მიჭირდა. დღეს მან აშკარად დამჯაბნა“ — ეს უკვე ეისების მანქანა რიჩარდ კრაიჩეკია.

თავისი წარმატება თავად პრინოშილმა მუდმივი რისკითა და იღბლიანობით ახსნა: „თავადაც მიკვირს, ისე ვითამაშე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ამ ტურნირის მოგებას შევძლებდი, მეცხრე ცაზე ვარ.“

კვირასვე პრინოშილს გაცილებით პროზაული მოგზაურობა ელოდა. ის ლონდონში გადაფრინდა უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად.

ბირმინგემი. ინგლისი. DFS კლასიკი. ბალახი. საპრიზო 170 ათასი 4

**ნახევარფინალი:** **ლაიზა რეიმონდი** (5, აშშ) — ნატალი ტოზია (1, საფრანგეთი) 6:4, 6:2; **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 7:6 (7:0), 6:1.
**ფინალი:** **რეიმონდი** — ტანასუგარნი 6:2, 6:7 (7:9), 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



დევიდ პრინოშილი



ელენ მაკარტურის „კინგფიშერი“

# ელენ მაკარტურის ფათერაკები

ყველაზე ახალგაზრდასა და ცალკორპუსიან იახტებში ყველაზე წინ მიმავალ ბრიტანელ, ელენ მაკარტურს გასაჭირი არ აკლია, ის კი ზრდის უპირატესობას, ფრანგი როლან ჟურდენი აგერ უკვე 58 მილით ჩამოუტოვებია და ფინიშისკენ გამალებული მიიწევს. ამის მთავარი მიზეზი სამხრეთისკენ გახვევა და იქაური ქარების კარგად გამოყენებაა, რასაც 23 წლის მაკარტურის ნათელი გონება, ეტყობა, სხვა ფავორიტებზე ადრე მიხვდა. აღნიშნული კოზირი იმდენად მნიშვნელოვანი გამოდგა, სხვა მინუსები უკლებლივ გადაფარა, რომლებიც მრავლად იყო: მაკარტურმა ჯერ თითი მოიტეხა, მერე საიალქნე ალკაზმულობის რომელიღაც ნაწილმა თავზე კანი გაუჭრა, შემდეგ სამიოდე საათი უცაბედად ჩამოფლაშული სპინაკერის რეაბილიტაციისთვის იბრძოდა და ბოლოს, როცა სამი დღის უძილომ ღამით მცირედ წათვლიმა, მისი იახტა ვეშაპს დაეჯახა. იგი პატარა იყო, ხუთიოდე მეტრი სიგრძისა და, ცხადია, მკვდარი, თორემ ცოცხალი როდის იყო მცურავ ობიექტს იკარებდა. მაკარტურს გული აუჩუყდა, თუმცა ამის დრო არ იყო, იახტა შემოწმებას ითხოვდა. „კინგ ფიშერს“ სერიოზული ზიანი არ აღმოაჩნდა და მაკარტურმა ნიუპორტისკენ ძლევამოსილი სვლა განაგრძო, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ ოთხმა ტრიმარანმა უწია.

საბოლოო გამარჯვებას არაფერი უკლია. როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, ბრიტანელს გადალახული ექნება ფინიშის ხაზი, ყვავილებსაც მიართმევდნენ, შამპანურით იწუწავებდა და ალბათ უკვე ღრმად სძინავს. ცუდი ისაა, ჯერჯერობით ამ ამბავმა ჩვენამდე რომ ვერ მოაღწია, თუმცა მაკარტული დარჩენილ 24 მილს, თუ ქვეყანა არ დაიქცა, უეჭველად გაივლიდა და ამიტომ, როგორც გამარჯვებულს, ერთი-ორი სიტყვა ამთავითვე ვუძღვნათ.

მაკარტული საიალქანე სპორტის მანიაკია. ბავშვობაში სადილს არ ჭამდა, რათა ფული დაეზოგა და სამი წლის ნაგროვები თანხით პაწია რვაფუტიანი ნავი ეყიდა. პარალელურად, ჯეიმს კუკივით ისრუტავდა ყოველგვარ ამბავს ზღვაოსნობაზე, წინაპარებიც სულ მეზღვაურები ჰყოლია და მოკლედ, მისგან აბა, სხვა რა უნდა გამოსულიყო... 18 წლის მაკარტურმა შეჯიბრებებში მოკრძალებული ნავებით გამოსვლა და სპონსორთა დაუცხრომელი ძიება იწყო. მეორე საქმე თავიდან ცუდად მიუდიოდა: პოტენციური დამფინანსებლებს 2 500 წერილი გაუგზავნა და ოდენ ორი პასუხი მიიღო. მხოლოდ სამი წლის წინ, უვარგისი იახტით ატლანტიკის გადაცურვამ მოუტანა მაკარტურს ის იმიჯი, სპონსორთა მოსათაფლად რომ იყო აუცილებელი. 20 წლის გოგონამ ფირმა „კინგ ფიშერისგან“ დიდებული იახტა მიიღო. ახლა კი შედეგიც მოვიდა: მაკარტურისხელა უპირატესობით „იიერეფ უან ნიუ მენ სტარი“ ათი წელია, არავის მოუგია. დანარჩენი აფროსნები მხოლოდ მეორეობისთვის თუ იბრძოლებენ. ბრიტანელი ლედის ამაო დევნით გაწამებული ფრანგი როლან ჟურდენი ლიდერის უახლოეს მდევრად ჯერაც რჩება, ოღონდ კუდი ეწვის, ბრიტანელი მაიკ გოლდინგის ოთხ მილზე მიახლოების გამო. მერეა ფრანგი ტიერი დიუბუა და ხუთეულს, აქამდე მესამე, კატარინა შაბო ასრულებს.

**დავით გულუა**

### ერთკორპუსიანი პირველი კლასის იახტები

1. ელენ მაკარტური (დიდი ბრიტანეთი, „კინგფიშერი“) — 24 საზღვაო მილი ფინიშამდე; 2. როლან ჟურდენი (საფრანგეთი, „სილი“) — 123,6; 3. მაიკ გოლდინგი (დიდი ბრიტანეთი, „თიიმ გრუპ 4“) — 127,9; 4. ტიერი დიუბუა (საფრანგეთი, „სოლიდაირესი“) — 148,5; 5. კატარინა შაბო (საფრანგეთი, „ვირლპული“) — 166,7.



# უჩინოთა გამოჩენა

ამერიკელ მძლეოსნებს საკვალიფიკაციო ციებ-ცხელება შეეყარათ. ივლისში დიდი ბრძოლები გაიმართება ქვეყნის ნაკრებში იმ ბედნიერი ადგილების დასაბევებლად, სიდნეის ოლიმპიადაზე გამოსვლის ნებას რომ იძლევა. სპორტსმენები აქედანვე ცდილობენ თავის გამოჩენას და გუშინწინ რელეის (ჩრდილო კაროლინის შტატი) სარბიელზე მეტად გულმოდგინედ ირბინეს, ტყორცნეს და იხტუნეს. ბირთვის მკვრელმა სი ჯეი ჰანტერმა ლითონის ზორბა ბურთი 21 მეტრსა და 86 სანტიმეტრზე გადააგდო, რაც ცხოვრებაში არ გაუკეთებია და სეზონის რეკორდადაც მიუთვალეს. ბებერმა ანტონიო პეტიგრიუმ 400 მეტრის გასარბენად 44,65 წამი დახარჯა, ესეც სეზონის მეორე შედეგი გახლავთ. ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონს, მაიკ მარშსაც 100 მეტრის დასაფარად სულ რაღაც 10,01 წამი დასჭირდა. რომ იტყვიან, ციდან ვარსკვლავების მოწყვეტა არაა, მაგრამ ყურადღებას ეს მიღწევა უეჭველად იმსახურებს.

ორჯერ დარჩა რელეიში გამარჯვებული ბაჰამელი ჩანდრა სტარაპი. 100 მეტრი მან 11,09 წამში გაირბინა და კითხვას, თუ სად იყო ამ დროს დიდებული მარიონ ჯონსი, ვუპასუხებთ, რომ არ ურბენია, ამ ჯერზე სიგრძეზე ხტომაში ძალის მოსინჯვა ჩაუფიქრებია. იქაც ბევრი არა გამოვიდა რა! ჯონსის ნახტომი 6 მეტრად და 55 სანტიმეტრად შეფასდა, ამ დროს კი იმავე სტარაპმა 15 სანტიმეტრით მეტზე ისკუპა. ჯონსმა ჯერ სტარაპი აქო, მერე საკუთარი თავიც. ხოლო მსოფლიოს უპირველესი ჭოკით მხტომელი ქალი, სტეისი დრაგილა მხოლოდ მეოთხე ადგილზე გასვლას დაელონებინა და თავს იმტვრევდა, რათა მასმედიისთვის წარუმატებლობის საფუძვლიანი მიზეზი დაესახელებინა. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ დრაგილასთვის ერთდროულად შეუშლიათ ხელი უამინდობას, გასარბენი გზის უხეირობას, დილით მარცხენა ფეხზე ადგომას და ა.შ. ამასთან მეჭოკე მანდილოსანმა, დამარცხება არცთუ ცუდია, თავში რომ არ ამივარდეს, ამგვარი რამეებიც სასარგებლოაო, დაიმშვიდა თავი ჟურნალისტებთან საუბრის ბოლოს.

**დავით გულუა**

**B ჯგუფი**

ეინდჰოვენი
19 ივნისი
23.45 საათი
ფილიპსი
30 000 (ტევადობა 30 000)

**იტალია 2:1 შვედეთი**

1:0 დი ბიაჯო (39), 1:1 ლარსონი (77), 2:1 დელ პიერო (88)
**იტალია:** ტოლდო, ფერარა, მალდინი (ნესტა 42), ნეგრო, იულიანო (კანავარო 46), დი ლივიო (ფიორე 64), ამბროზინი, დი ბიაჯო, პესოტო, მონტელა, დელ პიერო
**მწვრთნელი:** დინო ძოფი
**შვედეთი:** ჰედმანი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, გუსტაფსონი (კ. ანდერსონი 75), მელბერგი, მილდი, სვენსონი (ალექსანდერსონი 51), ლიუნგბერგი, მიალბი (დ. ანდერსონი 56), ოსმანოვსკი, ლარსონი
**მწვრთნელები:** ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი
**მსაჯი:** ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
*კარისკენ დარტყმა: 7-15; კარში დარტყმა: 3-9; ჯარიმა: 15-15; კუთხური: 3-12; თამაშგარე: 9-2*

# ვაგზალი ორისთვის

**ვახტანგ ბზიკაძე**



დელ პიეროს (№10) ამ დარტყმით შეეძლო ბოლოს ერთიც გაეტანა, მაგრამ ბურთი ხარიხას გადააცილა

REUTERS ეინდჰოვენიდან

ბოლო ხანს ქართულ სპორტსა და მეტადრე ფეხბურთში პოპულარული იდეის — ორი სჯობია ერთს — გადამკიდე, არ მცილდება ერთი კითხვა. ნუთუ „ბათუმის" იტალიელ მწვრთნელ ჯანი კარნევალის ერთხელ არ წამოსცდენია თანამემამულე კოლეგებთან იმ ნოვაციის თაობაზე, რომლის პირველი შედეგებიც საქართველოს ნაკრებისთვის ჯერ არნახულია: ნულოვანი ფრეები ბაქო-ერევანში და მარცხი ტალინში. ჩვენი ნაკრების მწვრთნელები გვამშვიდებენ ასეთი ანგარიშები ნუ მოგატყუებთ, ეს მხოლოდ იტალიის და რუმინეთისწინა რეპეტიციააო.

რეპეტიცია კი, აბა, რის რეპეტიციაა, თუ არ განმეორდა?...

დავიჯერო, კარნევალი დესპანად და მოამბედ არ გამოადგა იტალიას?

თუ იტალიელებმა შეუშვეს ერთ ყურში და მეორეში გაუშვეს ტყუპი მწვრთნელის ამბავი?

გამკვირვებია ამ იტალიისა, ერთმწვრთნელიან თურქეთს დაუშინებია და ის ..კი ვერ უფიქრია, ორი მთავარი მწვრთნელის წინააღმდეგ რა არათანაბარ პირობებში იქნება დინო ძოფი.

დინო ძოფიო, იქნება კი დინო ძოფი? ბევრი ძოფს ნაევროპისჩემპიონატევს ნაკრების დატოვებას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ახლა აღარ მგონია, ასე მოხდეს.

ისე, ეშმაკს არ სძინავს, ვინ იცის, რა ხდება. იტალია მეოთხედფინალში 9 ქულით კი გაშლიგინდა, მაგრამ ჯერ იქ ინგლისს ან გერმანიას (შესაძლოა, რუმინეთსაც) ეხლება და ესეც რომ არა, ხომ იცით, იტალიას ვიცეჩემპიონობაც წარუმატებლობად ჩამოერთმევა.

არა, იტალიის ფედერაციას მგონი კი შეუტყვია ქართული ეშმაკობის ამბავი, მაგრამ ეს ძოფი გამომდგარა ძაან ვინმე ჯიუტი კაცი. ჯერ დაიჩემა, ჩემპიონატზე რობერტო ბაჯო არ მიმყავსო, მერე დელ პიერო დასვა სკამზე და ახლა კიდევ ვინ იცის, რა უკულმართობას მოიფიქრებს — თავში რა მოუვა.

რა მოუვა? ის კი ნაღდად არ მოუვა, რომ ორი სჯობია ერთს.

არ მოუვა, იმიტომ რომ არც „ალორძინების" წინასაარჩევნო მოწოდება გაუგია და არც „დათა თუთაშხია" წაუკითხავს. ფილმად მაინც ენახა, კარსყურმიდებული ასინეთა რომ ჰკადრებს მამა-მარჩენალ არქიფო სეთურს: სად ორი კაცი რომ გაიგონებს და მიხვდება და სად ერთიო.

ქვა აუგდია დინო ძოფს და თავი შეუშვერია: არც ბაჯოს წავიყვან, დელ პიეროსაც ჯერ მხოლოდ შეცვლებზე ვათამაშებ და საერთოდ, თავი გამანებეთ, ეგ თქვენი მეორე მწვრთნელიც არ მჭირდებაო.

იცის ძოფმა, სადაც ორი მთავარია, იქ არცერთი მთავარია.

აბა, როგორ გაიგოს ფეხბურთელმა, რომელი უფრო მთავარია და რომელი მთავრის მითითება უფრო მთავარი და შესასრულებელი?

...ძოფისთვის საკის ან კაპელოს გაამხანაგება, ცხადია, არავის უკადრებია. თუნდაც იმიტომ, რომ არც ძოფი აკადრებდა ასეთ რამეს საკუთარ თავს და არც საკი ან კაპელო აკადრებდა.

ცხადია, ყველაფერი კადრებაზეა, თორემ ვინ არ იცის, რომ სჯობს ერთი იყოს ორის უმჯობესი. ერთის მაგიერი ორი კი მხოლოდ გამოსავალია (ვითომ?) ისეთ შემთხვევაში, როცა ერთის ფასი ერთი არ არსებობს.

მთელი ეს ორის ამბავი, არ იკითხავთ, ახლა რატომ გამახსენდა?

სათადარიგო იტალიამ რომ წუხელ ნახევარი ძალით მოუგო ლამის ჭიპზე გამსკდარ შვედეთს, იმ გუნდს სწორედ ორი მთავარი მწვრთნელი წვრთნიდა.

არა, სულ არ მსურს იმის თქმა, შვედებს ამ ორის დარი ერთი არ ჰყავთო. ჰყოლიათ, ჰყავთ და ეყოლებათ. შეიძლება, არც ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკია ჩვენი სალაპარაკო. მაგათ ევროპის ჩემპიონატზე შვედეთი ისე გაიყვანეს, გაშვებული ერთადერთი გოლი ჰქონდათ. მაგრამ რად გინდა, ასეთ შესარჩევს რომ შვედეთისდარ ფინალურ ეტაპს მოაყოლებ, მთლად უარესი. დაიწყება მერე, ეს კამარკის, შვარცის და ანდრეას ანდერსონის ტრავმაო, ის პატრიკ ანდერსონის გაძევებაო... ასეთ დროს ხომ წარუმატებლობის მიზეზიც ორი (ან ორჯერ ორი) მოიძებნება და ითქმება.

არა, ერთი სჯობს და ძოფის დარი. არც წაგების მიზეზებია საძიებელი, არც ორი თავი ატკიებული და არც ორი გული საგულეს ჩასადგომი. ყოველ შემთხვევაში, ასეა ჯერჯერობით და უეჭველი კი მხოლოდ ისაა, იტალიასთან ერთად მეოთხედფინალში გასულ თურქეთსაც მარტოკა კაცი მუსტაფა დენიზლი რომ წვრთნის.

და საერთოდ, წაყლგაუვალია, ორი მთავარი მწვრთნელი ევროპაზე ვერავის გააჩემპიონებს, რადგან ტანდემი ერთადერთი იყო და უკვე ეინდჰოვენის ვაგზალში სტოკჰოლმის ჩემოდნებზე ზის.



ჰენრიკ ლარსონმა (№20) ფრანჩესკო ტოლდოსაც ოსტატურად აუარა გვერდი და ანგარიში ისე გაათანაბრა

REUTERS ეინდჰოვენიდან

**მატჩის შემდეგ**

ჯგუფში ქულათა მაქსიმუმის დაგროვებას რატომღაც რომ **დინო ძოფი** უკმაყოფილო დაეტოვებინა, მაგრამ ლამის დუბლებით შვეცდეთის დამარცხებამ იტალიელთა თავკაცის სახეზე ღიმილი ვერაფრით ასახა. „რაღაცნაირად უგერგილოდ დავიწყეთ — ბრძანა წარსულში სახელოვანმა მეკარემ — სასურველ დონეზე ვერ ვიყავით და საერთოდ, დღეს ჩემების თამაშში ყველაზე პოზიტიურად ორი გოლი მიმაჩნია." თქვენს ფეხბურთელებს როგორ შეაფასებდითო, ჰკითხა ერთმა; „კარგები იყვნენ" — იყო პასუხი; დელ პიეროსა და მონტელას წყვილზე რა აზრისა ხართო, დაინტერესდა მეორე და კვლავ — „კარგი იყო". მოკლედ, ძოფი ხანგრძლივი საუბრის მოსურნე არ ჩანდა და ორიოდე ზედმეტი სიტყვა მხოლოდ ალესანდრო დელ პიეროს შეაწია. „იუვენტუსელში დადებით და უარყოფით მომენტებსაც ვხედავ — განაცხადა იტალიელმა — ვგონებ, ნაკრების შემდგომ გეგმებში მისი ადგილიც უნდა იყოს."

შვედებს დანა პირს არ უხსნიდათ. ჯგუფიდან გავარდნის გამო მწუხარება გამოთქვეს მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა და მატჩის საუკეთესოდ შერჩეულმა, ჰენრიკ ლარსონმა.

**ლაგერბეკი:** „დღეს შევეძლო გვეჩვენებინა, რანი ვართ სინამდვილეში და რომ ვერ მოვახერხეთ, უპირველესად ამან გაგვანაწყენა. თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდით, მაგრამ საჭირო დონეს ბოლომდე ვერ ვუწიეთ. ისღა დაგვრჩენია, იტალიელებს და თურქებს მივულოცოთ." **ლარსონი:** „მშვენიერი გოლი გავიტანე, მაგრამ ამან, ცხადია, სიმშვიდე ვერ მომიტანა."

დასამშვიდებელი მართლაც არაფერია, სკანდინაველები სახლში მიდიან.

**მატჩის სტენოგრამა**

5 — ვინჩენცო მონტელამ დელ პიეროს პასი მიაწოდა, მისი ძლიერად დარტყმული საკმაოდ არაზუსტი იყო.

10 — ლიუნგბერგის კუთხურიდან მიწოდებულ ბურთს ოლოფ მელბერგმა მძლავრი თავური უთავაზა, იტალიელი დი ლივიომ იხსნა, ბურთი ხაზიდან კარს ზემოთ თავით გადააგდო.

13 — ოსმანოვსკის დარტყმულს იულიანო ჩაუწვა და ხიფათიც განმუხტა.

15 — შვედებს გატანა შეეძლოთ. ლიუნგბერგი ჯერ იულიანოს გასცდა, მერე ნეგროსაც დაუძვრა, მაგრამ კარში დარტყმა გაუცუდდა.

19 — დელ პიერო — მონტელას კომბინაცია. მონტელა ბიორკლუნდს გასცდა და კარში ძლიერადაც დაარტყა, შვედთა მეკარე ჰედმანმა იყოჩაღა.

25 — ამბროზინიმ ბურთი მეტოქე სვენსონს მიაწოდა, ესეც საჯარიმოში შევიდა და ძლიერადაც დაარტყა, ფრანჩესკო ტოლდომ მოიერიშეს დარტყმის კუთხე შეუმცირა და ხიფათი ფეხით უვნებელყო.

37 — იკსელ ოსმანოვსკის დარტყმული ტოლდო მშვიდად დაეუფლა.

39 — დელ პიერომ კუთხური ჩააწოდა, შვედმა მცველებმა ლუიჯი დი ბიაჯო უმეთვალყურეოდ დატოვეს, მანაც თავით ანგარიში გახსნა 1:0

65 — ისევ ოსმანოვსკი და ტოლდო ამჯერადაც მეკარემ იყოჩაღა.

67 — მონტელამ ჩინებული პასი მიაწოდა ნეგროს, რომელიც მახვილი კუთხიდან ცდილობდა დარტყმას, კარის გასწვრივ დაბალი ჩაწოდება კი გამოუვიდა, დელ პიერო ვარდნაში ეცადა ბურთის გატანას, მაგრამ ამაოდ.

70 — ლარსონმა პატრიკ ანდერსონს ბურთი თავით საჯარიმოში გადაუგდო, ამანაც ახლოდან უძლიერესად დაარტყა, ტოლდო ამჯერადაც ბრწყინვალედ გაისარჯა, ფეხით მოიგერია.

72 — შორიდან ლიუნგბერგი ურტყამდა, ბურთი გარედან მოხვდა იტალიელთა კარის ბადეს.

77 — კენეტ ანდერსონმა ნეგროსა და ფერარას შორის ნაპრალი მონახა და ჩინებული პასით ჰენრიკ ლარსონი მეკარეს პირისპირ შეატოვა. შვედმაც ტოლდო იოლად გააცურა და ცარიელ კარში გატანაც არ გასჭირვებია 1:1.

81 — კენეტ ანდერსონი ახლო მანძილიდან ძლიერად ურტყამდა, იტალიის მეორე გოლს გადაურჩა.

84 — დელ პიეროს მიერ სახიფათოდ შესრულებული ჯარიმა ჰედმანის კარს ზემოდან გადაევლო.

88 — მონტელას პასი, დელ პიერო მეურვეს გაუსწორდა და საჯარიმოში არშესულმა ჰედმანს მარცხენა ფეხით აულებელი გაუტანა 2:1.

89 — პატრიკ ანდერსონის თავური სახიფათო, თუმც არაზუსტი გამოდგა.

90 — იტალიას მესამეც შეეძლო გაეტანა. კარის გასწვრივ მონტელას ჩაწოდებულს, დელ პიერო ვარდნაში შეეგება, ორი მეტრიდან დარტყმულმა ბურთმა ჰედმანის კარის ბადეში გახვევა არ ისურვა.

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge